

კვირის პალიტრა

№ 27 (488) ♦ 5 – 11 ივლისი. 2004 წ. ♦ ფასი 50 თეთრი ♦ დაარსებულია 1995 წ.

სალნი უნდა გიკნოვდეს, რომ ის არის მთავარი შეოქმედი სასაღმრთო

ხელისუფლებას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი კორუპციული ჩინოსნის ან კრიმინალური ავტორიტეტის დაკავების დროს გამოჩენილი სიმკაცრე საზოგადოების მხრიდან შესაძლოა, მოწონებას იმსახურებდეს, მაგრამ ხალხის მიმართ ძალის ასეთი ფორმების გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში დიდ აღშფოთლებას გამოიწვევს – თუნდაც სიტუაციის განმუხტვა სხვაგვარად შეუძლებელი იყოს.

გვ.3 შოთა ნადირაშვილი

სასიამოვნო სიხალე სამხედრო თემაზე:

ყინული დაიკა... შავ ზღვაში

„კვირის პალიტრის“
მოწოდებამ გაჭრა...

იმედი გვაქვს, ახმეტელთა მაგალითის მიჰყვანა ჩუთაისელები, მესტიელები, ზესტაფონელები, და, რაც მთავარია, თბილისის მერია.

გვ.8,9

„საქართველო განვსა ღონიერი ქვეყანა ანუ ქვეითი პლანეტა“ (?)

გვ.5

რამდენს შესთავაზებენ
ნავთობმაგნატიები
„წყლის მანქანის“
ავტორებს და რას
მოიგებს საქართველო?

...გვითხრეს, რომ წარგადგენდნენ ნობელის პრემიაზე დროზე ადრე, მოგვანიჭებენ აკადემიკოსის სტატუსს...


„ბინგოს“ გამოგონებით მესამე მსოფლიო ომის დაწყებას ნამდვილად არ ვგეგმავთ...

ჩვენი რეაქტორი დამონტაჟდება, გასაბნობი წყალს, დაგეგმეთ და წადი, სადაც გინდა.

...აპირებენ თუ არა შეიხებთან საქმის დაჭერას „ბინგოს“ ავტორები.



ღმერთი არ გაგვიწყნებს და ვერც თავზე არ დაგვენებრებს!



გვ.12,13

ვარძია საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შეუტანიათ?!

გაეარჯვებავს გისურვებთ, კოკაი- სან!

გვ.17



ლეონს თავანისმცემლებმა სამი სპეციალური სამოსი მოუქარეს. თითო 15.000 დოლარი ღირს... ერთზე საკარტულოს გერბია ამოჭარგული...

ვანდალური აქტი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში (?)

გვ.4

„გაგონო კოლაგეო, თქვენს შეგუნიდათ?!”

რის ამოთხრას აპირებს
გვ.7 კობა დავითაშვილი?

„სოროსედილიაგელი“ რომ არ გაგნდარიყავი, „ლაგუნა ვერაზე“ ალარ დაუღიარა...

ჯერ 1995 წელს მომივარდა შევარდნაძის სიით – გადამაყენეს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობიდან და ვე არჩიეს; მერე საკრებულოს თავმჯდომარეობის გამო მომიხტა და ავირჩიე თავმჯდომარედ; მერე პრეზიდენტობა წამართვა; ყველგან „მპოულობს“. ბოლოს „ლაგუნა ვერაზე“ მომიხტა და თვითონ დაიწყო ცურვა.

გვ.7



რას წერენ ჩვენზე: ელეარდ კოკოთი: „7 ივლისს სამხრეთ ოსეთში ომი დაიწყება“ (?)

– მე ვიცე-პრეზიდენტის ადგილს მთავაზობდნენ, რომელსაც, თუ დავთანხმდებოდი, საგანგებოდ ჩემთვის შემოიღებდნენ. მაგრამ მე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვარ და თბილისში არაფერი მესაქმება...

გვ.14

„კვირის პალიტრა“ თქვენი გაზეთია!

პენსილვანია ლაპეჯილზე პენ სანს გავრქალდა

მოსკოვში დსთ-ის ქვეყნების არაოფიციალური სამიტი დასრულდა. საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრა 3 ივლისს, საღამოს შედგა და პროტოკოლით დაგეგმილ დროზე მეტ ხანს გაგრძელდა. მხარეები შეთანხმდნენ საეზო რეჟიმის გამართვიე-ბისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების თაობაზე. ასევე გადაწყდა, რომ ანტიტერორისტული საერთო ცენტრის შექმნაზე მუშაობა უშიშროების სამსახურების დონეზე უნდა გაგრძელდეს. თუმცა, ვლადიმირ პუტინი არ აპირებს საქართველოში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზები საერთო ანტიტერორისტულ ცენტრზე გაცვალოს. მოხარული ვარ, რომ ჩამობრძანდით, ეს თქვენთვის საინტერესო და სასარგებლო იქნება, — ასე მიესალმა პუტინი მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ დსთ-ის ლიდერთა შეხვედრაზე პირველად მონაწილეობდა და ეს მისთვის მართლაც საინტერესო აღმოჩნდა. 4 ივლისს, ჯერ კიდევ სააკაშვილის მოსკოვიდან გამომგზავრებამდე, გაზეთ „იზვესტიაში“ დაიბე-ჭდა მისი ინტერვიუ საინტერესო სათაურით — „რუსეთი ის ლამაზმანია, რომლის ცდუნებაც არც ისე ადვილია“. „მოსკოვში სავაჭროდ არ ჩამოვსულვარ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართვე-ლოს იურისდიქციის დაქვემდებარებაში დასაბრუნებლად დახმარებისათვის მოსკოვი თბილისის სახით ერთგულ მეგობარს დაიბრუნებს. ფაქტი ერთია, ყველამ კარგად იცის, რომ არც სამაჩაბლო და არც აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში არასოდეს იქნებიან“, — პასუხობს მიხეილ სააკაშვილი რუსი ჟურნალისტის შეკითხვას. რა კომპრომისზე შეიძლება ნავიდეს საქართველო, თუ რუსეთი მას სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაში დაეხმარება? ვლადიმირ პუტინი საქართველოს ოქტომბერში ეწვევა და ამ დროისთვის ხელი მოეწერება ორ ქვეყანას შორის ჩარჩო-ხელშეკრულებას.

ქვლავაშვიტი პერეოვოიარის სკაზნიით

საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო აჭარის ახალი კონსტიტუცია, რომელსაც მხოლოდ 13-მა პარლამენტარმა არ დაუჭირა მხარი. კანონპროექტის მიხედვით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს საკუთარი დროშა და გერბი, აჭარის ავტონომიური რესპუბ-ლიკის დროშა კი ზომით საქართველოს სახელმწიფო დროშაზე მცირე უნდა იყოს. კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მან ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა პრეზიდენტის მიერ წარდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯ-დომარის კანდიდატურა. საქართველოს პარლამენტი კი უფლებამოსილია შეაჩეროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აქტი, რომელიც საქართვე-ლოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს და აკონტროლებს ავ-ტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების მიერ სამიუჯეტო სახსრების ხარ-ჯვას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა კი არის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს და ახორციელებს ავტონომიის აღმას-რულებელი ხელისუფლების საქმიანობის ძირითად მიმართულებას. მთავრობის შემადგენლო-ბაში შედიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები.

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტი. საქართველოს პრეზიდენტი ასევე უფლებამოსილია გადააყენოს აჭარის მთავრობა. კანონპროექტი ითვალისწინებს იმასაც, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აკრძალულია შს, სახელმწიფო უშიშროების, თავ-დაცვის სამინისტროებისა და სხვა გასამხედროებული უწყებების შექმნა.

აჭარაში მხოლოდ და მხოლოდ ხუთი სამინისტრო იქნება: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის; ეკონომიკის; ფინანსებისა და ტურიზმის; სოფლის მეურნეობის; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის; განათლების, კულტურისა და სპორტის.

მთავრობას სხვისი სხელით ლაპარაკს უკრძალავს...

„საქართველოს პარლამენტი მთავრობას პარლამენტის სახელით დაპირებების გაცემას უკრძა-ლავს“, — პარლამენტარმა ივლიანე ხაინდრავამ ეს განცხადება სახელმწიფო მინისტრის, ჯამბულ ბაკურაძის მისამართით მას შემდეგ გააკეთა, როცა სახელმწიფო მინისტრმა პარლამენტს ალი-არეშებით ჩვენება მისცა და განუცხადა, რომ პარლამენტის სახელით მთავრობა მენარმეებს ხორბლის იმპორტის საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებას 2004 წლის 1-ელი იანვრიდან დაპირდა. „მამინ ძალიან უჭირდა საქართველოს, ხორბლის დეფიციტი იყო, ამიტომ მთავრობა მენარმეებს დაპირდა, რომ საბაჟო გადასახადისაგან 1-ელი იანვრიდან გათავისუფლებდნ, თუ ისინი ხორბალს შემოიტანდნენ ქვეყანაში“, — აღნიშნა ბაკურაძემ, რომელმაც უარყო პარლა-მენტში ფინანსთა მინისტრის ნათქვამი, თითქოს კანონის მიუღებლობა ხორბლის გაყვრებას გამოიწვევს. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე კი ზურაბ ნოღაიდელს პარლამენტის შეცდომაში შეყვანაში ადანაშაულებს და სიმარ-თლის თქმისაკენ მოუწოდებს. გოცირიძის განცხადებით, შპს „პროგრესმა“, რომლის ხელმძღ-ვანელი ომარ კაციტაძეა, შეედომა დაუშვა და ყაზახეთში ნაყიდი ხორბალი ოფშორულ ზონაში გაფორმებული ფირმის სახელით შემოიტანა საქართველოში, ამიტომაც მას 1000 ტონა ხორ-ბალზე 125 ათასი დოლარის ოდენობის საბაჟო გადასახადი დაერიცხა. პარლამენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კანონის მიღება მხოლოდ ერთი, კონკრეტული ფირმისათვის კეთდება და ამიტომაც მის მხარდაჭერას არ აპირებს. ეს პარლამენტის პრინციპული გადაწყვეტილება იქნება. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებაც კი პარლამენტისაგან „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ კანონპროექტის მიღებას 2004 წლის 1-ელი იანვრიდან ითხოვს.

დე ფაქტო სკლისუფლავა აკონიათია

დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება მოსახლეობაში იარაღს კვლავ მასობრივად არიგებს. კოკოითი ჩავეტილ საზღვრებზე კონტროლს აძლიერებს. ქართული მხარე კი საზღვრისპირა სოფლებში პროვოკაციებს ელის. ვითარების გაკონტროლების კონკრეტული გეგმა 4 ივლისს ტყვიავში, საგანგებო მტაბის სხდომაზე შემუშავდა. შიდა ქართლის რწმუნებულის, მიხეილ ქაჩელის განცხადებით, დაიგეგმა სპორტული, კულტურული და სამეურნეო ღონისძიებები, რაც მისი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია კონფლიქტის ზონაში მცხოვრები არა მარტო ქართველი, არამედ ოსი მოსახლეობისთვისაც. ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ქართველების აზრით, ოსების გამალებული შეიარაღება დე ფაქტო ხელისუფლების აგონიური მდგომარეობის სიმ-პტომაა. გზები და საზღვრები იმიტომ აქვთ გადაკეტილი, რომ შემხიებული მოსახლეობის ნაწილს გასვლა უნდა და სეპარატისტებს ცხინვალის დაცვისა ემინათ.

კათილი ნების გაპოსაგულავა თუ...

ცხინვალში 6-დღიანი ტყვეობის შემდეგ საქართველოს ეროვნული უშიშროების სამინის-ტროს სამი თანამშრომელი — ზვიად თაბაგარი, რევაზ შიუკაშვილი და გოგა იოსებიძე გათავისუფლებულნი არიან. ოსური მხარის მტკიცებით, ეს მათი კეთილი ნების გამოხატულებ-ის ნიშნად მოხდა და არა რაიმე მოლაპარაკების შედეგად. დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებით, დაკავებულებს სასამართლოში გადაცემის შემდეგ 20-20-წლიანი პატიმრობა ელოდათ. დაკავებულები ჯერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამინისტროს იზოლატორ-ში, შემდეგ კი ცხინვალის ციხეში იმყოფებოდნენ. მათ გათავისუფლებას 3 ივლისის საღამოს წინ უძღოდნენ დე ფაქტო პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის შესვლამ ტყვეობაში მყოფთა ნათესავებთან. კოკოითიმ სტუმრებს გამოუცხადა, რომ არ სურს ქართველებს და ოსებს შორის ურთიერთობების გამწვავება და ამიტომაც ათავისუფლებს „დამნაშავეებს“, რომელთაც ბრალად საზღვრის უკანონოდ გადალახვა, იარაღის უკანონოდ ტარება და შპიონაჟი ედებო-დათ. კოკოითის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ე.წ. სამხრეთ ოსეთში ვითარებას ვერ აკონტროლებს და ნებისმიერ გამწვავებას შესაძლოა შეიარაღებული დაპირისპირება და სისხლის ღრვა მოჰყვეს. მწვავე განცხადებებს აკეთებდნენ საქართველოს უშიშროების თანამ-შრომლებიც. მათი თქმით, დაკავებულთა გასათავისუფლებლად სპეცოპერაცია მზადდებოდა, რომელიც იმ შემთხვევაში ჩატარდებოდა, თუ კოკოითი ტყვეებს არ გაათავისუფლებდა.

აფხაზეთს ოპისათვის პაჟაღავე

აფხაზეთის ე. წ. რესპუბლიკის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილედ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორ გენადი ზაიცუვის დანიშვნის შემდეგ, სოხუმში რუსი სამხედრო სპეციალისტების რაოდენობა იზრდება და სოხუმის ხელისუფლების სამხედრო უწყება რუსეთიდან სხვადასხვა სახის სამხედრო ტექნიკით მარაგდება.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ სანატორიუმ „სოხუმში“ მცხოვრები რუსი სამხედრო სპეციალისტები წვრთნიან თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის თავ-დაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებს და აკონტროლებენ სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის უწყებაში რუსეთიდან დაუფარავად, ყოველგვარი კონსპირაციის გარეშე შემოტანილ სამხედრო ტექნიკას. რუსეთიდან აფხაზეთში ტყვია-წამლის გარდა, სამხედრო მოქმედებებისათვის განკუთვ-ნილი კავშირგაბმულობის საშუალებები და სანაპირო დაცვის გაუმჯობესებისათვის საჭირო სათვალთვალო ტექნიკა შეიტანეს. სოხუმის სახელისუფლებო წრეები რუსეთის მხრიდან აფხაზეთის მილიტარიზაციას საქართველოსთან სავარაუდო სამხედრო დაპირისპირებით ხსნიან და დარწმუნებულნი არიან, რომ ისევე როგორც 1992-93 წლებში, რუსეთი საქართველოს აფხაზეთს არ დაუთმობს.

ლაიჩისაირავა ლაპეჯილს შორის

„პროპორციული წესით არჩეულ და მაჟორიტარ დეპუტატებს შორის დაპირისპირება“, — განაცხადა საჩხერის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვალერი გელბახიანმა მაჟორიტარი დეპუტატების შეკრებაზე და პარლამენტის თავმჯდომარეს პრობლემის მოგვარება სთხოვა. გელბახიანის თქმით, რაიონებში გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის ბრძოლაა გაჩაღებული და თუ პარლამენ-ტის თავმჯდომარე პრობლემას ვერ მოაგვარებს, ისინი საკითხის გადასაწყვეტად პრეზიდენტს მიმართავენ, რადგან მაჟორიტართა დონეზე საკითხის გადაწყვეტისა და კონფლიქტის მოგვარების რესურსები უკვე ამოწურულია. „მაჟორიტარ დეპუტატებს პროპორციული სიით არჩეული დეპუტატები ავიწროებენ, მიმდინარეობს პროკურატურაში მათი დასმენა და დისკრედიტაცია. ყველაფერი ეს კი იმისთვის კეთდება, რომ მაჟორიტართა მიმართ ხალხს და მოსახლეობას ნდობა დაეკარგოს“, — აცხადებს გელბახიანი. მისი თქმით, თუ ხელისუფლების უმაღლესი წარმომად-გენლები კონფლიქტს ვერ მოაგვარებენ, იგი შეიძლება აშკარა ბრძოლაშიც გადაიზარდოს.

..ეს არის პანდოზაი შოკიარავა“..

მღებრიშვილის რაზმისგან დარბეული „თბილტრანსის“ მძღოლების მეუღლეები 4 ივლისს პარლამენტში კობა დავითაშვილს უნდა შეხვედროდნენ... თუმცა, აპარატის უფროსმა გოჩა მარტინენკომ მათ პარლამენტის დარბაზში პრესკონფერენციის ჩატარების უფლება არ მისცა. მიზეზად კი ის დაახელა, რომ კვირა დასვენების დღეა და საორგანიზაციო დეპარტამენტს ეს საკითხი არ მოუშზადებია. დავითაშვილი იძულებული გახდა, შეხვედრა პარლამენტის გარეთ გაემართა. მისი თქმით, დაზარალებულთა ინტერესებს პარლამენტარი კახა კუკავა და „კმარე-ლი“ თეა თუთბერიძე დაცავენ. „რაც მოხდა მერიის წინ, აღმასვფოთებელია. 9 აპრილისა და 30 აპრილის (როდესაც ასლან აბაშიძემ დაარბია მომიტინგეები სასამართლოსთან) შემდეგ ასეთი მხეცობა არ მინახავს. ეს იყო უკანონო აქცია და ბატონი მღებრიშვილი დასაჭერია თავის რაზმთან ერთად. ეს არის ბანდიტური ფორმირება, სხვა სახელს ის არ იმსახურებს“, — აცხადებს კობა დავითაშვილი. „თბილტრანსის“ თანამშრომლები კი დავითაშვილის რჩევის თანახმად, დედაქალაქის მთავრობის მიმართ სასამართლოში სარჩელს აღძრავენ და ასე შეეცდებიან, გაიგონ — რა არის კანონიერი და რა უკანონო.

ოპერაშია „ჩაქვი“ გრკალდავა

3 ივლისს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან ჩაქვისკენ დასასვენებლად ოსი ეროვნე-ბის ბავშვების მესამე ნაკადი გაემგზავრა. იმავე საღამოს ოსმა ძალოვნებმა დააკავეს 22 წლის ალიკა კოზიევი, რომელიც ცხინვალის რეგიონიდან 12 ბავშვის გამოყვანას შემოვლითი გზებით ცდილობდა. მას ბრალად უყენებენ იარაღის უკანონოდ ტარებას. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, გივი თარგამაძის განცხადებით, ამ ფაქტის გამო ქართული მხარე საერთაშორისო სკანდალის ატეხვას არ გამოირიცხავს. კოზიევი საქართველოს მოქალაქეა და მისი დანაგვრის ნებას არავის მივცემთ, — აცხადებს გივი თარგამაძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ კოზიევს ძალოვნებმა დაკავების დროს ჩაუდეს იარაღი. სავარაუდოდ, კოზიევს სამშობლოს ღალატის ბრალდებით გაასამართლებენ. ჩაქვში დასასვენებლად მყოფი ოსი ბავშვები ტელეკამერების წინ გამოჩენას ერიდებიან, რასაც იმ მოსალოდნელი საფრთხის შიშით ხსნიან, რომელიც მათ ცხინვალის რეგიონში დაბრუნების შემდეგ შეიძლება შეხვდეთ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან.

„ჯორჯიან-მესკარეს 2004“ გაიხსნა

4 ივლისს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ქართულ-ბრიტანული წვრთნები „ჯორჯიან-ექსპრეს-2004“ გაიხსნა. საზეიმო ცერემონიას გენერალური შტაბის უფროსი გივი იუჯურიძე და საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩი დაესწრნენ. საველე წვრთნები ვაზიანისა და იალ-ლუჯის სამხედრო პოლიგონებზე 17 ივლისამდე გაგრძელდება და მასში მონაწილეობას ორი ქვეითთა ასეული მიიღებს. წვრთნების ამოცანა გამშვები პუნქტების კონტროლი, ტერიტორიე-ბის პატრულება და მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების განევა იქნება. დაახლოე-ბით ერთ კვირაში მეგობრობის დღე აღინიშნება, სადაც ქართველი და ბრიტანელი სამხედროე-ბი აღჭურვილობის გამოფენას მოაწყობენ.

გვირაგვის პეპლასკოზად...

4 ივლისს გმირთა მოედანზე ტამიშის ბრძოლაში დაღუპულ ქართველ მეომართა სულის მოსახსენიებლად შეიკრიბნენ სოხუმისა და ოჩამჩირის ბრიგადის მეომრები. გმირების სსოვნის უკვდავსაყოფად მეორიაღთან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ძველი და ახალი თავმჯდომარეე-ბიც მივიდნენ. მამადავითის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ბასილმა დაღუპული ჯარისკაცების სულის მოსახსენიებლი პანაშვიდი გადაიხადა. ხელისუფლებამ უფრო აქტიურად, თითქმის ყოველდღე უნდა გაისტეროს იმ ბიჭების საქციელი და დაავფასოს მათი გმირობა, — აცხადებენ აფხაზეთის ომის ვეტერანები. 1993 წლის 2 ივლისს რუსეთმა 1500-კაციანი სამხედრო დესანტი გადმოსხა აფხაზეთის ტერიტორიაზე. დესანტში ჩრდილოკავკასიელი ბოვეიკებიც იყვნენ. ქართველებმა სიმამაცე გამოიჩინეს და მტერს გმირულად გაუმკლავდნენ, თუმცა მამინ საქართვე-ლის შეიარაღებულმა ძალებმა უშმიქსილ დანაკარგი განიცადა. ტამიშთან ბრძოლას 100-ზე მეტი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეწირა.

„ჩასეთის პინ ღაღანი“

ჩეჩენი საველე მეთაურის, შამილ ბასაევის მიმართვის ვიდეოჩანაწერი კატარის თანამგზავრულმა ტელეარხმა „ალ-ჯაზირამ“ გავრცელა. ბასაევი ორი წელია ევრაზე არ გამოჩენილა. იგი პირობას დებს, რომ საზღვარგ-არეთ მყოფ რუსეთის ოფიციალურ პირებზე არ ინადირებს. მისი თქმით, ჩეჩენი სეპარატისტები მხოლოდ რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ იბრძვიან. „ჩეჩენი ხალხი ბრძოლას რუსეთის შიგინთ განაგრძობს. ჩვენი მის ფარგლებს გარეთ თავდასხმებს არ ვგეგმავთ. თუმცა მისი განხორციელების საშუალება გვა-ქვს“, — განაცხადა ბასაევმა. მისი ვიდეოჩანაწერზე „ალ-ჯაზირას“ ეთერში მას შემდეგ გამოჩნდა, რაც ორი დღის წინ კატარის სასამართლომ რუსეთის სპეცსამსახურების ორ თანამშრომელს იჩქერის ყოფილი პრეზიდენტის, ზელიმხან ინდარბიევის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმ-რობა მიუსაჯა. ბასაევის თქმით, ღოპაში ინდარბიევის მკვლელობა „ამტკიცებს, სინამდვილეში ვინ არის ტერორისტი და ვინ — არა“. ჩეჩენი საველე მეთაური რეგულარულად ავრციელებს განცხადებებს ინტერნეტში, რომელშიც რუსეთს ტერაქტებით ემუქრება. ბოლოს მან 9 მაისს ჩეჩნეთის პრეზიდენტის, აჰმად კადიროვის მკვლელობაზე აიღო პასუხისმგებლობა. ერთ-ერთი ვერსიით, შამილ ბასაევი ინგუშეთში განხორციელებული შეიარაღებული რეიდის ორგანიზა-ტორი იყო, რის შედეგად ოფიციალური მონაცემებით, 88 კაცი დაიღუპა.

25 პენ ღოჯიარ პას, პინხ...

აშშ-ის ხელისუფლება, მას, ვინც უსამა ბინ ლადენის მოკავშირის, აბუ ალ მუსაბ ალ-ზარყაყის ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციას ფლობს, გამდიდრების შანსს აძლევს და ტერორისტის შეპყრობისთვის დაწესებულ ჯილდოს 25 მლნ დოლარამდე ზრდის.

ადრე ვაშინგტონი მზად იყო 10 მლნ დოლარი გადაეხადა ინფორმაციაში, რომელიც აშშ-ის სპეცსამსახურებს ერაყში „ალ-ქაიდა“ ტერორისტული ქსელის ხელმძღვანელის დაკავება-ში დაეხმარებოდა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მოუწოდებს ყველას, ვისაც მონაცემები აქვს ალ-ზარყაყის შესახებ, დაუკავშირდეს ერაყში აშშ-ის სარდლობას, აშშ-ის საელჩოს ან აშშ-ის ნებისმიერ დიპლომატიურ წარმომადგენლობას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთაა და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალა, აღნიშნეთ რეაქტივის ქეთათრში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

ყურადღება!

მკითხველის პრემიაში სიახლეა! მომავალი ნომრიდან ამ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიაღებს თქვენგან, მკითხველის სახელად, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი**, III ადგილის მფლობელა კი მიაღებს პრემიას — **15 ლარს**. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შე-იტყობთ (რეიტინგის ქეთათრ ახ. 3-ე გვერდზე).

ნიან ნოჟის მკითხველის პრემიის შეღებავი ასეთია:

- ლელა გიგაშვილი** — „გვარიშვილობა“ — 125 ხმა
- გეგა ჯავახილი** — „გახსნილი“ ხელყუმბარის ტარება დიდხანს აღარ შეეძლო...“ — 93
- დავ ლომიძე** — „მათთან ურთიერთობისას მიხედვით, რას ნიშნავს ქართველობა“ — 33
- ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 28

მკითხველის სახელით პრემია გადაეცემა **ლელა ჯიგაშვილს**.

„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 449 რესპონდენტმა გამოავლინა

საქართველო აგრძელებს საუკუნეების წინ დაწყებული პოლიტიკურ თამაშს. გასულ კვირაში მიხეილ სააკაშვილი თურქეთში გამართული ნატოს სამიტიდან ერთი დღის შუალედით — მოსკოვურ სამიტზე აღმოჩნდა (თუმცა ეს შეენაცველი, რატომღაც, დოდის სახით იყო შენიღბული და არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა). შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვში მყოფი საქართველოს პრეზიდენტი რუსეთთან მეგობრობისა და „კონსტრუქციული“ თანამშრომლობის სურვილის გამოხატვას ისეთივე წარმატებით ახერხებდა, როგორც მცირე ხნის წინ ამას სტამბოლში, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. ჩვენდა ბედად, ისე ხდება, რომ ერთმანეთთან თანამშრომლობის სურვილი, როგორც ჩანს, დასავლელსა და რუსეთსაც აქვთ. შუამში მყოფი საქართველოსადმი მათი დამოკიდებულება კი ამ ურთიერთობის ერთგვარი ინდიკატორია. პუტინისა და სააკაშვილის შხვედრის პირველ, ასე ვთქვათ, ელვისებურ შედეგად ცხინვალის თვითმპრქვია ხელისუფლების მიერ დაკავებული გამოიქვეყნა უშიშროების თანამშრომლის გათავისუფლება უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, შესაძლებელია, მათი გათავისუფლება კოკოითისთვის მოსკოვიდან სულაც არავის უბრძანებია — უბრალოდ, ცხინვალელმა „პატარა“ პრეზიდენტმა რუსეთის დედაქალაქში „დიდი“ და თანაც ნამდვილი პრეზიდენტების შესხვედრისას თავი დაიზღვრა — თუ კერძოში გამართული მოლაპარაკების დროს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას აბაშიძის რეჟიმის ბედს არგუნებდნენ, ცხინვალში დაკავებული საქართველოს სახელმწიფო უწყების თანამშრომელთა გათავისუფლება ქართველი მხარისთვის პატარა და ელვისებური ოპერაციაა ჩასატარებლად საუკეთესო მიზეზი იქნებოდა, მით უმეტეს, ოქუროშვილის მიერ გამოცხადებული ულტიმატუმის შემდეგ...

სანამ საქართველოს პრეზიდენტი საგარეო ურთიერთობათა ფრონტზე იბრძოდა, მის საყვარელ ქართველ ხალხს ქართული პოლიცია ხელკეტავთ უშუადა. ერთი მხრივ, წესრიგის დაცვა აუცილებელი და საშური რამ არის — მით უმეტეს, ღვიძალაქის ცენტრში, მაგრამ მეორე მხრივ, ზემოთ ნახსენებ ქართველ ხალხს თავისუფლად შეკრებისა და სიტყვის გამოთქმის უფლება საქართველოს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული, რომელიც, სხვათა შორის, ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე რომელიმე ახლად გაშთქცული მოხელის სიმშვიდე ან საპარტოუტო ტაქსის განრიგი, რომელიც მერიასთან აქციის მიმდინარეობისას რამდენიმე საათით დაირღვა. სახელმწიფო უწყების წინ მომიტინგეთა დარბევა, რევოლუციის შემდეგ, პირველი არ არის, რაც, სამწუხაროდ, იმის თქმის საბაზს გვაძლევს, რომ რევოლუციურ საქართველოში ბევრ კარგათა ერთად ერთი ცუდი რევოლუციური ტენდენციაა შეიმჩნევა — მცდელობა თუ ედუნება იმისა, რომ ხალხის ზურგი ხელკეტს მიეწვიოს. ყოველი ასეთი დარბევის შემდეგ ჩინოვიკები თვითიშკაყოფილი ლაპარაკობენ ქვეყანაში დაცულ წესრიგზე(!).

ცხადზე ცხადია, ნლებ-
ის მანძილზე საქართველო
კორუფციის ქაბოში იყო
ჩაფულყო; სადავო არც
ისაა, რომ ამა თუ იმ უნ-
ყების დანაშაულში მხილე-
ბა და კორუფციისათან
ბრძოლა, უშირველესად,
კონტროლის პალატას ევ-
ალეობად (ყოველ შემთხ-
ვევაში, კანონდებლობით
მიანიც). ალბათ ზემოაღნიშ-
ნული ორი ფაქტი ერთ-
მანეთთან პირდაპირ კავ-
შირში უნდა იყოს და ამ
უნყების ყოფილი თავმჯ-
დომარე სფული მოლაშ-
ვილიც ამიტომ არის დაკა-
ვეებული. თუ მის დანაშაუ-
ლობას პროკურატურა
დამტკიცებს და სასამთო-
ლო გადაწყვეტს, ალბათ
ჩვენი საზოგადოების ტრა-
გედია იქნება ქართულ
პრესაში გამოქვეყნებული
რომელსაც ქართული მწერლ
ინტელიგენციის ბევრი თავ
გუნდელი აწერს ხელს. მაგრამ
უზენაესებაა, თუ ეს ყველა
და, ამავე დროს, ხელისუფ-
ლების მონერისთვის ანა კალ
ჯიბის, გუმარ დოწანაშვლის
ინდისობის იარღიყი მისა

რევოლუციური საქართველოს რევოლუციურ ტენდენციებზე, ანმოსა და მომავლის პერსპექტივებზე აკადემიკოს **შოთა ნადირაშვილს** ვესაუბრეთ:

— ახალ სელისუფლებას უმიძიეს მეგვიდრობა დასავდა, სწირად ლაპარაკობენ კადრებსა პროფესიონალიზმზე, საბადასება თანამედრობის რეკლამული ურჩი წმინთი განაწილებაზე, ალბათ პროფესიონალიზმის უკმარისობაზე მეტყველებს ის, რომ ჩვენი თანამოქალაქენი სამართალს უმეტესად პირველ პირეთან ეძებენ — სელისუფლებას დაბალი აკადრებები სწირ უმეტესევაში მათ არ ეკომპეტენტურად მიანიძა...

— ასეთი ტენდენცია რევოლუციებისა და სახელმწიფოში სერიოზული სახელისუფლებო ცვლილებების შემდეგ სრულიად ლოგიკურია. ბუნებრივი გახლავთ, რომ ძირეული რეფორმების გასატარებლად პრეზიდენტი ადამიანებს, პირველ რიგში, ეროვნულის ნიშნით არჩევს. თუცა სახელმწიფოს შემდგომ განვითარებაში თანდათან იკვეთება ეტაპები, როდესაც ეს თუ ის პირი ამა თუ იმ სფეროში თავისი მისიის შეს-

რულების შედეგ შესაცვლელი ხდება. ჩვენ დღეს თავიდან ვაშენებთ სახელმწიფოს. ძალიან მარტივად რომ ავხსნათ, ეს პროცესი უნატიფესი საიუველირო სამკაულის შექმნას შევადაროთ — ჯერ მის დასამზადებლად საჭირო ოქროსა და ძვირფას თევლებს მოიპოვებენ, შემდეგ მათი დამუშავება და გარკვეულ სანაწიშო კონდიციამდე მიყვანა ხდება, ბოლოს კი, ოქროსა და ძვირფასი თევლებისაგან ხელოვნების ნიმუშს უკვე საიუველირო საქმეში დაოსტატებული სპეციალისტი ქმნის. როგორც არ უნდა მონიშნოთ, ოქროს მომპოვებელი ის საქმეს ვერ შეასრულებს — მიეროსკოპის ქვეშ ჩუქურთმებს

**„ხელისუფლება ქვედა ეხელწონებში
პროფესიონალიზმის ქალიან
დიდ ნაქლებობას განიცდის“**



ვერ გამოიყვანს, ისევე, როგორც ოქროს საბადოს ვერ გათხრის და ვერ მოიპოვებს მიეროსკოპული, ვინორ სპეციალობის იუფელირი. სახელმწიფო შენებაშიც ასეა. ერთ დღეს დადგება მომენტი, როდესაც, ვთქვით, იგივე ოქრუამვილის მიერ ჩამოყალიბებულ შინაგან საქმეთა ორგანოს სხვაგვარი, სტრუქტურული და უფრო ვინორ სპეციალობაზე დახელოვნებული პროფესიონალი დასჭირდება; მაგრამ განამდე დიდი და და გაზედული საქმეები უნდა შესრულდეს რისთვისაც, უშიროვლესად, სიამამაცე და ერთგულება საჭირო არა მხოლოდ მინისტრების დონეზე — თავისი „შესრულებული“ ხომ მინისტრებსაც სჭირდებათ და, დანარჩენი კადრების, იერარქიული შესაბამისობით, გუნდურ-პარტიული ნიშნით ირჩევა. შესაბამისად, ხელისუფლების ქვედა ემელონებში დასაქმებული ხალხი, შესაძლოა

ბელია, თავისი ხელმძღვანელობის მითითებებს მართლაც ერთგულად ასრულებდეს, მაგრამ დამოუკიდებლად გადასაწყვეტ საკმის თავს ვერ ართმევს. ამიტომაც არის, რომ ხალხს მათი ნდობა არ აქვს — უმრავლესობას სევდარა, რომ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ პრეზიდენტის ან, მინიმუმ, მინისტრის დონეზე შეიძლება. სხვათა შორის, ახალი ხელისუფლების დღევანდელი წარმომადგენლებიც, სახელმწიფოს განვითარების ტემპების შესაბამისად, ადრე თუ გვიან დადგებიან იმ რეალობის წინაშე, რომ თანამდებობის დატოვება მოუწევთ. ასეთ დროს მათ ძალიან დიდი შეშარათებისა და ნებისკოდის გამოჩენა დასჭირდებათ, რადგან ექნებათ შეგრძნება, რომ ისინი არავის სტარდება და მათი თავდადება დაუფასებელი დარჩება, რადგან ხელისუფლებას თანდათან იმ პროფესიონალებს გადააბარებენ, რომელთაც, შესაძლოა, რევივოცისათან სულაც არ ჰქონიათ შესება... ამიტომაც, დღეს ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა, უწინარესად, საკუთარი პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, კონკრეტულ სფეროსა და საქმიანობაზე დახელოვნებასა და გარკვევაზე უნდა იზრუნონ, რათა სახელმწიფოს განვითარებას ფესვიც აუწყონ და ერთ დღეს პოლიტიკური ცხოვრების მიღმა არ აღმოჩნდნენ...

— დედაქალაქის მერიის წინ შევრე-
ბილი სახლის ძალის გამოყენებით დაშლამ
საზოგადოების პრაქტიკულგანგაზრდას რეაქ-
ცია გამოიწვია. ცხადია, სახელმწიფოში
წესრიგი უნდა სუფევდეს და კანონის
მიმართ ყველა თანასწორი იყოს, მა-
გრამ იგივე კანონი საქართველოს მო-

სასაზღვრის თავისუფლად შეკრებისა და
 სიძველეს გამოთქმის უფლების ანაფიქსება
 იქნება მომავალდღეობა, რომ კორუფ-
 ციაში მნიშვნელოვანი ყოფილი მოხელეებ-
 ისა და დანაშაუდი სამართლის მიმართ
 სასაზღვრის მკაცრი ახალი სტრატეგია
 „ეფესო“ შევიდა და უკვე უზრუნველ-
 მოსასაზღვრისავე ხელკეტის ერთი ელ-
 მარაგება...

— მერიასთან მომხდარი შეძთხვევა ახალი ხელისუფლების სასარგებლოდ ნამდვილად არ მეტყველებს. ესეც ერთ-ერთი ნათელი დადასტურება გახლავთ იმისა, რომ საქართველო ხე-

ხელისუფლების ქვედა ეშელონებში დასაქმებული ხალხი, შესაძლებელია, თავისი ხელმძღვანელობის მითითებებს მართლაც ერთგულად ასრულებდეს, მაგრამ დამოუკიდებლად გადასაწყვეტ საქმეს თავს ვერ ართმევს. ამიტომაც არის, რომ ხალხს მათი ნდობა არ აქვს – უმრავლესობას სჯერა, რომ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ პრეზიდენტის ან, მინიმუმ, მინისტრის დონეზე შეიძლება.

**ხალხი უნდა
გრძნობდეს, რომ ის
არის მთავარი
შემოქმედი სახელმწიფოში**

ლოს უფლებების ქვედა ემულონებში პროფესიონალიზმის ძალიან დიდ ნაკლებობას განიცდის. დემონსტრანტების წინააღმდეგ ხელუქმებისა და სხვა ტრივიალური საშუალებების გამოყენება ისეთ ქვეყნებშიც ხდება, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით (და არამხოლოდ) საქართველოზე ბევრად ნინჯე რომ არაინ. მაგრამ შერებისა და დემონსტრაციის მიზეზსაც გაანჩნა. თუ გაგიტყუო რამდესმე, რომ ევროპაშიც ან ამერიკაშიც სტიქიური უზედურდებით დაზარალებული ხალხი ქუჩაში გამოსულიყოს იმიტომ, რომ სოციალურ დახმარებას და კომპენსაციას ვერ იღებს — ეს ხომ ერთი უზედურდებაა და მეორე. უფრო დიდი უზედურებაა, როცა მათ პასუხს ხელუქმებით „აძლევი“... თან, როგორც მე გავიცნე, თბილისის მერიასთან მხოლოდ ერთი იყო არა, სხვადასხვა პრობლემით შეჭირვებული რამდენიმე ჯგუფი იყო მისიულ და მათი საუნზარ-სტაციკარი ერთი და ორი კაცისა კი არა, შეიძლება ითქვას, „კასობრივი“ ხასიათისა. როგორც

ჩანს, ახალი ხელისუფლებების წარმომადგენლებმა რეგულაციებით ინერციით თავი ვერა შერჩავეს და გაჭირვებულ ხალხს მკაცრად და ძალის გამოყენებით მიუღებნენ. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ქვედა ემელონებში მყოფმა ახალმა მოხელეებმა არათუ პრობლემების გადაჭრა, წინამორბედთაგან განსხვავებით, დაპირებების დონეზე მათთან მოლაპარაკებაზე კი ვერ მოახერხეს — როგორც ჩანს, ამასაც ხელოვნება სჭირდება... ხელისუფლებას ყოველთვის უნდა ასსოვდეს, რომ ყოფილი კორუმპირებული ჩინოსნის ან კრიმინალური ავტორიტეტის დაკავიბის

ადროს გამოჩნდილი სიმკაცრე საზოგადოების მხრი-
დან შესაძლოა, მოწონებებს იძლეავთუბრუნდეს, მაგრამ
უბრატო ხალხის მიმართ ძიასის ასეთი ფორმე-
ბის გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში დიდ აღ-
შოთხობებს გამოიწვევს — თუნდაც სიტუაციის
განმუხტვა სხვაგვარად შეუძლებელი იყოს. თანაც,
ისევე გავიმოვრეო — დასავლური მანიფესტაციე-
ბისგან განსხვავებით, ეს ხალხი არც სესქუალური
უმცირესობის უფლებათა დაცვას მოითხოვდა,
არც ნუდისტური პლაჟების გახსნას და, მიუ-
ხედავად, არც ანტიგომოლიენისტური ზრახვებით
იყო შეტყობილი. ამ ადამიანებს, ისევე როგორც
დანარჩენ საქართველოს, ნორმალური, ადამი-
ანური ცხოვრება სურთ — ვვიქირებო, მათ ეს
დაიდამსხვრე...

— ალბათ ზემოთ ნახსენები სოციალური გაჭირვების გამო მომიტინგეები გაცილებით მეტნი იქნებოდნენ, რომ არა მზიანი, რომელიც ახალმა სკოლა შედგენდა დაისახა — ტერიტორიული მოღონების აღდგენა და მოსახ-

ლეობის იმედი, რომ შეეყარნაძისგან განსხვავებით, სააკაშვილი ამას მიაღწევს. შეეყარნაძის მსგავსად, საერთო-შოროს ურთიერთობებში სააკაშვილიც „ორ ფრონტზე“ იბრძვის. თუმცა აშკარაა, დასავლეთიც და რუსეთიც მისადმი მის პანაშოთხედზე გაცნობებით მეტი სიმპათიით არიან განმსჭვალულნი...

— ჩვენს მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოს, როდესაც განვითარების ასპოლუტურად ყველა პარამეტრი სასტარტო პირობებში ვიმყუდებით — გნებავთ პოლიტიკური, გნებავთ ეკონომიკური და გნებავთ მეტალოური თვალსაზრისით — რასაკვირველია, სჭირდება დღევანდელა და დედა, რომლის გარშემოც ხალხს დარწმუნება და აიყოლიებს. შეიძლება ითქვას, რომ საკავშირელო ამ დღევნის გამორჩეულ ზედმიწევნით წარმატებით მოახერხა. მიუხედავად იმისა, რომ მისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში, შევარდნაძის რეჟიმის წყალობით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ძალიან გაუფასურებული და ამასთან, უტოპიური დევიზით გაბლადნა. დღეს ვითარება შეიცვალა, მაგრამ თუ გახსოვთ, საკავშირეოგან განსხვავებით, არჩევნების დროს ნათელაშვილმა ვერ გარისკა და ხალხში თითქოსდა უფრო „მინიერი“ დევიზით გამოვიდა — მისი სამიზნე ქვეყნის ენერგეტიკასთან დაკავშირებული პრობლემები იყო. შედეგად განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ განვლილი წლების მიუხედავად, ქართულ ერს ჯერ კიდევ შესწევს უნარი, საერთო სახელმწიფო მიზნის მისაღწევად ყუფითი პრობლემები მოითმინოს. მეორე საკითხია, როდემდე და რა პრობლემები მოითმენს.

სიმაართელ რომ გითხრათ, სააკაშვილზე ლაპარაკისას ერთგვარ წინააღმდეგობაშიც კი ვფარდებო — მისი იდეები ჩემი შეგნებებით ცხოვრების მანძილზე ის ქვეყნის ერთადერთი მმართველია, ვისადმი სიმპატიით ვარ განწყობილი. გულახდილად რომ გითხრათ, კომუნისტებიდან მოყოლებული, მისი წინამორბედები უბრალოდ, მძულდა. ამიტომაც მისი გაკრიტიკება რაღაცნაირად მიჭირს. მაგრამ, სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას: — თუნდაც მისგან სასიკეთოდ, საგარეო პოლიტიკაში სააკაშვილი მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს, რადგან ახერხებს, კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული, რეალური შედეგი და სარგებელი კარონახის როგორც თავისი სახელმწიფოსთვის, ისე მეორე მხარისთვის. სტამბოლში საქართველოს პრეზიდენტი ისე მიიღეს, როგორც სამაგალითო მოსწავლე, რომელთანაც ლამის სურათის გადღეობაც კი დიდი ქვეყნების მეთაურებისთვის საამაყო იყო. გასულ კვირას, მოსკოვის არაოფიციალურ სამიტზე, სააკაშვილი პუტინმა ისე მიიღო, როგორც „მასწავლებელმა“ წარჩინებული „მოსწავლე“, რომელსაც გავლენიანი მშობლები ჰყავს... თუმცა, ალბათ აჭარისგან განსხვავებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარების სანაცვლოდ საქართველოს გაცილებით მნიშვნელოვანი დამოთხებით მოუწევს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა უკვე მოსკოვში ყოფნისას განაცხადა, რომ საქართველოში სხვა ქვეყნის, და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები არ იქნება. თუმცა რუსეთისთვის მხოლოდ ეს საკმარისი არ აღმოჩნდება. ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საქართველოს გაცილებით მნიშვნელოვან დამოთხებებზე მოუწევს ნასვლა და სწორედ აქ იკუთვნება საფრთხე — ვაითუ ხელისუფლებამ საშინაო პოლიტიკის მიმართ ყურადღება მოადგნოს. ამის ცდუნება და საშიშროება ძალიან დიდია მაშინ, როდესაც მოსახლეობა ასე გენდობს. მაგრამ „ნისიატ“ გაცემული ნდობა დიდხანს ვერ გასტანს. დღეს ხშირად ლაპარაკობენ, რომ უნდა ჩამოყალიბდეს სამოქალაქო საზოგადოება, რომ ხალხს არა აქვს სამოქალაქო საზოგადოების დამახასიათებელი მენტალური ჩვევები...

სისილო, როგორც
მა“ წარჩინებუ-
ლე“, რომელსაც
ობლები ჰყავს...
ლბათ აჭარისგან
ით, აფხაზეთისა
მხრეთ ოსეთის
ბის მოგვარების
საქართველოს
მნიშვნელოვანი
ობები მოუწევს.

ბა გააჩნია. ასეთი პოლიტიკით ხელისუფლება და ხალხი ვერ გამოთინავდება; არადა, სახელმწიფო სწორედ და ორი კომპონენტის ნაკერებს წარმოადგენს და სხვა არაფერს. აქედან იწყება ეკონომიკის აღორძინებაც და პოლიტიკური წარმატებებიც, ხალხი უნდა გრძნობდეს, რომ ის არის მთავარი შემოქმედი სახელმწიფოში მიმდინარე ყველა უმნიშვნელოვანესი პროცესისა.

სამწუხაროდ, აქ იმ ხდება — უკანასკნელ პერიოდში რამდენიმე უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილება მოსახლეობას მშაბზარეოში რეაქციის სახით შესთავაზეს და მერე ისე მიიღეს, მისთვის არაფერი უკითხავთ. როდესაც ხალხს კითხვები გაუჩნდა — თუნდაც ყველაზე პატარა ფაქტებს, ხელკრებიტ უკასუსეს.

თუნდაც ძალიან კარგი, მაგრამ თავსმოხვეული გადანაცვებებით სრულფასოვან და დემოკრატიულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ...

დაჩი გრძელიშვილი
იზო რიკაძე

სულ მალე ჩვენი ქვეყანა მთელ მსოფლიოს სკანდალურ სიახლეს შესთავაზებს. ქართველი მეცნიერები დღემდე უარეცხდნენ გამოგონების შესახებ აკეთებენ განცხადებას. საქმე ეხება მიღწევის ძრავებში წყლის ენერგიის გამოყენებას. ახალმა გამოგონებამ პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა. სახელდახლოდ აწყობილი გენერატორი, რომლის ავზი ბენზინის ნაცვლად წყლით იყო სავსე, ამუშავდა და ენერგია გამოყოფილ. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ამბავი შეიძლება მსოფლიოს გეოეკონომიკური გადატრიალების საფუძვლად იქცეს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებს ეს აღმოჩენა პრაქტიკაში დაწერვას. თუ ასე მოხდა, მთელ დედამიწაზე ეკოლოგიური მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლება. ამოისუნთქავენ ის ქვეყნები, რომლებიც ნავთობპროდუქტების იმპორტიორები არიან. სამაგიეროდ, უშიშეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ქვეყნები, რომელთა ეკონომიკა ნავთობისა თუ სხვა ენერგომატარებლების გაყიდვაზე არის დამოკიდებული. ერთი სიტყვით, ახალ გამოგონებას მტერი ბევრი ჰყავს და მოყვარეც. სწორედ მათზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოში გაკეთებული აღმოჩენა.

არადა, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მეცნიერები ამავე მიზნით წყლის ენერგიის დამოკიდებულებას შეცვლიდნენ. გასული საუკუნის სამოციან წლებში ამერიკაში ვინმე ჯონ სმიტმა შეკრებილი მეცნიერებისა და ჟურნალისტების თვალწინ საყოველთაო მანქანის ავზში ერთი ჯედრო წყალი ჩაასხა და მანქანა ჩვეულებრივ დაქოქა. წარმატებული ექსპერიმენტის მიუხედავად, სმიტი აფერისტად მოხაზეს. თაღლითობა დააბრალეს ყველა იმ პირსაც, ვინც მსგავსი გამოგონების შესახებ გაკეთა განცხადება. მართლაც აფერისტები იყვნენ ისინი თუ გენიალური აღმოჩენები, დღეს ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს ვერსია, რომ გამოგონებები ნავთობმწარმოებელმა კომპანიებმა მილიონებით ჩააშთეს. ამ ვერსიიდან რომელია სწორი, ძნელი სათქმელია. დღეს ფაქტია, რომ ქართველი მეცნიერები წყლის ძრავის პირველად მომხმარებელი არიან — თუ, რა თქმა უნდა, „ბინგო“ (ასე ჰქვია ახალ აპარატს) მეცნიერულ შემოწმებებსაც გაუძლებს და სხვადასხვა ქვეყნის შემოტყუვასაც. ყველაფერს უახლოეს მომავალში აჩვენებთ ვერსიები. რა გეგმები აქვთ აღმოჩენის ავტორებს, ამ საკითხზე „კვირის პალიტრას“ ერთ-ერთი გამომგონებელი, **დავით ჩაჩანიძე** ესაუბრება:

— ახალ გამოგონებას „ბინგო“ დავარქვით. კაზინოში აპარატი სამ შვიდიანს რომ ჩამოყრის და „ბინგო“ დაენერგება, ეს იმას ნიშნავს, რომ მოიგე. ასევე ეს აღმოჩენაც, რაც არა მარტო ჩვენი, არამედ ნებისმიერი ადამიანის მოგებას ნიშნავს.

— რამდენ ხანს იქნებოდა „ბინგო“?

— იდეა დიდი ხანია არსებობს. ნავთობპროდუქტების ალტერნატივის მოძებნას ბევრი ცდილობდა, მაგრამ ვერავინ შეძლო ასეთ აღმოჩენამდე მისვლა.

— გასულ საუკუნეში რამდენჯერმე გაკეთდა განცხადება, წყლის საწვავად გამოყენების შესახებ.

— წყალბადის ენერგიის გამოყენებით შეიძლება შექმნეს კიდევ რამე, მაგრამ არა მგონია, პროდუქტიული იყოს.

— წყალბადის ენერგიის გამოყენება მომგებიანი არ არის?

— სამიშაია, რადგან სუფთა წყალბადის გამოყოფისას უკონტროლო ენერგია გამოიყოფა, რასაც შეიძლება აფეთქება მოჰყვეს.

— ანუ, თქვენი მანქანა წყალბადით იმუშავებს?

„საქართველო გახდება ღონიერი ქვეყანა ანუ ქვეითი პლუს ეკაი“ (?)

რამდენს შესთავაზებენ ნავთობმაგნატები „წყლის მანქანის“ ავტორებს და რას მოიგებს საქართველო?

დის ენერგიაზე არ არის დამოკიდებული?

— ჩვენს აპარატში მგრგვინავი გაზის გამოყოფა ხდება. მგრგვინავი გაზს წყალბადზე ათასჯერაფერ მეტი ძალა აქვს.

— რამდენად უსაფრთხოა მგრგვინავი გაზის გამოყოფა?

— უსაფრთხოა, არსებობს ძალიან მცირე შანსი იმისა, რომ რამენაირი მცირე აფეთქება მოხდეს. თანდათან ესეც დაიხვეწება და გამოირიცხება.

— როგორ მხედით იმ დასკვნაზე, რომ წყალბადის ნაცვლად მგრგვინავი გაზის მიღებაზე უნდა გვეფიქროს?

— მგრგვინავი გაზის მიღებაზე არავის უმუშავია. არც უფიქრობია ამაზე. ხელშეუხებელი თემა იყო. ჩვენ კი სწორედ ამ გზით წავედით. მთავარი იყო, დაგვექოქა და დაგვექოქეთ.

— რა რეაქცია მოჰყვა ამ გამოგონებას საზოგადოებაში?

— უცხოური ტელევიზიები ჩამოვიდნენ, იყვნენ გაეროსა და ეუთოს წარმომადგენლები. რეკავენ მეცნიერები. ახლა შეიქმნება სამეცნიერო საბჭოც. ჯერ კი მათ მხოლოდ უკვირთ. ასეც არის. ეს დაუჯერებელი ფაქტია, მაგრამ ჩვენ არაფერს ვხედავთ. რა თქმა უნდა, საიდუმლო გვაქვს, მაგრამ თუ ნებისმიერი მეცნიერი, ან ვისაც ცოტა ფიზიკა და ქიმია უსწავლია, მოვა და დაინტერესდება, ვაჩვენებთ, რა და როგორ ხდება.

— სულ რამდენმა გამოგონებელმა მიიღო აღმოჩენაში მონაწილეობა?

— ეს ჯერ გასაიდუმლოებულია. ამას თავისი მიზეზები აქვს.

— ეს სიახლე ნიშნავს, რომ ნავთობი აღარ იქნება მთავარი ენერგომატარებელი. ეს ფაქტორი კი ალბათ ნავთობმაგნატთა ქვეყნების თუ კომპანიების სამიზნედ გაცეცხვით.

— ამისათვის დამცავი მექანიზმები გვაქვს. ინტერნეტში შექმნილია ვებ-საიტი. ზეწოლის შემთხვევაში, ინფორმაცია მთელ მსოფლიოში გავრცელდება.

— რა წერია იქ?

— აბსოლუტურად დაშლილია ფორმულა. მისი გაცნობის შემთხვევაში, ნებისმიერს შეუძლია ააწყოს ეს აპარატი და მოიხმაროს.

— ნავთობკომპანიებმა რომ შემოგთავაზონ დიდი ფული რას იზამთ?

— ჩვენ ვაცნობიერებთ, რასთან გვაქვს საქმე. ეს იქნება მთელი მსოფლიოს სახეცვლილება როგორც მეცნიერული, ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. მაგრამ დედამიწა დგას ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე... ჩვენს შემთხვევაში ტოქსიკურ გამოწვევასთან აღარ გვექნება საქმე. პირიქით, მგრგვინავი გაზის გამოყოფისას მანქანის ჩამწობიდან მომწამვლელი ნივთიერებების ნაცვლად სუფთა ჟანგბადი გამოვა(!); ანუ ჟანგბადით გამდიდრდება სამყარო.

— თქვენ მაინც არ მიპასუხეთ, დიდი ფული რომ შემოგთავაზონ, როგორ მოიქცევით?

— აღმოჩენა გავცხადებთ მთელ მსოფლიოში. ახლა ველით, რა რეაქცია ექნება და რა გადაწყდება. გვინდა, ჩვენი აღმოჩენა საქართველოში დაინერგოს, თორემ წინადადება უამრავია და მოლაპარაკებებიც გვაქვს.

— ანუ ფული შემოგთავაზეს?

— არა მარტო. გვითხრეს, რომ წარგადგენდნენ ნობელის პრემიაზე დროზე ადრე, მოგვანიჭებენ აკადემიკოსის სტა-



ტუს.

— სანაცვლოდ რას ითხოვენ?

— არაფერს. უნდათ ყველაფრის დანვრისთვის გაცეცხვა.

— ეს მეცნიერული ინტერესია. მე გვკითხვით ნავთობმაგნატებზე. თუ ეს აღმოჩენა დაინერგება, ნავთობკომპანიების ქვეყნები გაღატაკდებიან.

— მაგისტრისაც გვაქვს კონსტრუქციული წინადადებები. უკვე ვიფიქრეთ ამაზე.

— კონსტრუქციული რა უნდა იყოს, ნავთობს თუ ვერ გაყიდნენ, გავიწყდება?

— იმდენი აქვთ ნაშოვნი, შეიძლება ვიღებთ ყოველს. ნავთობის ამოქაჩვის დროს ხომ დედამიწა იფიტება?

— ძველი „ნაშოვნი“ არასაკმარისი არგუმენტია, რომ ნავთობზე ბედს შეურდნენ, მაგრამ მყარი არგუმენტი იქნება ფული, რომელსაც შემოგთავაზებენ.

— ჯერ არაფერი შემოუთავაზებიათ, მაგრამ გაანია, რას და რა ფორმით შემოგთავაზებენ გამოგონების დაკონსერვებას.

— ადრე თუ გვიან, მაინც ნაშოვნი იქნება ეს საკითხი. მით უმეტეს, როგორც მეცნიერები ამბობენ, დედამიწაზე ნავთობის მხოლოდ 150 წლის მარაგი დარჩა.

— და თქვენც, დიდი თანხის შემოთავაზების შემთხვევაში, შეინახავთ გამოგონებას და 150 წლის გასვლას დაელოდებით?

— ვიმეორებ, ჩვენს ჯგუფს ყველაფერი აქვს მოფიქრებული და... გააჩ-

ნია, ვინ როგორ მოვა და ვინ რას გვეტყვის. ისე, როგორ ფიქრობთ, მაინც რამდენი უნდა შემოგთავაზონ?

— ვთქვით, 100 მილიონ დოლარს. ნავთობპროდუქტების მწარმოებელ ქვეყნებს ამ თანხის მოგროვება არ გაუჭირდება. სამაგიეროდ, პირობას ჩამოგართმევთ, რომ ამ აღმოჩენას დაიფინანსოთ. ვთქვით, 100 წლით მაინც.

— მეჩვენებ, სხვა გამოგონებებს რაღა ვუყვით?

— ჩვენ ახლა ამ კონკრეტულ აღმოჩენაზე ვლაპარაკობთ.

— მომავალი გვიჩვენებს, რა როგორ იქნება.

— ეი. შეიძლება ნავთობმაგნატებისთვის გამოსავალი გამოიქნებოდეს?

— შესაძლებელია, ალბათ, არ ვიცი.

— ანუ, 100-150 წლით დააკონსერვებთ?

— თქვენ მაინც გაინტერესებთ, ვაპირებთ თუ არა შეიხებთან საქმის დაჭერას. მესამე მსოფლიო ომის დაწყებას წამდელია არ გვეგეგმება და არც გვინდა, რომ ამის საბაზი გავხდეთ. აღმოჩენის ბედს მარტო ჩვენ არ ვწყვეტთ. მსოფლიო საზოგადოებასაც ეთქმის სიტყვა და ვერდიქტი მან უნდა გამოიტანოს. ჩვენი სურვილია, რომ ეს ყველაფერი საქართველოში დაინერგოს. ეს ქვეყანას არსებულ მოგებას მოუტანს. მარტო გამოგონებებზეა თუ ფული ავიღეთ, რაღა ვუყვით საქართველოს?

— ამისათვის რა არის საჭირო?

— ბევრი არაფერი. მთავრობის კეთილი ნება, ინვესტიციების მოზიდვა და სამუშაო პირობების შექმნა.

— ტექნოლოგია ძვირია?

— არ არის ძვირი. საკმაოდ იაფი ჯდება. კონვეიერული სისტემა გაკეთდება და რამდენსაც გინდა, იმდენს გამოუშვებ. ამისთვის ნორმალური სამუშაო ადგილი, ლაბორატორია და თანხა საჭირო. რალაც დეტალები კიდევ დასახვეწია. აპარატიც აშეულა არ იქნება, უფრო დაბატრავდება.

— მაინც რა ცვლილებები ხდება შიგნით?

— ისეთი არაფერი იცვლება (იცინის), გარდა იმისა, რომ ჩვენი რეაქტორი თავისი მოწყობილობითურთ დამონტაჟდება, ვასახამ წყალს, დავექოქათ და წადი, სადაც გინდა.

— წელან სხვა გამოგონებები ასხენით. კიდევ რა საკითხებზე მუშაობთ?

— არის არანაკლებ სერიოზული გამოგონებებიც. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ მზად არ ვართ. რამდენიმე სხვადასხვა თემაა, ბოლო შტრისებია დასამთავრებელი. ახლა რომ გითხრათ, შეიძლება გართულებები მოჰყვეს.

— იქნებ ზოგადად მაინც მოთხრობთ?

— რა გითხრათ, ჰერესა და მაგნიტზეა ლაპარაკი.

— ჰერეს ენერგიის გამოყენებას გულისხმობთ?

— ახლა ვერაფერს გეტყვით. ისევ „ბინგოს“ დაგუბრუნდით. როგორმე უნდა მოხერხდეს და საქართველოში დაინერგოს. იცით, ეს რას ნიშნავს? საქართველო გახდება ღონიერი ქვეყანა — წარმოიღვინეთ ქუვეითი პლუს ეკაი...

ჩვენს რესპონდენტს თუ დავერწმუნებით, საქართველოს და დანარჩენ სამყაროს საინტერესო მომავალი ელოდება. რა იქნება შემდეგ, ამ კითხვას ალბათ მალე გაეცემა პასუხი. დღეს მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ქართულ ფერმონურ მანქანას დიდი გამოცდა ელის. როგორც არაერთხელ ვთქვით, ნავთობმწარმოებელი ქვეყნებისთვის ეს არასასურველი სიახლეა. თუმცა „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას ეკონომიკის ექსპერტი გიორგი ბერიშვილი აცხადებს, რომ ჩვენი ხელისუფლების მხარდაჭერის შემთხვევაში, ახალ გამოგონებას მეგობარიც ბევრი ეყოლება. უპირველესად, იგულისხმება ევროპა და ამერიკის ის ქვეყნები, რომლებიც იძულებული არიან, მამასისლად შეიძინონ ნავთობპროდუქტები თუ სანავი იაფი. ქართული აღმოჩენა მათ ამ პრობლემისაგან ერთხელ და სამუდამოდ გაათავისუფლებს. ასე რომ, ქართველ მეცნიერებს მხარდაჭერებიც ეყოლებათ.

P. S. ასეთია ერთი უნიკალური გამოგონების დაბადების ისტორია. მისმა ავტორებმა საქართველოს პრეზიდენტს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს მიმართეს დახმარებისთვის. როგორც მეცნიერები ამბობენ, გამოგონების დაინერგვას კოლოსალური თანხები არ სჭირდება. სამაგიეროდ, კოლოსალური მოგებას პირდება ქვეყანას. ამიტომ კარგი იქნებოდა, თუკი პროცესი დაჩქარდებოდა. ეს დღეს თუ არ მოხდა, ნავთობის მარაგის გათავების შემდეგ მეცნიერები მაინც დადგებიან ანალოგიური ამოცანის წინაშე. ასე რომ, ქართულ აღმოჩენას დღეს თუ პატრონი გამოუჩნდა და იგი პრაქტიკაში დაინერგა, 150 წლის, ანუ ნავთობპროდუქტების ამონურვის შემდეგ, აღარავინ დაიწყებს თავის მტერებას, თუ როგორ უნდა მიიღოს და გამოიყენოს წყლის ენერგია.

დავით დევიძი

მოსმინეთ ამერიკის ხმის

გადმოცემა კრიულდ ცაზე

კოორდინატები 13:30-დან 23:00

საინტერესოა "მთავარი რადიო"

და "რადიო 2011" გადმოცემა

VOPE >

www.VOAnews.com

ნიკო ფიროსმანაშვილმა ერთ-ერთ შესვენებაზე მხატვრებს უთხრა: „აი, რა გვინდა, ძმებო: უსათუოდ საჭიროა ავანშროთ დიდი ხის სახლი სადმე ქალაქის შუაგულში, რომ შევიყარნეთ ხოლმე. ვიყიდოთ დიდი სტოლი და სამოვარი, ცხვთ ჩაი და ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე... თქვენ ეს არ გინდათ, თქვენ სულ სხვა რამეებს ლაპარაკობთ“. ფიროსმანის ნათქვამი მაშინ სრულიად ახალგაზრდა ლაღო გუდიაშვილმა ჩაინერა. გავიდა ხანი და მხატვრებს საგამოფენო დარბაზები აუშენეს. მერე თბილისში რაიონებიდან ჩამოსული, სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობისთვის სტუდენტობებიც აშენდა. გული არც ბავშვების დასწევტეს და ნოდარ დუმბაძის მეცადინეობით ვაკეში საბავშვო ქალაქს, „მზიურს“ ჩაეყარა საფუძველი. ხელისუფლებას მეცნიერებიც არ დაეინყებია და მათ სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე 25 ჰექტარი მიწის ფართობი გამოუყო, ე. წ. აკადემქალაქის ასაშენებლად. გავიდა ხანი. ვაკეში მშენიერი სტუდენტობებიც აშენდა, სადაც მრავალმა სტუდენტმა დაუვინყარი წლები გაატარა, „მზიურშიც“ ხარობდნენ ბავშვები. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი. საქართველომ ნანატრი თავისუფლება მოიპოვა და ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს შენების ძნელ გზას დაადგა. ახალმა შესწობილებამ, ასევე ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს კორუმპირებული ხელისუფლების ხელშეწყობით, ერთბაშად გამდიდრებულითა ფენა წარმოშვა. დღის წესრიგში „ახალი ქართველები“ ბინებით დაკმაყოფილების საკითხი დადგა. ბევრმა ძირძველმა თბილისელმა, რომლებმაც ახალ ცხოვრებას ალლო ვერ აუღეს და უმუშევრები დარჩნენ, სახლებისა და ბინების გაყიდვას მიჰყო ხელი. მყიდველები უცრად გამდიდრებულითა ფენის წარმომადგენლები იყვნენ. სახლომანისა და ბინომანის სენი კორუმპირებული ხელისუფლების ჩინოვნიკებსაც და ე. წ. „ნითელ დირექტორებსაც“ კარგა ხნის შეყრილი ჰქონდათ და მათ თვალის დადაქალაქის პრესტიჟულ უბნებს დაადგეს. პრესტიჟული უბნები კი უკვე ათვისებული გახლდათ და მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩებოდა, საერთო-საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთებზე გაშენებული სტუდენტობების, ბაღების ნგრევა და მათი სამშენებლო მოედნებად გადაქცევა. ხელს ვინ შეუშლიდა? ხელისუფლებამაც ისინი იყვნენ და საამისო სახსარიც ჰქონდათ.

თავდაპირველად, მათ კლანჭებში სკვერები მოექცა, მერე სტუდენტობების ათვისებაც დაიწეს. დღეს ვაკის სტუდენტობის პირობითად თუ უწოდებს კაცი „სტუდენტობას“. იგივე ბუდი გაიზიარა საბავშვო ქალაქმა „მზიურმა“ და თუ მდგომარეობა რადიკალურად არ შეიცვალა, იმ მიწის მცირე ნაწილზეც, სადაც ბავშვები თამაშობდნენ, კიდევ ერთი მშენებლობა გაჩაღდება.

უკანასკნელ წლებში თბილისში მტკად მომგებიანი გახდა სამშენებლო ბიზნესი. როდესაც დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში ერთი გოჯი მიწაც აღარ დარჩა ათვისებული, სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენლებმა, ჩინოვნიკებმა და ქართველმა ბიზნესმენებმა მზერა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კუთვნილ ტერიტორიას მიაყრეს. სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია (25,2 ჰექტარი) საქართველოს მთავრობის დადგენილებით ჯერ კიდევ 1947 წელს გადაეცა უზუსტურქუტუსის (სხვისი ნივითი საშუალო თუ ვადაგანასაზღვრული სარგებლობის უფლება ნივთის განუცხდისებლად და მთლიანობა-უწყნებლობის პირობით) წესით მეცნიერებათა აკადემიის. წლების განმავლობაში რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო დაწესებულება მართლაც აშენდა, მაგრამ დედაქალაქის ცენტრში მეცნიერებათა ქალაქის აშენების იდეა წელ-წელა მივიწყებას მიეცა. წლების განმავლობაში ამ ტერიტორიაზე უკანონოდ შეიჭრა ხალხი, ააშენეს ბარაკული ტიპის საცხოვრებელი ბინები (რომლებიც სახელმწიფომ მოგვიანებით მათ საკუთრებაში დაუმტკიცა), მაგრამ უზარმაზარი ტერიტორია მაინც ხელუხლებელი რჩებოდა და, ბუნებრივია, ზოგ ჩინოვნიკსა და სამშენებლო ბიზნესით დაკავებულ პირს მოსვენებას არ აძლევდა... დაიწყო კიდევ ჩანაფიქრის რეალურად განხორციელება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა, ქალაქის მერიის ხელმძღვანელობასთან ერთად, თვითონ შეუწყო ხელი აკადემქალაქის ტერიტორიის ერთ მთლიან უზარმაზარ სამშენებლო მოედნად გადაქცევას. მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების აშენება მშრომელთა ხალხის საბინაო პირობების გაუმჯობესების სურვილითა და ბარაკებში მცხოვრებთა მოთხოვნით ახსნეს(!) თუმცა ვითარებაში უკეთ გასარკვევად, უმჯობესია დოკუმენტების ენით ვილაპარაკოთ. ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა აკადემქალაქის ტერიტორიაზე, ბარაკებში მობინადრეთა წერილი, რომლითაც ისინი 2000 წლის 29 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ალბერტ თავჭელიძეს მიმართავენ (სტილი დაცულია): „როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი კუთვნილი სახლები არის ბარაკული ტიპის, სადაც ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნა შეუძლებელია. ასევე, ჩვენი სახლები ამჟინჯებს თბილისის იერს. ახალი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, თუ პირი მიწის ნაკვეთს 15 წლის განმავლობაში უფლობს, იგი მისი საკუთრება ხდება. ჩვენ აკადემქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთებს სამოცი წელია ვფლობთ. ჩვენი გაჭირვება გელთან მიიტანა თბილისის მერმა და პრემიერმა და მოგმართეს ჩვენი დახმარების თხოვნით. გათხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი საბინაო პირობების სამწიფო მდგომარეობა და... ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობას „მეგობრობას“ ჩვენ მიერ დაკავებული ორი ჰექტარი მიწის ნაკვეთი დაუმარგოთ საცხოვრებელი კორპუსების ასაშენებლად“. წერილს ხელს აწერს 52 კაცი. ასეთივე შინაარსის წერილი ქალაქის

მერიამაც მიიღო. თბილისის მერმა და აკადემიის პრეზიდენტმა წერილობით ერთმანეთს რამდენჯერმე მიმართეს, სადაც ძალზე „შენუხებულ“ ჩანდნენ ბარაკის მცხოვრებთა გაუსაღლისი საცხოვრებელი პირობებით და გადაწყდა, — ბარაკებში მოსახლეთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად აკადემქალაქისთვის ჩამოეჭრათ ორი ჰექტარი. ჩვენ ხელთ გვაქვს თბილისის მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის დადგენილება, სადაც გვითხულობთ (გათავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით): „ქ. თბილისის მერიამ განიხილა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის 2000 წლის 14 სექტემბრის დადგენილება — „ინდივიდუალურ მენა-

ილს, რომლის საფუძველზეც აკადემიამ მერიასთან შეთანხმებით მიწის ორი ჰექტარი გამოუყო მენაშენეთა ამხანაგობას, 14 ისეთი პირი აწერს ხელს, რომლებიც აკადემქალაქის ტერიტორიაზე არ ცხოვრობენ. სიცრუით დანყებული საქმე ასევე გაგრძელდა. მენაშენეთა ამხანაგობამ ივალდებულა ბარაკში მოსახლეთა თითოეული ოჯახის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება, მაგრამ დღემდე ამაოდ ვეღოთ ბინებს. ჩვენთან არავის დაუდგია ინდივიდუალური ხელშეკრულებები. დავადგინე ისიც, რომ თავდაპირველად „მეგობრობას“ პროექტით გათვალისწინებული ჰქონდა 8 ან 9-სართულიანი კორპუსების მშენებლობა. შემდეგ პროექტში სართულიანო-

გადავრჩით. მომატყუა ბასილაშვილმა.“

ჩვენ გავსაუბრეთ აკადემქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელს, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. მან განაცხადა: „ხელისუფლებამ მეცნიერებათა აკადემიას ეს ტერიტორია უზუსტურქუტუსის წესით გადასცა. მეცნიერებათა აკადემიის უფლება აქვს მიწის ნაკვეთი გამოიყენოს, მოუშალოს, ოღონდ არა აქვს მისი გაყიდვის ან იჯარით გაცემის უფლება. მიუხედავად ამისა, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა კანონი დაარღვია — ამხანაგობა „მეგობრობას“ ორი ჰექტარი 99 წლით იჯარით გადასცა. ამის უფლება აკადემიას არ ჰქონდა, რადგან მიწის მესაკუთრე ქალაქის მერიაა. მაგრამ მიწის ნაკვეთების უმრავლესობა ავაცი ჩხაიძემ, ნუგზარ გაბრიძემ და სხვა გავლენიანმა პირებმა დაისაკუთრეს. ბარაკების მოსახლეობაც შეპირდა მშენებლებს მიწას იმ პირობით, თუ ისინი მრავალსართულიან კორპუსს ააშენებდნენ და მათ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებდნენ. ვისაც სადაც სურს, იქ აშენებს კორპუსებს. რამდენიმე ხნის წინ აკადემიამ შპს „აკადემქალაქი“ დააფუძნა და მშენებლობების განაშენიანების გენერალური გეგმის მიხედვით წარმართვა დააეალა. სინამდვილეში, სწორედ შპს „აკადემქალაქი“ ცდილობს მშენებლობებზე მონოპოლიის მოპოვებას. ისე ნაფიდა საქმე, აკადემქალაქის ტერიტორიაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეზოების ჩამორთმევაც კი მოინდომეს, რათა იქ კიდევ კორპუსები ააშენონ. ჩვენი ინსტიტუტის დირექტორმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია აკადემიის პრეზიდენტის მოადგილეს, ბოჭორიშვილს. ამჯერად, მგონი, გადავრჩით, მაგრამ როდემდე გავუძლებთ, არ ვიცით“.

ჩვენ მოვიპოვეთ აკადემქალაქის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი კომპლექსის პირველი ეტაპის მშენებლობის პროექტზე სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნა. გთავაზობთ მას მცირეოდენი შემოკლებით (სტილი დაცულია): „აკადემქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა, რომელსაც საფუძვლად დაედო ქალაქმშენებლობითი პარამეტრები, იმდენად დაირღვა, რომ გენერალური გეგმის პროექტის შეთანხმებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ საჭირო გახდა მისი კორექტირება. ნათლად იკვეთება სურათი, რომ აკადემქალაქის ტერიტორია მცირდება, ხოლო კომერციული ბინათმშენებლობის იზრდება, ე.ი. მეცნიერებათა აკადემიის ინტერესები ეწირება უცხო ინტერესებს(!). მაგალითად, აკადემქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის წინ კერძო საკუთრებაში გაცემულია ორი ნაკვეთი. მათგან ერთზე უკვე აშენდა მრავალბინიანი სახლი. ასეთი რამ პრინციპულად ეწინააღმდეგება მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის ქალაქმშენებლობის იდეას და მიუღებელია სამართლებრივად, ვინაიდან კომპლექსის ტერიტორია მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსგან დამაგრებული აქვს უსასყიდლოდ უზუსტურქუტუსის წესით და არა იმიტომ, რომ იგი კვარტალეზად დასაყოს და გასცეს კერძო საკუთრებაში, არამედ იმიტომ, რომ ამ ტერიტორიაზე მიზანდასახულად, ეტაპობრივად განხორციელდეს მეცნიერებათა აკადემიის შენობა-ნაგებობათა კომპლექსის მშენებლობა. თუ ეს დღეს შეუძლებელია, ნაკვეთი ხელუხლებლად უნდა შეენახოს მომავალ თაობას მანამდე, სანამ მეცნიერებათა აკადემიის მშენებლობის იდეა იარსებებს სახელმწიფოში... ასევე სრული განუკითხაობა კომერციული ბინათმშენებლობის ზონაში, სადაც მშენებარე ნაგებობათა უმეტესობა უკანონოა, ვინაიდან მათ არ გაუვლიათ სახელმწიფო ექსპერტიზა და პროექტების დამტკიცების აუცილებელი პროცედურა... ამასთანავე, ბინათმშენებლობის ზონა რომ დაეარსებოდა მეცნიერებათა აკადემიისათვის, ნათელია იმ ფაქტიდანაც, რომ დღეს მეცნიერებათა აკადემიას ამ ზონაში მიმდინარე ინტენსიური კომერციული ბინათმშენებლობისგან არავითარი სარგებლობა არ აქვს. ამასთანავე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული მოსახლეობის სიმჭიდროვე, ექსპერტის ანგარიშით, სამჯერ აღემატება ნორმატიულს(!) საცხოვრებელი ზონისა და აკადემიის კორპუსების ზონის გაერთიანება ერთ საზოგადოებრივ საქმისა ზონად არამართებული და მოგონილია მხოლოდ იმიტომ, რომ საცხოვრებელ ზონას მიეკუთვნის განაშენიანების სიმჭიდროვის მაქსიმალური კოეფიციენტი(!)“

ასევე საყურადღებოა ამონაწერი გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წერილიდან ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროსადმი: „მეცნიერული პროექტების განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა და სამომხ მომარტვის გამზირის მარცხენა ფერდობი, სადაც 11-სართულიან შენობას და „აკადემქალაქში“ ასასვლელი გზის გადაკვეთამდე, ადგილი აქვს მენყრების პერიოდულ გააქტიურებას. არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ ამ პროცესებმა კიდევ უფრო დიდი მასშტაბები მიიღოს და უშუალო საშიშროება შეუქმნას მეცნიერული ფერდვის ახლოს მდებარე კაპიტალურ ნაგებობებს(!)“.

ვსაუბრებოთ სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს უფროსს, ბატონ **გიორგი მურღულიას**: „არ გგონოთ, აკადემქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა სახელმწიფო ექსპერტიზის გავლის შემდეგ დაამტკიცა არქიტექტურის სამსახურმა. სახელმწიფო ექსპერტებმა აკადემქალაქის განაშენიანების გენერალურმა გეგმამ მხოლოდ წელს, ისიც ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელთა მოთხოვნით გაიარა. არადა, მშენებლობები აკადემქალაქში ჯერ კიდევ 2000 წელს დაიწყო.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

დედაქალაქი შექმნილია „არქიმეზიტული საპირიოები“



ქალის აკადემქალაქის გერიტორიაზე...

ასეთი რამ პრინციპულად ეწინააღმდეგება მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის ქალაქმშენებლობის იდეას და მიუღებელია სამართლებრივად, ვინაიდან კომპლექსის ტერიტორია მეცნიერებათა აკადემიას სახელმწიფოსგან დამაგრებული აქვს უსასყიდლოდ უზუსტურქუტუსის წესით და არა იმიტომ, რომ იგი კვარტალეზად დაყოს და გასცეს კერძო საკუთრებაში...

შენეთა „მეგობრობისათვის“ აკადემქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის დამაგრებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. როგორც ირკვევა, ეს ტერიტორია არ წარმოადგენს სამეცნიერო დანიშნულების ქონებას. მასზე განლაგებულია ბარაკები და მოსახლეთა ბაღ-ბოსტნები. ამ მიწის ნაკვეთზე ამხანაგობა „მეგობრობა“ კისრულობს საცხოვრებელი კორპუსების აშენებას, რითაც უფასოდ დაკმაყოფილებს ბარაკებში მცხოვრებთა მოთხოვნებს (ზოგიერთ დოკუმენტში მითითებული არ არის, რამდენი ოჯახი უნდა დაეკმაყოფილებინა უფასოდ ბინით „მეგობრობას“. ზოგან 70 ოჯახია მითითებული, ზოგან კი 80. — ზ. ჩ.) და 20-პროცენტია შეღავათით აუშენებს მისთვის აკადემიის თანამშრომლებს, რის შემდეგაც მერიამ მიიღო გადაწყვეტილება „მეგობრობისთვის“ გაეფორმებინა აღნიშნულ მიწის ფართზე ხელშეკრულება.

ერთი შეხედვით ყველაფერი კანონიერად მიმდინარეობს, მაგრამ კვლავ დოკუმენტებს მივუბრუნდეთ. არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის არქივში ინახება ხელშეკრულება, რომელიც ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მეგობრობას“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შორის არის დადებული. ჩვენი ყურადღება ხელშეკრულების მე-3.4 პუნქტმა მიიპყრო: „მეგობრობა“ ვალდებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე ბარაკებში მცხოვრები ოჯახები უფასოდ დაეკმაყოფილოს ბინებით. თითოეულ ბარაკში მცხოვრებ ოჯახთან გააფორმოს დამოუკიდებელი ხელშეკრულება და დამოუკიდებლად იკისროს მის შესრულებაზე პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, ვალდებულია დაეკმაყოფილოს გეოფიზიკის ინსტიტუტის წინ გათავსებული ერთი ოჯახი“.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება აკადემქალაქის ტერიტორიაზე, ბერბუთის ქუჩაზე მობინადრე ერთ-ერთი მოქალაქის, **დარეჯან მრავარიძის** კომენტარი. თურმე იგი რამდენიმე თვეა, რაც დამოუკიდებელ კერძო გამოძიებას აწარმოებს: — სამართალი რომ ვერსად ვნახე, იძულებული გახდი, კერძო გამოძიება დაეშეკრა. მინდოდა, გამეგო, რატომ ვერ მივიღეთ მენაშენეთა ამხანაგობა „მეგობრობიდან“ უფასოდ საცხოვრებელი ფართი. მშენებლობა საცაადმთავრდება, რამდენიმე ოჯახი უკვე შესასლად კიდევ, ოღონდ არა ბარაკების მობინადრეები. ის წერილი, რომელიც თითქმის ბარაკებში მობინადრეებმა გავაგზავნეთ მერიასა და მეცნიერებათა აკადემიამ, ყალბია(!). წერილი მენაშენეთა ამხანაგობის თავმჯდომარის, ქიჩირი ბასილაშვილის ნაყალბეგია — ექსპერტიზის გარეშეც ეტყობა, რამდენიმე ათეული ხელმოწერა რომ ერთი და იმავე პირის გაკეთებულია. ამასთან, წერილზე ისეთებიც აწერენ ხელს, იმ დროისთვის ერთი წლის თუ იქნებოდნენ. გარდა ამისა, წერ-

ბა გაიზარდა და 12-სართულიანი კორპუსების აშენება გადაწყდა(!). რეალურად კი 15-16-სართულიანები წამოიჭიშქნა(!). ვერსად მიაგნო პროექტს, რომლითაც დამტკიცებულია და ნება ქლევდა „მეგობრობას“ 16-სართულიანი კორპუსები ააშენოს. მე მაქვს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, გიორგი ბოჭორიშვილის კომენტარის აუდიოჩანაწერი. მასში ბატონი გიორგი ადასტურებს, რომ ამხანაგობა „მეგობრობას“ ბარაკებში მოსახლე 70 ოჯახი უპირველესად უნდა დაეკმაყოფილებინა. თუმცა ბოჭორიშვილი ამას საჯაროდ არ ამბობს. ჩემი აზრით, მენაშენეთა ამხანაგობის „მეგობრობის“ თავმჯდომარე ქიჩირი ბასილაშვილი მხოლოდ და მხოლოდ პაიკია. ყველაფერი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი წყვეტს, ხოლო ბოჭორიშვილი მის ბრძანებებს ამხანაგობის თავმჯდომარეს გადასცემს. ამ სამუშაო და ქალაქის ყოფილი მთავრობის რამდენიმე ჩინოსანმა მიიტაცეს დედაქალაქის ცენტრში პრესტიჟული მიწის ნაკვეთები და კომერციული ბინათმშენებლობა წამოიწყეს ჯობის გასასქელებლად. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც მოსახლეობამ პროტესტი გამოთქვა, სამეუღლე საიმედოდ შეინიღბა. დააფუძნეს შეზღუდული პასუხისმგებლობის სანარმო „აკადემქალაქი“ და მისი მეშვეობით გააგრძელეს საქმიანობა.

— **როგორც ვიცო, იმ ადგილზე, სადაც „მეგობრობაში“ საცხოვრებელი კორპუსი ააშენა (მცხოვრებლების პირობების გაუმჯობესების საბაბით), ბარაკები არ ყოფილა — ტერიტორია ათვისებული იყო.**

— იქ ბარაკებში მცხოვრებთ ბაღ-ბოსტნები გვექონდა. ალბათ გინდათ მკითხოთ, თუ ბარაკები არ იყო, რატომღა უნდა მოეცათ ახალმშენებულ საცხოვრებელ კორპუსში ბინებიო. საქმე ის არის, რომ კორპუსებთან მისასვლელმა გზამ ჩვენს ბარაკებზე უნდა გაიაროს, იქვე უნდა გაკეთდეს სხვადასხვა კომუნიკაცია. მერია ამ აკადემიამ ხომ იმ პირობით გასცეს მიწის ფართობი, რომ ბარაკებში მოსახლეები დაეკმაყოფილებინა. სინამდვილეში ყველაფერი ეს ფარსი იყო — მხოლოდ და მხოლოდ მიწის ნაკვეთების ხელში ჩაგდება უნდოდათ.

ჩვენ შევხდით მერიის დადგენილებაში მითითებულ „გეოფიზიკის ინსტიტუტის წინ მდებარე ერთი ბარაკის მცხოვრებსაც“. იგი **ნინო ჭიჭაძე** აღმოჩნდა: „მე 112 კვებტრ საცხოვრებელ ფართს შემპირდნენ, მაგრამ არც ხელშეკრულება დაუდგიათ ჩემთან და არც სხვა რაიმე დოკუმენტი მოუციათ. ქიჩირი ბასილაშვილმა მიითხრა, დაპირებულ ფართს მოგცემ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ შენი ბარაკის ადგილას მე დავიწყებ სხვა სახლის მშენებლობასო. იქ სახლს ვინდა ააშენებს? ადგილი აღარ დარჩა! ამას წინათ აშენ დაენარცხა მიწას და ძლივს

მოუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა აჭარის სტატუსი უკვე განსაზღვრა, პარლამენტარი კობა დავითაშვილი სოფელ-სოფელ დადის და ავტონომიის გასაუქმებლად მოსახლეობის ხელმოწერებს აგროვებს. ეტყობა, დავითაშვილს პარლამენტში შემოღებული სანქციების არ ეშინია, თორემ ასე ხშირად „შატალოზე“ სიარულს ვერ გაბედავდა, თუმცა ზოგიერთებმა კობა დავითაშვილის აჭარაში სიარულს სხვაგვარი ახსნაც მოუძებნეს. „შატალი-ისტ“ დეპუტატთან საუბარი სწორედ გაცდენებით დავინწყეთ:

— ჯერ არ დამტკიცებულა კანონპროექტი, რომელიც გამცდენი დეპუტატების დაჯარიმებას ითვალისწინებს და ვასწრებ...

— **ბ-ნი კობა, ცოტა ხომ არ დაგაგვიანდათ ხელმოწერების შეგროვება, ეს მანამ უნდა მოგესწროთ, სანამ არჩევნები ჩატარდებოდა და აჭარის სტატუსიც ასე ზარზემით განისაზღვრებოდა.**

— სტატუსი რომ განსაზღვრეს, ხალხს ჰკითხეს რამე? სანამ პოსტებს გადაინაწილებენ და სკამებზე მომგდებიან, კიდევ შეიძლება რალა-ცის გაკეთება. ჯერჯერობით აჭარაში არც მთავრობა დაუშტკიცებიათ. ასე რომ, სწორედ

ან“ ხალხს, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტის გაუქმებას ვითხოვ, როგორ მენდომება ის პოსტი, რომლის გაუქმებაც მინდა?

— **„ჭკვიანი ხალხი“ იტყვის, სანამ ჟვანიას უჭირავს ეს პოსტი, მანამ ითხოვს დავითაშვილი მის გაუქმებას, თორემ თვითონ რომ იჯდეს პრემიერის საფარძელზე, ამ განზრახვას გულშიც არ გაივლებოდა.**

— ამ „ჭკვიანებს“ ასე ვეტყვოდი — მაშ, მტყუნის-თქო... მე ჟვანიას კი არა, უკანონობას, ტყუილებს, არჩევნებადმდე დაპირების მიცემას და მერე არშესრულებას ვუპირისპირდები, ამას ჟვანია გააკეთებს, სააკაშვილი თუ ბურჯანაძე ჩემთვის სულერთია...

ხელისუფლებას მხარს ვუჭერ ცხინვალის მიმართულებით განვითარებულ ქმედებებში, თუმც მხარს ვერ დავუჭერ ისეთ ქმედებებში, რაც გასულ კვირას თბილისის მერიასთან მოხდა (მომიტინგეების დარბევას ვგულისხმობ). 23 ოქტომბერს ბათუმში მიტინგის დარბევის შემდეგ ასეთი რამ არ მინახავს. იმ დარბევის გამო აბაშიძემ ძალიან იზარალა... მომიტინგეების დარბევის ფაქტზე ჩემი შეფასება ასეთია — მღებრიშვილის ე.წ. რაზმი არის ბანდორომირება, რომელმაც არ იცის,

„გაბონო კოლეგო, თქვენს შეგუბინდათ?!“



რის ამოთხრას აპირებს კობა დავითაშვილი?

რა არის კანონი და სინდის-ნამუსი. რა ვუთხარი იმ ქართველს, მოხუცს ნახტომით რომ ჩაარტყამს კეტს, ძირს დაადგებს და ფეხზე წამომდგარს, ისევე რომ დაედევნება. ასეთი არაკაცების ჯგუფი უნდა დაიშალოს, ბანდიტების უფროსი მღებრიშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს. უნდა გაირკვეს ბრძანების გამცემი ვინ იყო. თუ არ ვცდები, ბრძანების ავტორი თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი ირაკლი კლდიაშვილი ბრძანდებოდა...

— **მან თქვა — ბრძანება კანონმა გასცა.**

— ბ-ნი კლდიაშვილი, როგორც ჩანს, აზრზე არ არის, რა არის კანონი და ამიტომაც უნდა გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან. ეს არის ჩემი მოთხოვნა ხელისუფლებისადმი. ასევე, ძალიან მაინტერესებს ბ-ნი ოქრუშვილის კომენტარი ამ საკითხზე, რადგან მისი პოზიცია ჩემთვის და მთელი საზოგადოებისთვის უცნობია. საინტერესოა, ამართლებს ის ამ დარბევას, ბ-ნი კლდიაშვილივით ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში ხდებოდა და მღებრიშვილს დასასჯელი არაფერი სჭირსო, თუ განსვავებული პოზიცია აქვს? ჩათვალეთ, რომ ეს არის ჩემი სადეპუტატო შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრთან.

რადგან ისეთი ოპოზიცია არ არის, რომ მორიგის ხელისუფლებას, როგორც ჩანს, დაუსჯელობის სინდრომი გაუჩნდა და ფიქრობს, რასაც მინდა, იმას გააკეთებ, მაინც

დროულია ჩემი გარჯა. უკვე მაქვს 12 ათასი ხელმოწერა. კანონით არც არის განსაზღვრული რაოდენობა, მაგრამ ფიქრობ, 50 ათასიდან 100 ათასამდე ხელმოწერას შევადგოვებ.

— **ზოგიერთი თბილისში ზუმრობს კიდევ — რად უნდა პარლამენტის სხდომებზე სიარული, დავითაშვილი ხელმოწერებსაც აგროვებს და შპის აბაზანებსაც იღებს.**

— შპის აბაზანებს პირდაპირ მანქანაში ვიღებ, როცა ხულოს გზას გადავდგები ხოლმე. რა, ვილაკის ხუმრობის გამო ზღვაში აღარ ჩავიდე?! როცა ადამიანი მუშაობს, უნდა დაისვენოს კიდევ. დღე მოსახლეობას ვხვდები, საღამოს კი ზღვაში ვცურავ. აჭარაში მანამ ვიქნები, სანამ ავტონომია არ გაუქმდება. სხდომებზე კიდევ იმიტომ არ დავდიოდი, რომ არ მინდოდა მონაწილეობა მიმეღო აბსურდში — აჭარაში ჯერ არჩევნები ჩატარეს და მერე განსაზღვრეს სტატუსი. ასეთი სისულელე მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. ეს მხოლოდ ჩვენთან შეიძლება მოხდეს...

ისე, აჭარაშიც იგივე ხდება, რაც დანარჩენ საქართველოში: აქ მიტინგების დამრბევებს იარაღის ან ნარკოტიკის ჩადებით იჭერენ, არადა ამ ხალხზე კონკრეტული მასალები არსებობს. ხანდახან ეჭვიც მიჩნდება, მათგან ფიგურების შექმნა ხომ არ უნდა-მეთქი. შევამჩნიე ისიც, რომ მიტინგის ერთ დამრბევს იჭერენ, მეორეს კი ხელისუფლებაში სავარძელს სთავაზობენ და დიდ პატივშიც ჰყავთ.

— **აჭართ ნამეტან დაინტერესების გამო გლდანელები გაგინაწყდნენ, ჩვენთვის ველ-არ იცლის...**

— მაინტერესებს, რამდენმა გლდანელმა თქვა ეს. ორ კვირაში ერთხელ ყოველთვის მაქვს მიღება. თუ გაინტერესებთ, გლდანში როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩემდამი, ჩატარეთ საზოგადოებრივი გამოკითხვა და მათი აზრი დაბეჭდეთ კიდევ, მაგრამ იცით, რა არის? ამ პროცესს უხილავი ძაფებით მართავდნენ, რომ ბუზი საილოდ ექციათ.

— **და ვინ მართავდა ამ ძაფებს?**

— ჩემი საყვარელი ზურიკო. ეგ რომ არ მყავდეს, რა მეშველებოდა. თუ ჟვანიას გლდანელი ხალხი ეტყვის — კობა დავითაშვილის დეპუტატობა არ მსურსო, ჩემი ნებით გადავდგები.

— **ფიქრობთ, რომ ვერ მოახერხებს?**

— ძალიან გაუჭირდება.

— **ჟვანიას რომ ხშირად აკრიტიკებთ, უკვე ხმები დადის, — კობა დავითაშვილს პრემიერ-მინისტრობა უნდა, ამიტომ თქვა უარი სხვა შეთავაზებულ თანამდებობებზე.**

— ადამიანები სხვებს საკუთარი გარყვნილების მიხედვით სჯიან. რატომ დაავინყდა ამ „ჭკვი-

როცა მოხუც ქალებს ხელკეცებით არბევნ, რაგინდ პოპულარული ხელისუფლებაც უნდა აკეთებდეს ამას და რაც უნდა წამგებიანი იყოს პოპულარული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა, ყველა პოლიტიკოსის მორალური ვალია, ამას სათანადო შეფასება მისცეს.

ხახვივით შემრჩებაო. ძალიან გამიკვირდა, რომ პოლიტიკოსებმა შეფასება არ მისცეს ამ ფაქტს. სოროებში მიიმალეთ, ბატონო კოლეგებო, თქვენც შეგემინდათ?! როცა მოხუც ქალებს ხელკეცებით არბევნ, რაგინდ პოპულარული ხელისუფლებაც უნდა აკეთებდეს ამას და რაც უნდა წამგებიანი იყოს პოპულარული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა, ყველა პოლიტიკოსის მორალური ვალია, ამას სათანადო შეფასება მისცეს.

პოლიტიკური ძალადობა განვითარებულ, დემოკრატიულ ქვეყნებშიც ხდება, მაგრამ ასეთი ფაქტების შემდეგ დამნაშავეებს სჯიან ხოლმე. თუ ჩვენი ხელისუფლებაც ასე არ მოიქცა, მაშინ მათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

— **მოდი, ინტერვიუ მსუბუქ კითხვით დავასრულოთ — ამ გაგანა საკურორტო სეზონში სასტუმროებს ცეცხლი უკიდია, ამდენ ხანს აჭარაში ყოფნა ძვირი არ გიჯდებათ?**

— ძალიან ცოტა დამსვენებელია ქობულეთსა და ბათუმში, იმიტომ რომ იქ ძირითადად წვიმს. სასტუმროში ყოფნა რად მინდა? საქართველოს ნებისმიერ კუთხეში რომ ჩავიდე და ნებისმიერ ოჯახს კარზე მივუკაკუნო, გამიღებენ და მაცხოვრებენ. საბედნიეროდ, საქართველოში სტუმარმასპინძლობა არ მომეკდარა, ისე მმასპინძლობენ, რომ ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაშიც ვვარდები.

ბოლოს კი ერთს ვიტყვი: — გინდ ხელფასი დამიქვითონ, გინდ დამიჭირონ, რაც საქართველოს ერთიანობისთვის კარგია, იმას მაინც გავაკეთებ. ტყუილად წერავეს ექნება იმედი და ილუზია, რომ ამ საქმეს შევეშვები. რა საქმესაც ვინც, ყოველთვის ბოლომდე მიყავს... ანუ მაინც ამოვთხრი...

„სოროსადილაელი“ რომ არ გავეხდარიყავი, „ლაგუნა ვერეზე“ აღარ დავლიპარ



„როგორც არ არსებობს ნახევრად ფეხმძიმე ქალი, ისევე არ არსებობს ნახევრად ოპოზიცია...“

ელბრსებიან პოლიტიკიდან ჩემს ნასვლას.

— **თუმც თქვენ გარდა რესპუბლიკელებიც აცხადებენ პრეტენზიას ოპოზიციონერობაზე.**

— რესპუბლიკელები რა სააკაშვილის ოპოზიციაა? ეს არის ბრძოლა პოლიტიკური ოჯახის შიგნით. თუ სააკაშვილისგან წამოვიდნენ, რა უნდათ მის პარლამენტში? ხალხს, რომელიც არსებობისთვის იბრძვის, ხელისუფლება ეუბნება, შენ სამ ლარს მოგმიტაცე, ჩემს დეპუტატს 1.500 ლარს დავენიშნავ, ჩემს მინისტრს კი სოროსი გადაუხდის 1.500 დოლარს. შენ კი ამ 3 ლარის მომატებისთვის ხელში ვარდი უნდა დაიჭირო და საითაც წავალ, გამომყევო. ნამდვილად ვერ ვიქნები ასეთი პოლიტიკით კმაყოფილი, მინახავს ბევრი პოლიტიკოსი, რომლის ძალიან მაღალი რეიტინგი რამდენიმე თვეში კატასტროფულად დაცემულა.

— **საკუთარ თავსაც ხომ არ გულისხმობ?**

— რეიტინგი ყოველთვის გვეკონდა და ახლაც გვაქვს. სხვათა შორის, ჩვენი რეიტინგი თანდათან იზრდება და ნაციონალებისა კი იკლებს. ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ელოდება — იქნებ ხელისუფლებაში რამე შემოგვთავაზონო და პოზიციის გამოხატვას აუოვნებს. ასეთების გასაგონად ვიტყვოდი — როგორც არ არსე-

რაკი პარლამენტში მესამედ ვერ მოხვდა, შალვა ნათელაშვილზე ხმა გავრცელდა, პოლიტიკიდან წასვლას აპირებს და თავისი პროფესიით — იურისტობით გადაუწყვეტია თავის რჩენაო. ისიც თქვს, ბოლო დროს, როდესაც სადმე იწვევენ, ნათელაშვილი პირველად იმას კითხულობს, მიმაც ხომ არ მოვარ. ამას წინათ, ამერიკის ელჩთანაც რომ აპირებდა სტუმრობას, ბევრი უჭოქმანია. პრეზიდენტს არ შევხვდე, თორემ ჩემი მთიულური ხასიათი რას გამაყვებინებს, არ ვიციო.

ნათელაშვილთან საუბარი სწორედ მაილსთან

ჯერ 1995 წელს მომივარდა შევარდნაძის სიით — გადამაყენეს იურიდიული კომიგეგის თავმჯდომარეობიდან და ეგ აირჩიეს; მერე საკრებულოს თავმჯდომარეობის გამო მომიხტა და ავირჩიე თავმჯდომარედ; მერე პრეზიდენტობა წამართვა; ყველგან „მპოულობს“. ბოლოს „ლაგუნა ვერეზე“ მომიხტა და თვითონ დაიწყო ცურვა.

სტუმრობის ამბით დავინწყეთ.

— ოპოზიციური პარტიებიდან მხოლოდ ჩვენ მიგვიწვია მაილსა. ყველამ იცის, რომ 1995 წლიდან ამ ხელისუფლების ერთადერთი ოპოზიციური ძალა ჩვენ ვართ. ამდენად, ჩვენი იგნორირება შეუძლებელია. კი იყო იქ რამდენიმე ჩემთვის არასასიამოლო პირი, მაგრამ არც შემიჩნევია. პირისპირ შეხვედრისას ქვეს არავის ვესვრი. ნამდვილად არ ველოდი, იმ მიღებაზე შევარდნაძეს თუ ვხახავდი.

— **ხომ არ ესაუბრეთ კიდევ?**

— გადმომახა, — შალვა, როგორ ხარო, შემოვბრუნდი და შევარდნაძე დავინახე. რას ვიზამდი, ხელი ჩამოვართვი (1995 წლიდან ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა) და ვუბახუხე, — ბატონო ედუარდ, ვარდნივთ ვარ-მეთქი. თავისებურად რომ იცის, ისე გაიცინა — ალბათ ვარდის სურნელით თვრებიო. კი, მეც ნეტარე-ბაში ვარ და განსაუფრებობით, ხელისუფლებაში ყოფილან გახარებული, იაპონელებს ცისფერი ვარდი რომ გამოუყვანიათ-მეთქი. ამაზეც გულიანად იცინია. ისე, შევარდნაძეს მართლაც სასაცილოდ აქვს საქმე — თავისი გაინაღდა, ასე თუ ისე, მწვიდობიანად დაასრულა პოლიტიკური ბიოგრაფია და მისი აღზრდილები მართავენ ქვეყანას.

იმ შეხვედრაზე, ძირითადად, ამერიკული და ვეროპული ელიტა იყო მოწვეული. ასეთი შეხვედრებისას, ძირითადად, უცხოელებთან ესაუბრობ და უნდა გითხრა, რომ ამ დროს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხები წყდება ხოლმე.

— **რა მნიშვნელოვანი საკითხი გადამცვიტო მაილსთან შეხვედრისას? ისე, კულუარებში ითქვა, — ამერიკელები ნათელაშვილს ერთი იურიდიული ფირმის თავაჯცობას სთავაზობენ.**

— არა, ასეთი წინადადებათი ნამდვილად არ მოუმართავს. იმას კი გეტყვით, რომ მზადდება ჩემი საკმაოდ მნიშვნელოვანი ვიზიტები რამდენიმე ქვეყანაში.

28 მარტის შემდეგ არც ხელები დაგვიკრეფია გულზე და არც ერს დავმდურებოვართ. ისევ ვაგრძელებთ ბრძოლას — ხალხს გამო ვარ პოლიტიკაში, თორემ ჩემთვის ახლა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, სხვა საქმისთვის მომეკიდა ხელი.

— **რა საქმეს გულისხმობთ? ამბობენ, ნათელაშვილი ბიზნესს მოჰყიდებს ხელს.**

— ჩემგან ბიზნესმენი არ გამოვა, პირველივე შემხვედრი მომამტყუებს. ისე გათავისუფლდნენ ჩემი ოპონენტები, რომ მითვლიდნენ, — პოლიტიკიდან უნდა წახვიდეო. იცინა, რომ ხალხს სიცრუით დიდხანს ვერ გამოკვებავენ და მათი ერთადერთი რეალური კონკურენტი ლეიბორისტები არიან, ამიტომაც უნდათ ჩვენი მოცილება. როგორც საკუთარი ყურების ნახვას ვერ ელბრსებიან სარკის გარეშე, ისე ვერ

ბობს ნახევრად ფეხმძიმე ქალი, ისევე არ არსებობს ნახევრად ოპოზიციური ძალა. ნამდვილი პარტია ან ოპოზიციანია, ან ხელისუფლებაში. სადაღაც შუაში ყოფნა არ შეიძლება, ასეთ დროს ხელისუფლების საქმეც ცუდად მიდის და ხალხისაც. რადიკალური პოზიციაც ამიტომ გვეჩირავს. შესაძლოა ზოგჯერ ვაჭარებ კიდევ, მაგრამ სჯობს კრიტიკას გადავუჭარბოთ, ვიდრე დავაკლოთ და ქვეყანა, ნებისით თუ უნებლიეთ, დავანგრევინოთ.

— **თქვენზე არაერთი რამ მამენია, თავად რა ჭირი გაგვით ბოლო დროს საკუთარ თავზე?**

— ამბობენ, თითქოს პარიზში მივდივარ საცხოვრებლად. პარიზი კი არის კარგი ადგილი, მაგრამ ბრძოლის ველიდან არასოდეს გავქცეულვარ და არც ახლა გავიქცევი. სხვა ჩემს ადგილას, შესაძლოა, მართლაც წასულიყო იმიტომ, რომ პარტიას ტოტალურად დევნიან — კანცელარიასთან ამდენი მიტინგი მოვაწყვეთ და ეთერში ერთი პირდაპირი ჩართვა არ ყოფილა. იცოდნენ, რომ თვითონ გახდებიან ამ ცენზურის მსხვერპლი. 20 ათას კაცს რომ მივაყენებ სააკაშვილს კანცელარიასთან, მერე კეთილსინებებენ და ყველა ტელევიზია გააჩვენებს. კარგია, ოსებზე რომ ზრუნავდნენ, მაგრამ კახელებმა, იმერლებმა და მეგრელებმა რა დააშვეს? აჭარაში რატომ აღარ შეაქვთ სასუქი? სააკაშვილი რომ გაიძახის, აჭარა დავიბრუნო, იქაურების შეურაცხყოფაა. აჭარაში, ისევე როგორც თბილისში, ხელისუფლება შეიცვალა.

— **ვიცო, „ლაგუნა ვერეზე“ დადიოდით ხოლმე, იქ პრეზიდენტს ხომ არ შეხვედრებოდა?**

— მოგესვენებათ, სააკაშვილი მოვარდნის დიდოსტატია. ჯერ 1995 წელს მომივარდა შევარდნაძის სიით — გადამაყენეს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობიდან და ეგ აირჩიეს; მერე საკრებულოს თავმჯდომარეობის გამო მომიხტა და ავირჩიე თავმჯდომარედ; მერე პრეზიდენტობა წამართვა; ყველგან „მპოულობს“. ბოლოს „ლაგუნა ვერეზე“ მომიხტა და თვითონ დაიწყო ცურვა. ვიფიქრე, წყალში შეიძლება სოროსის ბაცილებით მოწალოს-მეთქი და სოროსმადიდებელი რომ არ გამეზდარიყავი, „ლაგუნა ვერეზე“ აღარ დავდივარ. სხვა ადგილს ვეძებ, მაგრამ მე მგონი იქაც მომაგნებს (იცინის).

— **სპორტის სახეობას ხომ არ შეიცვლიდით, მაგალითად, კუს ტბაზე სირბილი ახლა მოდაშია.**

— რას ამბობთ, სააკაშვილს სირბილში როგორ „შევეჯიბრები“, ეგ მაგის სტიქიაა. აი ცურვაში კი ბატონო (ნებისმიერი სტილით). ბოლოს და ბოლოს, ბაზალეთზე გაზრდილი კაცი ვარ...

გვერდი მოამზადა იზო რეაქტი

გვერდიანი

სახეგრძნობი „მეგრეთი“

საეგრძნობი, გრძნობი გრძნობი, გ. 83
 საეგრძნობი, გრძნობი, გ. 113
 გრძნობი 24-25-55; გ. 20) 24-00-30

გაგონაუკააა ყინული დაიძრა... შავ ზღვაში



„კვირის პალიტრის“ მოწოდებამ გაჭრა...

„ახმეტა“ თავისი „გრადით“ ანგარიშგასაწევ მცურავ საშუალებას წარმოადგენს

მგონი, მართლაც დაიძრა ყინული და საზოგადოების გარკვეული ნაწილი იწყებს თავისი ქვეყნის არმი-აზე ზრუნვას.

გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, რომ არც ერთი ქალაქის მერია თუ რაიონის გამგეობა არ დაინტერესებულა და არ უკისრია შეფოხა „მოსახელე“ სამხედრო კატარლის ეკიპაჟზე. კრიტიკული წერილის გამოქვეყნებისთანავე დაგვიკავშირდნენ ქ. ახმეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები და სურვილი გამოთქვეს, შეფოხა აულოთ საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალების სარაკეტო კატარლების დივიზიონის სარაკეტო კატარლა №102 „ახმეტაზე“.

ეს ძალიან სასიამოვნოა, რადგან 7 ივლისს ქართველი სამხედრო მებრძოლები თავის პროფესიონალურ დღესასწაულს — ქართული სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნის მე-11 წლისთავს აღნიშნავენ. მათ შორის იქნება „ახმეტის“ ეკიპაჟიც, რომელიც ქართული სამხედრო ფლოტის ერთ-ერთ ყველაზე კარგად შეიარაღებულ კატარლას ემსახურება. იმედოვნებ, ახმეტელთა მაგალითის მიჰბადივნ გურულები, მესტიელები, ზესტაფონელები, ქუთაისელები და, რაც მთავარია, თბილისის მერია.

ჩაგონა მივხვით ქაგულს გაზრდილი კოვბაგი?!

რუსეთის ღუმა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულების რაგფიცირებას მხოლოდ საქართველოს დაყოლიების შემდეგ ახდენს

ენშძ — მკითხველს შეიძლება ასოეზის უაზრო შერწყმად მოეჩვენოს, მაგრამ იგი იზიფრება, როგორც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულება და მან თავის დროზე დიდი როლი ითამაშა ევროპის კონტინენტზე განარაღების საქმეში.

მოხდა ამ ხელშეკრულების ადაპტირება, რაც იმას ნიშნავს, რომ ზონალური სისტემა შეიცვალა 28 ტერიტორიული ერთეულის ქსელით. ადაპტირებული ხელშეკრულების თანახმად, ყველა მონაწილე ქვეყნისთვის შეიქმნა ეროვნული და ტერიტორიული ზღვრული დონეები, რომელთა გადაჭარბების უფლება არა აქვთ ხელშეკრულებაში მონაწილე ქვეყნებს.

უნდა გაენადგურებინა ზედმეტი საბრძოლო ტექნიკა, არამედ წესით რუსულ მხარეს გაეტანა თავისი ზედმეტი იარაღი.

მაგრამ ადაპტირებულ ხელშეკრულებებში, ჩვენდა სამწუხაროდ, არსებობს თავი, რომლის თანახმადაც, საბაზო დროებითი გამლის სახით უცხო ქვეყანას ეძლევა უფლება, დროებით ჰყავდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე 153 ტანკი, 241 ჯავშანმანქანა და 140 საარტილერიო სისტემა.

როგორც ხედავთ, რუსული შეიარაღების რაოდენობა თავსდება ამ კვოტებში, მაგრამ იმავე ხელშეკრულებაში საგანგებოდაა მითითებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი — უცხო ქვეყნის შეიარაღების განთავსება სხვა ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუ ეს უკანასკნელი ამისთვის სრულ თანხმობას აცხადებს!

ძალის თავიკ სწორედ აქაა დამარსული. ან. 26 ივნისს, როდესაც რუსეთის სახელმწიფო ღუმამ მოახდინა ამ ხელშეკრულების ადაპტირებული ვარიანტის რაგფიცირება, იქ საგანგებოდ მიუთითა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სულგრძელად დაუთმო რუსეთს თავის ტერიტორიაზე საბაზო დროებითი გამლის პარამეტრებში 153 რუსული ტანკის, 241 საბრძოლო ჯავშანმანქანისა და 140 საარტილერიო სისტემების დაცოვების უფლება.

თბილისს რომ ამის უფლება არ მიეცა, ენშძ-ის შესახებ ადაპტირებული ხელშეკრულების თანახმად, მოსკოვი ვალდებული იქნებოდა, გაეყვანა ზედმეტი საბრძოლო ტექნიკა, კერძოდ, 109 ჯავშანმანქანა, ხოლო თუკი ქართული არმია ნელ-ნელა შეავსებდა მისთვის გამოყოფილ კვოტას აღმოსავლეთ ევროპიდან ნაწიქარი ტანკებითა და ჯავშანმანქანებით, მაშინ თავისი სამხედრო ბაზებიდან (ბათუმი და ახალქალაქი) მოსკოვს აუცილებლად მიუწევდა კვოტის ზემოთ დარჩენილი დანარჩენი ტექნიკის მოცილება საქართველოდან.

მაგრამ ასე აღარ მოხდება, რადგან თბილისმა თავად მისცა საბაზო დროებითი გამლის პარამეტრებში რუსული ტექნიკის საქართველოში გაურკვეველი დროით დარჩენის უფლება მოსკოვს. ალბათ მოგვიწევს მხოლოდ იმის ლოდი-ლი, თუ საბოლოოდ როდის შეთანხმდებიან (ან შეთანხმდებიან კი?) რუსული ბაზების ლიკვიდაციის შესახებ ორი ქვეყნის მეთაურები.

თავდაპირველად, 1989 წლის 9 მარტს, 21-მა ქვეყანამ ვენაში განიხილა ორ სამხედრო ბლოკს — ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის არსებული სამხედრო დაპირისპირების საკითხები და 1990 წლის 19 ნოემბერს პარიზში ხელი მოეწერა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებას. ხელშეკრულებამ მოქმედება 1992 წლის 9 ნოემბრიდან დაიწყო და ითვალისწინებს შეიარაღების პარიტეტის რაც შეიძლება დაბალ რაოდენობრივ დონეზე დაყვანას.

ხელშეკრულების თანახმად, მთელ ევროპაში — „ატლანტის სანაპიროდან ურალის ქედამდე“ — არ უნდა დარჩენილიყო 40 ათასზე მეტი ტანკი, 60 ათასზე მეტი ჯავშანმანქანა, 40 ათასზე მეტი 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის საარტილერიო დანადგარი, 13,6 ათასზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავი და 4 ათასზე მეტი დამრტყმელი შეუქმდფრენი.

ხელშეკრულების ყველა პუნქტისა და ნიუანსის ასახნელად ერთი საგაზეთო გვერდიც არ გვეყოფა, ამიტომ იმასლა ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო აღმოჩნდა ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მეოთხე, ე.წ. ფლანგურ ზონაში.

საქართველოსთვის განისაზღვრა ზემოხსენებული მძიმე შეიარაღების კვოტები, ანუ ქართულ შეიარაღებულ ძალებს შეიძლება ჰყოლოდა არა უმეტეს 220 ტანკისა, 220 ჯავშანმანქანისა, 285 ცალი 100 მმ მსხვილი საარტილერიო დანადგარისა, 100 საბრძოლო თვითმფრინავისა და 50 დამრტყმელი შეუქმდფრენისა. საგულისხმოა, რომ ანალოგიური კვოტები მოქმედებდა სომხეთისა და აზერბაიჯანის არმიებისთვისაც.

1999 წლის 19 ნოემბრის სტამბოლის სამიტზე



რუსეთი საქართველოში 153 ტანკის ცოლის უფლებას იტოვებს

საქართველოსთვისაც იგივე კვოტები დარჩა, ოღონდ ტერიტორიულ ზღვრულ დონეში ჩაითვლება როგორც ქართული არმიის შეიარაღება, ისე საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი, ამ შემთხვევაში, რუსეთის შეიარაღებული ძალების მძიმე ტექნიკაც.

შარშან საქართველოს შეიარაღებული ძალების არსენალში 86 ტანკი, 108 ჯავშანმანქანა, 110 საარტილერიო სისტემა, 7 საბრძოლო თვითმფრინავი და 3 დამრტყმელი შეუქმდფრენი იყო.

რუსეთის სამხედრო ბაზებს საქართველოს ტერიტორიაზე კი შეენახული ჰქონდათ 82 ტანკი, 221 ჯავშანმანქანა და 140 საარტილერიო დანადგარი.

ერთი შეხედვით, ადაპტირებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტერიტორიული ზღვრული დონის მიხედვით, საქართველოში არსებული ჯავშანმანქანების საერთო რაოდენობის (როგორც ქართული, ისე რუსული) ჯამური რიცხვი აღემატება დასაშვებ ნორმას და, ბუნებრივია, ქართულ არმიას კი არ

საარტილერიო სისტემების დაცოვების უფლება. თბილისს რომ ამის უფლება არ მიეცა, ენშძ-ის შესახებ ადაპტირებული ხელშეკრულების თანახმად, მოსკოვი ვალდებული იქნებოდა, გაეყვანა ზედმეტი საბრძოლო ტექნიკა, კერძოდ, 109 ჯავშანმანქანა, ხოლო თუკი ქართული არმია ნელ-ნელა შეავსებდა მისთვის გამოყოფილ კვოტას აღმოსავლეთ ევროპიდან ნაწიქარი ტანკებითა და ჯავშანმანქანებით, მაშინ თავისი სამხედრო ბაზებიდან (ბათუმი და ახალქალაქი) მოსკოვს აუცილებლად მიუწევდა კვოტის ზემოთ დარჩენილი დანარჩენი ტექნიკის მოცილება საქართველოდან.

მაგრამ ასე აღარ მოხდება, რადგან თბილისმა თავად მისცა საბაზო დროებითი გამლის პარამეტრებში რუსული ტექნიკის საქართველოში გაურკვეველი დროით დარჩენის უფლება მოსკოვს. ალბათ მოგვიწევს მხოლოდ იმის ლოდი-ლი, თუ საბოლოოდ როდის შეთანხმდებიან (ან შეთანხმდებიან კი?) რუსული ბაზების ლიკვიდაციის შესახებ ორი ქვეყნის მეთაურები.

„კოვბა“ — თუჩუღად შეჯავზნული აგერიკული „პამერი“

თუკი დავაკვირდებით, რა სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილდებიან, მაგალითად, ქართული შინაგანი ჯარების დანაყოფები ცხინვალის კონფლიქტურ რეგიონში, ადვილი წარმოსადგენია, რამდენად დაუცველი არიან ჩვეულებრივ სატვირთო „ურალებსა“ და ყველგანმავალ „უაზებში“ მსხდარი სამხედროები.

ჯავშანტრანსპორტორები — БТР-70 ან БТР-80 ყოველთვის არ არის მოსახერხებელი, ბევრ სანავაგსაც ხარჯავენ, გაბარიტების გამო ადვილად აღმოსაჩენნი არიან და ვერც მათი ჯავშანი იცავს შიგ მსხდომთ მოწინააღმდეგის ჯავშანგამტანი ტყვიებისგან.

სადაზვერვო ჯავშანმანქანა БРДМ-2 ჯავშანტრანსპორტორთან შედარებით ერთი შეხედვით უფრო კომპაქტურია, მაგრამ მისი ბენზინით მომუშავე ძრავა ხშირად ხურდება, ხოლო თხელი ჯავშანი ვერ იცავს ეკიპაჟს.

რამდენიმე წლის წინ თურქეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა ერთმანეთს შეურწყა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ყველგანმავალი მანქანა „პამერი“ და თანამედროვე ჯავშნის კონსტრუქციები.

ნაჯვარს თურქმა კონსტრუქტორებმა „კობრა“ შეარქვეს და ეტყობა, არც შეცდნენ, რადგან მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით ან ტანკსაწინააღმდეგო მართავი რაკეტებით შეიარაღებული „კობრის“ „ნაგენს“ დიდი ზიანის მოტანა შეუძლია მოწინააღმდეგის როგორც

ცოცხალი ძალებისთვის, ისე მძიმე ტექნიკისთვის.

თურქული „კობრას“ განმასხვავებელი ნიშნებია 190 ცხ.ძ-იანი რვაცილინდრიანი ამერიკული დიზელის ძრავა, რომელიც 6,3-ტონიან ჯავშანმანქანას მოასვალტებულ გზაზე მაქსიმალურ 115 კმ/სთ სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევს და კომბინირებული შეჯავშნა.

მარტო ის ფაქტი, რომ „კობრას“ ჯავშანი მისი ბორბლის ქვეშ 7 კგ-იანი ტანკსაწინააღმდეგო ნალმის აფეთქებას უძლებს, ბევრ რამეზე მეტყველებს.

„კობრის“ კლირენსი 400 მმ-ია, რაც ადვილებს 35 სმ სიმაღლის დაბრკოლების გადალახვას. 8-კაციანი დესანტი „კობრას“ მდინარის გადაცურვაც შეუძლია, ხოლო დესანტის სრული რაოდენობა შეიძლება 12 კაციც იყოს. ამდენი მედსანტის ნაყვანა, მიუხედავად დიდი გაბარიტებისა, ნაქებ რუსულ БТР-80-საც არ შეუძლია. თანაც „კობრიდან“ დესანტირება უკანა კარებიდანაც შეიძლება ისე, რომ მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ არ აღმოჩნდე.

„კობრის“ სახურავზე სხვადასხვა ტიპის შეიარაღებისა თუ სადაზვერვო საშუალების დაყენება შეიძლება, რაც ამ ჯავშანმანქანას უნივერსალურს ხდის.

ჯავშანმანქანა მცირე კონფლიქტებში ეფექტიან საბრძოლო საშუალებას წარმოადგენს

მწელია იმის მტკიცება, რომ ქართულმა არმიამ მაინცდამაინც თურქებისგან უნდა იყიდოს „კობრა“, მაგრამ შეიძლება ელემენტარული საშუალებების გამოყენება, რომ მეტ-ნაკლებად დაცული იქნენ ავტორიტარული მოძრავი ქართველი სამხედროები, განსაკუთრებით — კონფლიქტის ზონებში. საამისოდ გამოდგებოდა ჯავშნის ნაჭები, რომლებიც მანქანების ფსკერს და გვერდებს დაიცავდნენ თუნდაც ნალმის ნამსხვრევებისგან და არაჯავშანგამტანი ტყვიებისგან.

ისე, ქართულ არმიას კი ნამდვილად არ აწყენდა მცირე, მაგრამ ჯავშნიანი და მობილ-

სამხედრო ალიდოსკოპი

ჩას პერიის აგერიკა ჩინეთს

ისტორიას არ ახსოვს, ერთდროული სამხედრო-საზღვაო წვრთნები ჩატარებისთვის შეიქმნა ამერიკულ საავიამზიდო ჯგუფს. ივლისის შუა რიცხვებში შვიდი ამერიკული ავიამზიდი — „კარლ ვინსონი“, „აბრაამ ლინკოლნი“, „ჯონ სტენისი“, „კიტი ჰოკი“, „ენტერპრაისი“, „ჰარი ტრუმენი“, „ჯორჯ ვაშინგტონი“ და მათი თანმხლები ასამდე სხვადასხვა ტიპისა და კლასის წყალზედა და წყალქვეშა ხომალდი წყნარ ოკეანეში, ჩინეთის სანაპიროსთან ფართომასშტაბიან წვრთნებს გამართავენ.

პეკინი დარწმუნებულია, რომ ამ სამხედრო „მუსკულების“ თამაშით ვაშინგტონი ცეცდება, დაამინოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ხელი ააღებინოს ურჩი ტაივანის დაპყრობის განზრახვებზე.

ჩასათის პერიამ 200 სამხედრო ლაქარგა... ომის გარეშე

სამ თვეში ასეთი დანაკარგი და თანაც ომის გარეშე (არ იგულისხმება რუსეთის ფედერალური ძალების დანაკარგები ჩვენეთში), მართლაც მეტისმეტია თვით უზარმაზარი რუსული არმიისთვისაც კი.

ალბათ ამ რიცხვს მიეთვლება ის რუსი ჯარისკაციც, რომელიც აფხაზეთში რუს „ცისფერჩაფხუტინათ“ რიგებში მსახურობდა და თანამებრძოლმა დანით სასიკვდილოდ დაჭრა...

აგერიკულს ჩასულაგა აჯოგუს

უკვე ამერიკელი გენერლებიც აღარ მალავენ, რომ მათ ინდოელ სამხედროებთან ერთობლივი წვრთნების დროს მოულოდნელი და არასასურველი შედეგები მიიღეს.

ან. თებერვალში ინდოეთის საჰაერო სივრცეში სასწავლო საჰაერო ბრძოლები გამართეს ამერიკელმა და ინდოელმა სამხედრო პილოტებმა. ამერიკელები F-15 ტიპის გამანადგურებლებით მონაწილეობდნენ, ინდოელები კი МиГ-27, МиГ-29 და Су-30 ტიპის რუსული ნარმოების გამანადგურებლებით. საჰაერო ორთაბრძოლაში რუსულმა Су-30-მა არაერთხელ დაჯაზნა ამერიკული F-15, რამაც პენტაგონს გადაწყვეტინა, მეტი ყურადღება მიაქციოს უახლესი F-22 ტიპის გამანადგურებლის ნარმოების დამქარებას.

იარაღის გააჟიღული პიკეული 100 ფიკაი

2003 წელს იარაღის ყველაზე წარმატებით მოვაჭრე ფირმის სახელი ამერიკულმა „ლოქჰიდ მარტინმა“ მოიპოვა, რომელმაც 30 მლრდ დოლარის სამხედრო დანიშნულების ნაწარმი გაყიდა მთელ მსოფლიოში. მეორე ადგილზე ასევე ამერიკული ფირმა „ბოინგი“ — 27 მლრდ დოლარი, მესამე ადგილიც ამერიკულ „ნორტროპ გრუმანს“ ერგო — 18 მლრდ დოლარი. რუსულმა საავიაციო ფირმა „სუხოიმ“ შარშან 1,5 მლრდ დოლარის თვითმფრინავები გაყიდა და ას საუკეთესო ფირმას შორის 28-ე ადგილი დაიკავა, ხოლო „მიგ“-ის კონცერნი ასეულის გარეთ დარჩა.



„კობრა“, იგივე შეჯავზნული „პამერი“, მსხვილკალიბრიანი ტყვიების ჯერსაც უძლებს

ური შეიარაღებული ყველგანმავლები, რომლებშიც ეკიპაჟები თავს შედარებით დაცულად იგრძნობდნენ.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

(დასაწყისი იხ. გვ. 12)
გუბები დამდგარა ადგილ-ადგილ. მათ დასაშრობად არსები უნდა გაიქრას. მაგრამ ამის თვითნებურად გაკეთების უფლება მუზეუმის თანამშრომლებს არა აქვთ. სპეციალისტებს კი თანხების უქონლობის გამო არავენ ინვეს. კედლების დასუფთავებას მთავრდებები სჭირდება. უფულობის გამო ვერც მათ ეძახიან.

გულდამიმეზული წამოვედი კლდეში ნაკვეთი ქალაქიდან. ქვემოთ დამხვდნენ ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი ვლადიმერ ზაზაძე და ასპინძის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი რამაზ თედორაძე — ძველისძველ ადგილ-ადგილ ტერასებზე გაშენებულ ვაზს ათვლიერებდნენ. მესხური ვაზის 100 ძირი თავმოყრილია ხარობს. აქ უფრო მეტის გაშენება შეიძლება, მაგრამ...

ვლადიმერ ზაზაძე:
— ჯერჯერობით არავისგან არ იგეძნობა ყურადღება. არადა, ვარ-

ლეკთი არ გაგვიწყრეს და პარკია თავზე არ დაგვინებრეს!

ვარძია საპრივატიზაციო ობიექტია ნუსხაში შეუგანიათო?!

მცირე, 25მ-ის გადახ-და მომიწევდა ამ სიამოვნების მისაღებად. თქვენ რა, ამ განძის ფასი არ იცითო?...
30 თეთრი ბავშვებისთვის, 60 თეთრი დიდებისთვის მართლაც გასაკვირი ფასია. მაშინ, როცა ზოგიერთი სახეობის ნაყინში 1 ლარზე მეტის გადახდაც არ ენახებოდა ჩვენში. ვარძიას დიდი



ვარძიის და სხვა ღირსშესანიშნაობების დამთვალიერებელ ტურისტებს ამ გაპარტახებულ კოტეჯებში ღამის გათევას ვოცნთან, ვარძიაში ყოფნა ურჩევიათ...



ძია ვეღარ ითმენს უყურადღებობას. მის მოვლას წელიწადში სულ მცირე 100.000მ ღირსდება...

სხვათა შორის, ვარძიის დათვალიერება ისე იაფი ღირს, რომ ეს ფაქტიც უცხოელების გაოგნებას იწვევს. ერთ-ერთ ამერიკელს გაოცებულს უთქვამს, მეგონა, სულ

თანხები სჭირდება და, რაც მთავარია, ავარიული კედლების გამაგრება მალე უნდა დაიწყოს, თორემ შეიძლება ტრაგედია დატრიალდეს, — მათ ქვეშ გაველა ძალიან საშიშია. როგორც უფლისციხეში, აქაც კედლები სპეციალური სითხით უნდა დაიფაროს, რომელიც წყალს არ

დევ რადიკალურად თუ არა, შესაძლებელია გაუმჯობესდება მდგომარეობა. მეც ვეთანხმები და ოპტიმიზმით აღსავსე, მტკვრის მეორე ნაპირს მდებარე გოგირდის აბანოს სანახავად მივდივარ. თან ვფიქრობ, ერთ მშვენიერ დღეს დალოცვილი ღმერთიც რომ გაგვიწყრეს და მარ-

თლაც ჩამოინგრეს ეს დიდებული არქიტექტურული ქმნილება ჩვენი უნიტობის გამო ან მომავალ თაობას როგორ უნდა გაეუსწოროთ თვალი, ან რითღა უნდა დაგვიკვენოთ, როგორც დიდი კულტურის მქონე ერმა — იმით რომ წინაპრის უნიკალური დანატოვარი ვერ შევინახეთ, რადგან უკანონო და უსახური მშენებლობებით ვიყავით გართული? აბანოში ნახაზა მოლოდინს გადააჭარბა. წყალი, რომელიც აქ ამოდის, თურმე უამრავ დაავადებას კურნავს, თუმცა აქაურობა იმდენად არაკომფორტულია, რომ იშვიათად თუ ამოვა ვინმე სამკურნალოდ. ასპინძის მაჟორიტარ დეპუტატს ამჯერად აქ ვხვდები. **რამაზ თედორაძე** ცნობილ ფილმში „რაიკომის მდივანი“ გადაუღიათ. მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილა.

ქალური პრობლემების ზნეული გადაწყვეტა

დღესდღეობით, რთული ეკოლოგიური მდგომარეობის, მუდმივი სტრესისა და დატვირთვის ეპოქაში, ჩვენს ორგანიზმს მხარდაჭერა ესაჭიროება. ამ ფაქტორების გამო, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ქალის ორგანიზმია. ორსულობისა და მეტაბოლიზმის პერიოდში სერიოზული დატვირთვები, და ზოგადად, სამყაროსადმი ქალის ემოციური დამოკიდებულება გამოიხატება მენსტრუალური ციკლისა და ჰორმონალურ დარღვევებში, რომლებიც შემდგომში შესაძლოა გახდეს მასტობათის, ადრენული კლიმაქსის, უარეს შემთხვევაში კი, მეკრდის ჰორმონალური უარესების ავთვისებიანი გადაგვარების მიზეზი.

თანამედროვე ქალი, უმეტესწილად ფიქრობს კარიერაზე, წარმატებასა და ოჯახზე. ყველაზე ნაკლებად კი — საკუთარ ჯანმრთელობასა და მის შემანარჩუნებელ საშუალებებზე. ინფორმაცია — ქალის უმთავრესი იარაღია ყოველგვარი მოულოდნელობების წინააღმდეგ და ჩვენ, შეგვიძლება ოპტიმალურად მოგაწოდოთ ეს ინფორმაცია.

დღეს, დაბინძურებული ეკოლოგიის, „ფასთ-ფუდის“ სტილის არაადეკვატური კვების, ხშირი ემოციური დატვირთვების ფონზე, ახალგაზრდა ქალის ორგანიზმში ვითარდება ჰორმონალური დისბალანსი, პრემენსტრუალური სინდრომის ტიპით. იგი გვლინდება მენსტრუაციამდე სარძევე ჯირკვლების მტკივნეული დაბერებით, შეშუბებით, თავის ტკივილით, გაღიზიანებლობით, ზოგჯერ აგრესიულობით. სიმპტომები არა მარტო ფიზიკურ დისკომფორტს იწვევს, არამედ შეიძლება გახდეს მასტობათის მიზეზი, რომელსაც უფრო რთულ დაავადებებამდე მივყავართ (მათ შორის ონკოლოგიური), მეორად ამენორეამდე (მენსტრუაციის დაკარგვა), აგრეთვე უნაყოფოებამდე.

პმს სინდრომის მიზეზებს ასევე ხშირად წარმოადგენენ უროგენიტალური ინფექციები, ანთებითი პროცესები, რომლებსაც საკვრცხვებში კვერცხურების მომწიფების დარღვევებსა და ჰორმონალურ დისბალანსამდე მივყავართ.

კომპანია „შიფ“-ის მცენარეული ექსტრაქტების, ვიტამინების, მინერალებისა და მიკროელემენტების სპეციფიკური კომპოზიცია „პმს-ფორმულა“, უზრუნველყოფს პრემენსტრუალური სინდრომის პერიოდში ჰორმონალური პროცესების რეგულაციას. პრეპარატმა არაერთხელ გაიარა გამოკვლევა ამერიკისა და გერმანიის კლინიკებში. „პმს-ფორმულა“ საშუალებას მოგცემთ ეფექტურად და უსაფრთხოდ მართეთ დისჰორმონალური პროცესი. ჰიპოფიზის დონეზე ხდება პროლაქტინის სინთეზის დათრგუნვა და პროლასტიკონის სინთეზის მეორადი გაზრდა. პროლასტიკონისა და პროლაქტინის ადეკვატური კონცენტრაცია, სწრაფად დაუბრუნებს ქალს ნორმალურ ფიზიოლოგიურ მდგომარეობას — აარიდებს ტკივილს სარძევე ჯირკვლებში, დაარეგულირებს მენსტრუალურ

ციკლს, შეამცირებს ციკლთან დაკავშირებულ თავის ტკივილებსა და გაღიზიანებლობას.

ე.წ. „ბალზაის ასაკის“ ქალების, რომლებსაც აწუხებთ ალბერტი, გახშირებული გულსიცემა, ოფლიანობა, არასტაბილური არტერიული წნევა, არაერთხელ დაეხმარა პრეპარატი „მინოპაუს-ფორმულა“.

აღსანიშნავია, რომ პრეპარატი არაჰორმონალურია და არ ახასიათებს სხვა საშუალებების მსგავსი გვერდითი მოვლენები.

ესტროგენების მიმართ მგრძნობიარე ორგანიზმში ჰიპოფიზის, ჰიპოთალამუსისა და მიომეტრიუმის რეცეპტორებთან დაკავშირებით, იგი თითქმის კონკურენტულ ურთიერთობაშია ესტროგენებთან. ქალური სქესობრივი ჰორმონების ნივთიერებით, „მინოპაუს-ფორმულა“ აღადგენს ენდოკრინული ჯირკვლების ჰორმონალურ დარღვევასაც ასაკი ცდილობს, აძლევს მათ ისევე აწეობილად იმოქმედონ, როგორც ახალგაზრდულ წლებში.

სხვა, არანაკლებ აქტუალურ დაავადებას ქალისთვის წარმოადგენს სარძევე ჯირკვლის კისტოზური და ფიბროადენომატოზური დაზიანება. დოქტორმა ტომ სლაგამ — სარძევე ჯირკვლის ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი — კომპანია „შიფ“-ის სამეცნიერო ლაბორატორიასთან ერთად შეიმუშავა ნატურალური

პრეპარატი „ბრასტი პალსი“. ფორმულა უზრუნველყოფს სარძევე ჯირკვლის უარესების სტრუქტურის დაცვას არასასურველი სახეცვლილებებისაგან, მასში შემავალი აქტიური, ნატურალური კომპონენტებისა და მიკროელემენტების წყალობით.

ძვირფასო ქალბატონებო! გიყვარდეთ ქალი საკუთარ თავში და გაუფრთხილდით მის ჯანმრთელობას!

წამთან მოქმედებს ფასდაკლების ახალი სისტემა. აპროთვა ფასდაკლების კანონები მოქმედებს.



„ჯეოვიტი“ — თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!

ჯეოვიტი
GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფისიალური დისტრიბუტორი
საპარტამენტო კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაჰის პარკის პირდაპირ),
☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოვლდო, ზაბათ-პერიკის ჩათვლით
www.schiffvitamins.com

ნატო — ევროკავშირში შესასვლელი ბილეთი



სტამბოლში გამართულ ნატოს სამიტში, სადაც თავი მოიყარეს ნატოს წევრი 26 ქვეყნისა და 20 პარტნიორ სახელმწიფოს მეთაურებმა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მისი ქვეყანა ნატოშიც შევა და ევროკავშირშიც.

— ნატოს წევრობის კანდიდატის ოფიციალური სტატუსის მიღების შანსი საქართველოს ორ წელიწადში აქვს. ჩვენთვის ნატო თავისებური ბილეთია ევროპაში შესასვლელად... ეს ჩვენი უსაფრთხოების გარანტიც იქნება...

— რა სარგებლის მოტანა შეუძლია საქართველოს ნატოსთვის?

— საქართველოს პატარა, მაგრამ ალიანსის ნორმების შესაბამისი არმია ჰყავს. ჩვენ კასპიის ზღვიდან და ცენტრალური აზიიდან დასავლეთ ევროპისკენ მიმავალ ძირითად ენერგეტიკულ გზებს ვიცავთ, ტერორიზმთან მებრძოლი ქვეყნებით ვართ გარშემორტყმული. ზოგიერთი ტერორისტი ჩვენს ტერიტორიაზეც ახერხებს შემოსვლას. ამ პრობლემის დასაძლევად თანამშრომლობა გვჭირდება. საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის გამო ევროპის უშიშროებაში გადამწყვეტი როლი გვაკისრია.

— ნატოს წევრმა ქვეყნებმა თუ გაგიმართლეს იმედი აქ, სტამბოლში?

— თუმცა დღის წესრიგში მთავარი ერაყის თემა იყო, კომუნიკეში შავი ზღვის

სპირეთის რეგიონში სტაბილურობის აუცილებლობას გავსვა ხაზი. ლაპარაკია საქართველოსა და აზერბაიჯანზე, ასევე უკრაინაზეც, რომელიც ალბათ მალე შევა ევროპულ სტრუქტურებში. ჩვენ ამ ქვეყნებთან, ასევე რუმინეთთან და ბულგარეთთან ერთად ვმოქმედებთ — ისინი ჩვენი ლობისტები არიან.

— იმედი გაქვთ, რომ ევროკავშირის უფრო ადრე მიუერთდებით, ვიდრე თურქეთი?

— თუ თურქეთი ევროკავშირში შევა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოც მას მიჰყვება. მაგრამ ისლამმა ხელი არ უნდა შეუშალოს თურქეთს

ევროკავშირში შესასვლელად. იქ გატარებული რეფორმები ეფექტურია. თუ თურქეთის კანდიდატურა უარყოფილი იქნება ევროკავშირის მიერ, მაშინ ამას დრამატული შედეგი მოჰყვება ჩვენი რეგიონისათვის. ფრანგებს ვუთხარი, რომ სერიოზულად მიუდგენენ თურქეთის კანდიდატურის განხილვას — უნდა შეფასდეს მისი ღირსებები და რელიგია არ უნდა ითამაშოს მთავარი როლი ამ შეფასებაში.

— რატომ დანიშნეთ საგარეო საქმეთა მინისტრად ფრანგი დიპლომატი სალომე ზურაბიშვილი?

— ეს ბრწყინვალე არჩევანი იყო. ფრანგ დიპლომატებს არ უნდოდათ ეს — ვითომდა სახელმწიფო საიდუმლოებას გასცემსო. გარანტიას ვიძლევი, რომ ეს არ უქნია და არც ჩვენ ჩავძიებდით. პრეზიდენტი შირაკი მამაცურად მოიქცა, როცა ყურად არ იღო თავისი ბიუროკრატების აზრი. სალომე ზურაბიშვილი ძალიან ჭკვიანი და კომპეტენტური დიპლომატია, დიდი გამოცდილება აქვს. გარდა ამისა, საფრანგეთში ემიგრირებული დიდებული ქართული გვარის წარმომადგენელია. მისმა ბაბუამ დიდი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამავე დროს აღვნიშნავ, რომ მას ძალიან ფრანგული ხასიათი აქვს — ცოტა ჯიუტია და პრინციპული.

ფიგარო
ამონარიდი ინტერვიოდან

მთავარი სახელწოდება პატივს მისცეს, ხენისა — პატივს მოვასწავ...

„დღეიდან საქართველო ცალმხრივად შეასუბუქებს საფრთხეებს რუსეთთან, ამის შემდეგ ვინების მიღება პირდაპირ საზღვარზე იქნება შესაძლებელი“ — ამ წინადადებით ჩამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი მოსკოვში, დსთ-ის ქვეყნების ლიდერთა არაფორმალურ შეხვედრაზე. პირველსავე დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა საკმაოდ დათბაო, მაგრამ რამდენიმე პრეტენზია მაინც ნაუყენა რუსეთს. მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დაავალებათა ელჩს, მიხაილ მაიოროვს, ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, რადგან მან დაივიწყა(?) რომელ სახელმწიფოებს აერთებს როკის გვირაბი: „ეს გამოგნებელი შეცდომაა, არაპროფესიული მიდგომა, მაგრამ ლაღსუმი არ არის, გამიზნული საქციელია. სანამ ბოდიშს არ მოიხდის, მასთან მუშაობას არ გავაგრძელებთ“. საქართველოს პრეზიდენტმა კომენტარი გაუკეთა მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის მიერ ამას წინაშე გაგრაში სანატორიუმის შექმნის საკითხს: „მოსკოვში ჩამოსვლისთანავე ძალზე უსიამოვნო სიურპრიზი დამხვდა. გუშინ მოსკოვის მერმა, მისთვის ჩვეული ღიმილით მოაწერა ხელი ხელშეკრულებას აფხაზეთთან, გაგრაში სანატორიუმის ყიდვის თაობაზე. ლუჟკოვი ნაქურდალის ყიდვას აპირებს. მან ყირიმისა და აჭარის მაგალითზე ჭკუა ვერ ისწავლა. გაირდებით, აჭარაში მის ბიზნესინტერესებს კონფისკაციას გავუკეთებთ, იგივე ბედი ეწევა აფხაზეთში შესყიდულ ობიექტებსაც“.

მიხეილ სააკაშვილმა დაბეჯითებით უარყო სამხრეთ ოსეთის წინადადება — მათ ტერიტორიაზე დაკავებული საქართველოს უშიშროების სამინისტროს მუშაკები გაეცვალათ ის „ბოევიკებზე“. ჩვენ არ ვაპირებთ ადამიანებით ვაჭრობას. სანამ ბანდიტური აქციები გაგრძელდება, ოსურ მხარეთან სალაპარაკო არაფერი გვაქვს. განა რუსეთი გაცვლის თავისი ძალიან სტრუქტურების თანამშრომლებს ჩვენ ბოროტმოქმედებზე? დარწმუნებული ვარ, არა. ახლა კოკოთის აუქციონზე, 7-9 ივლისს თბილისის ძალის გამოყენებას აპირებს ცხინვალის წინააღმდეგო. არადა, სწორედ 9 ივლისს მაქვს დაგეგმილი ცოლ-შვილთან ერთად ქობულეთში მამგზავრება დასასვენებლად. მე ოცნებები რევოლუციის

მოხდენას არ ვაპირებ — საქართველო მზად არის ოსეთის ისეთივე გარანტიები მისცეს, როგორც ჩრდილო ოსეთს აქვს რუსეთის ფედერაციაში“.

საქართველოს მეთაურმა განაცხადა: „ნატოს ჯარები და მათ შორის ამერიკული, საქართველოს ტერიტორიაზე არ განლაგდება. ჩვენ გვინდა, რომ რუსეთი საქართველოს მხრიდან საშიშროებას არ გრძნობდეს. რუსეთის სტაბილურობა და უსაფრთხოება ქართულ-რუსული ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორია“.

პრეზიდენტმა თქვა, რომ აქვს ინფორმაცია გალის რაიონში მოსალოდნელი „წმენდის“ შესახებ. „მინდა გავაფრთხილო ყველა, ხელი არავინ ახლოს ამ რაიონის მოსახლეობას — არც აფხაზებს, არც ქართველებს, არც რუსებს. ეს 1991 წელი არ არის და ჩვენ არ დავუშვებთ რეგიონში სიტუაციის არევას“.

პრესკონფერენციის დასასრულს პრეზიდენტმა საქართველოს შემდგომი განვითარების კონცეფციამ ილაპარაკა. მან განაცხადა: „ჩვენ არ ვქალობთ, დინამიკურად ვვითარდებით. პატარა, კოსტა სახელმწიფო უნდა ავაშენოთ, ისეთი, როგორიც ოდესღაც იყო“.

მეორე დღეს პუტინმა შეხვედრის მონაწილეები მიიწვია მოსკოვის ცენტრალურ იმპერატორზე, სადაც პირველად გაიმართა დიდი „რუსეთის პრეზიდენტის პრიზზე“. ტრიბუნაზე ცენტრალური მაგიდა ვლადიმირ პუტინმა დაიკავა მუღულესთან, ყაზახეთისა და უკრაინის პრეზიდენტებთან ერთად. მეზობელ მაგიდასთან ისხდნენ ყირგიზეთის პრეზიდენტი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მუღულესებით. დოლთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა წინა დღეს განაცხადა, — ცხენი, რომელიც საქართველოს სახელით გამოვა, ჯერ არ მინახავს. მითხრეს, ქართული წარმომადგენელი მოსკოვშია და ქართული ქმისო. გამარჯვების იმედი არ მაქვს. არც ღირს სხვების გაღიზიანება. საჯობს იმის ცხენმა გაიმარჯვოს, ვინც მხედრობის მოყვარულია. მე დიდი თავყანისმცემელი არ ვარ სპორტის ამ სახეობის, არც ცხენების გამეგება რამე უნაგირზე ვერ ვვდები რიგინადა. ჩემთვის მთავარია სახელმწიფოს მართვა ვისწავლო, ცხენისას — მერეც მოვასწავ...
რუსული პრესის მიხედვით

„7 ივლისს სამხრეთ ოსეთში ომი დაიწყება“

სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალები სრულ მზადყოფნაში არიან და საქართველოს ნებოსმიერ აგრესიას მოიგერიებენ, — განაცხადა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოთიმ. „საქართველოს ხელისუფლებამ საბოლოოდ გადაწყვიტა, ძალისმიერად მოგვაროს ქართულ-ოსური პრობლემა. ოპერაციის დაწყების თარიღებია 7-9 ივლისი.“ მისი თქმით, სამხრეთ ოსეთის საზღვარზე თავმოყრილია 2,5-3 ათასი ქართველი სამხედრო.

სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო კომიტეტის ცნობით, პანკისიდან და თელავიდან საქართველოს სამხედრო ძალა და ტექნიკა გადაჰყავს სამხრეთ ოსეთის საზღვრებისკენ. გარდა ამისა, თელავის ბატალიონის 70 ჯარისკაცი უკვე ცხინვალის რ-ნის სოფელ ვანათში იმყოფება. ვაზიანის ბაზაზე, ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ მომზადებული 50-კაციანი დივერსიული ჯგუფი სამხრეთ ოსეთის გარკვეული პირების ფიზიკური განადგურებისთვის არის მზად. საქართველოს მოსახლეობამ არაფერი იცის იმის შესახებ, რომ მთავრობა უკვე მესამე თვეა სამხრეთ ოსეთის ეკონომიკურ ბლოკადას ეწევა, ქმნის ფსიქოლოგიურ დაძაბულობას ზოგიერთ ოსურ სოფელში და დემინფორმაციას ავრცელებს ოსურ-ქართული ურთიერთობის შესახებ. მიმდინარეობს სამშვიდობოების აშკარა დისკრედიტაცია.

— ამბობენ, საქართველოს ხელისუფლებამ, ლოიალობის სანაცვლოდ, მალაღი პოსტი შემოგთავაზათ.

— მართლაც ასეა. ბევრ ჩვენ ჩინოსანსაც სთავაზობდნენ მალაღ პოსტებს — შს მინისტრისა და პროკურორის მოადგილისა. ხელფასები 500

დოლარზე ნაღები არ იქნებოდა. პირადად მე ვიცდებრეზიდენტის ადგილს მთავარბოძენ, რომელსაც, თუ დაეთანხმდებოდი, საგანგებოდ ჩემთვის შემოიღებდნენ. მაგრამ მე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვარ და თბილისში არაფერი მესაქმება. არაერთხელ განმიცხადებია, — დამოუკიდებლობისათვის სამხრეთ ოსეთის ხალხის ბრძოლა არ იყიდება! ახალ ქართულ ხელისუფლებას არც ქართველი და არც ოსი ხალხის ბედი არ ადარდებს, მათ ერთი დიდი პოლიტიკური მიზანი აქვთ — განდევნონ რუსეთი კავკასიიდან. როცა საქართველოს ხელისუფლებამ „ვარდების მოუშ“ საშუალებით ახალგაზრდა ხალხი მოვიდა, მეგონა, მე, ახალგაზრდა კაცს მათთან ურთიერთობა გამიადვილდებოდა, თანაც ხელზე ოსური სისხ-

ლი არ ეცხობ. მაგრამ გაუთავებლმა ქაღილმა, ტყუილმა, მდგომარეობის გამაძვლებლმა ყოველგვარი იმედი გამიცრუა. ბოლო დროს, ჩვენთან ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებიდან დიდი ჯგუფი ჩამოვიდა. ისინი ბრძოლაში მართკ არ დაგეტყუებენ. მაგრამ სიტუაციის გამწვანებისაგან თავს ვიკავებთ, საქართველოს ხელისუფლებას ვურჩევთ, გონს მოვიდეს. თუ ისინი შეიარაღებული შეტაკებების მექანიზმს ამოქმედებენ, ეს საქართველოს დალუპავს. ჩვენ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მომხრე ვართ, მაგრამ თუ თავდაცვას გვაიძულებენ, ერთხელ და სამუდამოდ ამოვებუგავთ თბილისში დაბუდებულ ბოროტებს.

— თბილისამდე მიხვალთ?

— ვნახოთ, — ღიმილით პასუხობს ედუარდ კოკოთი.

მოლოდინო ოსეთი

იგორ ივანოვი: „პატივის ჩვენთვის ხელისუფლების კალით შეხვალა იყო“

უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი არ თვლის, რომ საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ ხელისუფლების დემოკრატიულად შეცვლის საშუალება იყო. „თუ მკითხავთ, როგორ მოხდა ხელისუფლების შეცვლა ჯერ საქართველოში და მერე აჭარაში, გეტყვით, ეს არ ყოფილა არც საფრთხე და არც ვარდების რევოლუცია, ეს ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლა იყო. ამის შესახებ განვცხადე მასპიტინტში, საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე. თუ დემოკრატიაზე ვლაპარაკობთ, ტაში არ უნდა

დავუკრათ ასეთ ცვლილებებს. ყოველგვარი ცვლილება კონსტიტუციის მიხედვით უნდა მოხდეს, ამბობენ, აჭარა რუსეთის პატარა კუნძულია საქართველოში. არ არის მართალი. აჭარას არასოდეს მოუწოდებია საქართველოდან გასვლა. მეორე მხრივ, რუსეთის არასოდეს დაუყენებია საქართველოს მთლიანობა ეჭვქვეშ.“

ნოვოე ვრეშია

გვერდი მოამზადა
თინათინ მარგველაშვილმა

სომხი ნავთობოპერატორი უარყოფან ინფორმაციას საქართველოს რკინიგზაზე კორუფციის არსებობის შესახებ

სომხეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობმოვარე კომპანია „ფლეშ“-ის პრეზიდენტმა ბარსეგ ბეგლარიანმა Black Sea Press-ისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი კატეგორიულად უარყოფს მასმედიის საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქმის კომპანიას უხდებოდა ოფიციალურ გადასახადთან შედარებით ორმაგი თანხის გადახდა საქართველოს რკინიგზაზე ნავთობპროდუქტების გადაზიდვისას.

ბარსეგ ბეგლარიანმა აღნიშნა, რომ ნავთობპროდუქტების გადაზიდვის ღირებულება ტრანზიტით, ბათუმისა და ფოთის პორტების გავლით, საქართველოს რკინიგზით სომხეთის საზღვრამდე საშუალოდ ტონაზე შეადგენს — 30-32 აშშ დოლარს (საფრანგო ღირებულებისა და სხვა ფაქტორთა გათვალისწინებით). ამ თანხაში შემავალი ყველა გადასახადის გადახდა ხდება ოფიციალურად.

ბარსეგ ბეგლარიანმა ასევე გამოხატა თავისი განცვიფრება იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ „აჭრის თევში კომპანია „ფლეშ“-დაუკავშირდნენ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებიდან პირები, რომლებმაც შესთავაზეს კომპანიას საქართველოს რკინიგზაზე ნავთობპროდუქტების იაფი ექსპედიცია, ჩრდილოვანი მიწოდების სარგზე. წინადადებაზე კომპანიამ უარი განაცხადა“. „ჩვენ 10 წლის განმავლობაში ვთანამშ-

შრომლობთ საქართველოსთან და მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაკავშირებს“, — აღნიშნა კომპანია „ფლეშის“ პრეზიდენტმა.

ბარსეგ ბეგლარიან ასევე გამოიყენა იმის შესაძლებლობას, რომ აზერბაიჯანიდან დიზელის სანავის დანიშნულების უქსტამდე, საქართველოში შავი ზღვის პორტებამდე დოკუმენტირება ხდება, ხოლო შემდეგ „ჩასხორებული“ დოკუმენტაციით იგზავნება სომხეთში (როგორც იუნკებიან მასმედიის საშუალებებით).

კომპანია „ფლეშის“ ექსპერტი მუშე ელჩიანი Black Sea Press-ისათვის მიცემულ ინტერვიუში კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს რკინიგზაზე კორუფციის არსებობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ყველაფერი ეს წარმოადგენს „უურნალისტა ნააზრევს“ და ამის შესახებ მას არსად ინტერვიუში არ განუცხადებია.

სომხეთის საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით, 2003 წლის შედეგებით ბენზინის იმპორტის მოცულობამ სომხეთში შეადგინა 195 ათასი ტონა, მიმდინარე წელს სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, იმპორტირებული იქნება 210 ათასი ტონა ბენზინი და 116,4 ტონა დიზელის სანავი.

BS Press





ქვირფასო მშობლებო და ჩვენი პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმარებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



პატარები გენიოსობენ

4 წლის **თიკუნა იაკოვაშვილს** მამა ეკითხება:

- თიკუნა, წინდა ხომ არ გიჭერს?
- არა, ჩემხელაა!

3 წლის **ანი გლუაშვილს** ჯიბის ფარნის მინა დაემსხვრა.

- ბაბუა, ნახე ფარანს ფანჯარა გაუტყდა!

5 წლის **გიორგი არახამიას** დათო ბიძიამ ასწავლა ასანთის ღებ-

რებით ფოკუსის გაკეთება. რამდენიმე დღეში გიორგიმ კვლავ სთხოვა ფოკუსის გაკეთება. დათო ბიძიამ ასანთის ღერები მოსთხოვა.

- ერთი მოგიტანო თუ ერთები? — ეკითხება გიორგი.

- „მაზი“ ვიპოვე, — გაუხარდა პატარა **ანის**.

- „მაზი“ რუსულადაა, ქართულად როგორ იქნება? — ჰკითხა დედიკომ.

- „დეტსკი კრემი“, — წამოიძახა ანი.

დააკავშირე ნახატები ერთმანეთთან შინაარსის მიხედვით



ბავშვები აბ ილღმა ლტოქინა? მ ღ ა პ ა რ ი

ერთხელ მგელი ლოკოკინას გადააწყდა და ღრენით შეუტია:

- შენ, ეი, გამაბარე! არ იცი, გაჭირვებით მხოხავმა გზა სწრაფად მავალს უნდა დაუთმოსო.

— ჩვენ, ლოკოკინები, მაშინ დავრბივართ, როცა გასწრებაზე ვეჯიბრებით ვინმესო, — დიდის ღირსებით მიუგო ლოკოკინამ. მგელს გაეცინა. ეშმაკმა ლოკოკინამ კი შესთავაზა, თუ გინდა, ხვალვე გსინჯოთ ჩვენი ძალებიო. მგელს რა თქმა უნდა, უკან არ დაუხევია. მგელი რომ წავიდა, ლოკოკინამ შეერიბა თავისი დები და უთხრა:

- დებო, ალბათ, გაგონილი გექნებათ, ვისაც მგლის ხორცი აქვს ნაჭამი, არ ილღება. გინდათ, მგლის ხორცი თქვენც გაგასინჯოთო?

ლოკოკინებმა ერთხმად უპასუხეს, ჩვენი ოცნებაც ეგ არისო.

მაშინ ლოკოკინამ განაგრძო:

- ყველაფერი მოფიქრებული მაქვს, ყური კარგად დამიგდეთო... ლოკოკინამ თავის დებს უბრძანა, ამ გზის გასწვრივ, ერთმანეთისაგან ორას-ორასი ნაბიჯით გაცოცდიეთ. თვითონ კი დანვა და დაიძინა. ლოკოკინები, რალა თქმა უნდა, ნელა მიცოცავდნენ და გზის გავლას მეორე დილაამდე მოუწოდნენ.

- აბა, როგორ არის საქმე, მზადა

ხარ, დიდად პატივცემულო ლოკოკინა? — დაუფარავი დაცინვით ჰკითხა მეორე დღეს მგელმა ლოკოკინას.

ლოკოკინამ უპასუხა, მზადა ვარო და ასეთი პირობა დაუდო: დაღლაზე ვირბენთ, შესამოწმებლად კი ყოველ ორას ნაბიჯზე შევეხმიანებით ერთმანეთსო. მგელი დათანხმდა და შეჯიბრებაც დაიწყო. მგელი ისარივით გაეარდა, ლოკოკინა — დინჯად, აუჩქარებელივით გაცოცდა. მგელმა ორასი ნაბიჯი გაირბინა თუ არა, დაცინვით წამოიძახა:

- სადა ბრძანდები, დიდად პატივცემულოო?

— აქა ვარო, — უპასუხა ლოკოკინას ერთ-ერთმა დამ. მგელმა მიიხედ-მოიხედა და, თავის გვერდით მშვიდად მცოცავი ლოკოკინა რომ დაინახა, გაშტერდა. სულერთია, მაინც გაგასწრებო, — გაიფიქრა და ქარივით გადაევლო გზას, მაგრამ ორას ნაბიჯზე კიდევ შეხვდა ლოკოკინას. მგელმა უმატა და უმატა სვლას, მაგრამ ყოველი ორასი ნაბიჯის შემდეგ კვლავ ლოკოკინას აწყდებოდა. ილაჯგანყვეტილი მგელი უსულოდ დაეცა. ლოკოკინები კი არხეინად შეახოსდნენ ზედ და შეჭამეს.

მას შემდეგ ლოკოკინამ არ იცის, რა არის დაღლა.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამო-სახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ პორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ტყეში დასახლდა რადისტი, სად რას გადასცემს არ ვიცი, ოღონდ ეს არის — მის კაკუნს, ხის ქერქში მატლი განიცდის.“



მიიყვანე ანა და გიორგი კარავთან



11 ანა, გამოიცანი

1) რა პქვია თეატრის მიერ სეზონის განმავლობაში დადგმული სპექტაკლების ერთობლიობას?

- ა) რეპერტუარი; ბ) ანშლაგი; გ) რეპორტაჟი; დ) ტურნე.

2) საქართველოს რომელ კუთხეშია ქალაქები — სოზი, მარტვილი, სენაკი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ?

- ა) იმერეთში; ბ) გურიაში; გ) რაჭაში; დ) სამეგრელოში.

3) შეარჩიე და ჩასვი სიტყვა სათანადო ადგილას: „ტყეში მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალიც —“

- ა) კივის; ბ) ჭყივის; გ) წივის; დ) ტირის.

4) რა პქვია მტრედის ბარტყს?

- ა) მართვე; ბ) ბახალა; გ) წინილა; დ) ხუნდი.

5) რომელი ზღვა არ არსებობს?

- ა) მარმარილოს ზღვა; ბ) მკვდარი ზღვა; გ) მალაქიტის ზღვა; დ) ნითელი ზღვა.

6) როდის სრულდება საეკლესიო საგალობელი, რომელიც ასე იწყება: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...“?

- ა) შობის ღამეს; ბ) აღდგომის ღამეს; გ) ნათლისღების დღეს; დ) ფერისცვალების დღეს.

იპოვე 9 განსხვავება



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე
გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

„ქვირის პალიზრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უსსოური ზღაპარი გამოცა. შუამოწმით, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლების წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — და სია აჩვენეთ გეგმავს

1. ☐ გელია და მწეპრიზა
2. ☐ ქალთაშა
3. ☐ ნასარქაქი
4. ☐ მქინარე მქეთუნახაქი
5. ☐ კოგელა
6. ☐ ირქისა
7. ☐ მქოქლინო
8. ☐ მითელქაქა
9. ☐ შიქქი და მქიქი ჭუჭა
10. ☐ მქოქუნქაქა
11. ☐ მქანაშუნა
12. ☐ მქოქლის ღელქალი
13. ☐ გქამქალი მქიქოქსაქი
14. ☐ აქიქაქა და მქოქოქი ყაქალი
15. ☐ საქი გოქი
16. ☐ მქოქაქი მქი
17. ☐ სიქქარა
18. ☐ მქაქლი
19. ☐ მქამქიქიქი ქაქა
20. ☐ მქელი და მქიქი მქიქი
21. ☐ ნაქქაქა
22. ☐ ნაქქაქაქაქაქა
23. ☐ საქი მქოქოქალი
24. ☐ გოქონა და მქიქალი
25. ☐ მქიქარა
26. ☐ აქალიქი
27. ☐ მქოქაქის მქიქიქი
28. ☐ მქალიქაქაქა
29. ☐ მქოქოქა მქიქი
30. ☐ მქიქიქალი მქიქი
31. ☐ გულქალი
32. ☐ მქიქი-მქიქი-მქიქი
33. ☐ მქოქიქი
34. ☐ მქიქიქი მქიქი მქიქი
35. ☐ ქაქა, მქელი და მქელი
36. ☐ მქოქალი
37. ☐ მქიქიქი მქიქიქი
38. ☐ მქიქიქი მქიქი
39. ☐ მქიქიქიქიქი მქიქი
40. ☐ გოქონა და საქი მქიქი
41. ☐ მითელი მქიქიქიქი
42. ☐ მქიქიქიქიქი ქაქა
43. ☐ მქიქიქიქი
44. ☐ მქიქიქიქიქი მქიქი
45. ☐ გქამქიქიქი მქიქიქიქი
46. ☐ მქიქი და მქიქიქი
47. ☐ მქიქიქიქიქი მქიქი
48. ☐ მქიქიქიქი მქიქი
49. ☐ მქიქიქი მქიქიქი
50. ☐ მქიქიქი მქიქი

ერთი მქიქი-ზღაპარი + მქიქიქიქი მქიქიქი
1 ლარი და 20 მქიქიქი ლარი

ზღაპრების მქიქიქი მქიქიქიქი
„ქვირის პალიზრის“ საგაქოქო მქიქიქიქი, მქიქიქი მქიქიქი მქიქიქიქი მქიქიქიქი და მქიქიქი მქიქიქიქი

ამ ცოტა ხნის წინ გაგრძელებულ ინფორმაციას ორამირის რაიონში ბედიის ტაძრისა და ბაგრატ მესამის საფლავის ხელყოფის შესახებ, მძაფრი რეაქცია მოჰყვა და არა მხოლოდ საქართველოს მხრიდან. აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამმართველოს უფროსმა ვადიმ ბეგინამ კატეგორიულად უარყო აღნიშნული ფაქტი და ამას მორიგი მონაწილე უწოდა. თანაც ისიც დასძინა, რომ გასულ წლებში საქართველო-აფხაზეთის ომში დაზარალებული ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოებიც კი განახორციელეს. მაგრამ ამავე დროს, იუნესკოს ექსპერტებს უარი უთხრეს აფხაზეთის ტერიტორიაზე შესასვლელად — თქვენს უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფთო(1).

ამ პარადოქსულმა გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა ექვნი საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

გთავაზობთ ყველა იმ, ჩვენი აზრით, საყურადღებო მასალას, რომელიც ბედიის ტაძრის და მის საგანძურთაგან შემორჩენილ ოქროს ბარძიმს უკავშირდება.

მონაშეთის, ბაგრატის, ბედიის ტაძართა აღმშენებელი მეფე ბაგრატ მესამე „მატიანე ქართლისაჲსი“ ასე მოიხსენიება: „შემდგომად დიდისა ვახტანგ გორგასლისა არაჲნი გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა“...

ბედიი იმითაცაა გამოჩენილი, რომ სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლა „ეკლესიათა მამულებელმა და გლახათა მოწყალე აფხაზთა და ქართულთა მეფემ“ მეათე საუკუნის დასასრულს და გაამთლიანა კიდევ ქვეყანა.

მეისტორიენი იმასაც ვარაუდობდნენ, რომ მონაშეთის, ბედიისა და ბაგრატის ტაძრის ხუროთმოძღვარი დიდოსტატი არსუკისძე იყო, რომლისთვისაც სვეტიცხოვლის ახალი ტაძრის აღშენება მიუზღვია ბაგრატ მესამეს (განუსრულებია კიდევ ტაძარი არსუკისძეს ბაგრატის ძის, გიორგი პირველის მეფობისას).

მრავალი განსაცდელი გადაუტანია ბედიის ტაძარს. მტერი ხომ პირველ რიგში წმინდა ადგილებს მუსრავდა. ბედიაც დაუნგრევიათ, მე-13-14 საუკუნეებში ისევ აღუდგენიათ სასახლითა და სამრეკლოთი... ქართული წარწერებიც მრავლად დაუტანებიათ ტაძრის კედლებზე, მოხატულობებზე, რომლებიც ფრაგმენტული სახით შემონახულა.

მოგვიანებით ეს წარწერებიც გაანადგურეს, ისევე როგორც არაერთი უტყუარი ნიმუში სწორუბოვარი ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივი ძლიერების დამადასტურებელი. საბედნიეროდ, მე-19 საუკუნეში აკადემიკოს ნიკო მარს მოუხსნია და ბედიის ტაძრის იმ დროისათვის შემორჩენილი ყველა ქართული წარწერა აღუწერს მისხალ-მისხალ...

ბედიის ტაძრის დიდების მოწმედ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული ზიარების ოქროს ბარძიმიც კმარა. ამ ბარძიმს არანაკლებ მძიმე გზა გამოუვლია, რის შესახებაც გვესაუბრება მუზეუმის საგანძურის მთავარი მცველი, ქალბატონი **ელენე კაველიაშვილი**.

— ბარძიმმა ჩვენამდე ნაკლები სახით მოაღწია. მისი მხოლოდ ზედა ნაწილია წარმოდგენილი. ბარძიმს ჰქონია მაღალი ფეხი, ალბათ ოქროსივე, რომელიც მე-16 საუკუნეში უკვე დაკარგული ყოფილა. ეს იქიდან ჩანს, რომ 1865 წელს აკადემიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ ბარძიმი ილორში ვერცხლის ფეხით ნახა, რომ-



ბაგრატ მესამის ფრესკა ბედიის ტაძარში რესტავრაციის შემდეგ

ლის საქტიტორო წარწერაში იხსენიებოდა მე-16 საუკუნის მოღვაწე გერმანე ჩხეტიძე (ბედიელი ეპისკოპოსი). მოგვიანებით, ეს ვერცხლის ფეხიც დაიკარგა...

ბარძიმი დამზადებულია ხალასი ოქროსგან, იწონის 752 გრამს (სიმაღლე 12,5, ხოლო დიამეტრი 14 სმ) და ერთი მთლიანი ფურცლისგან არის ნაქდი. ბარძიმის პირის კიდეზე განაწილებულია ქართული ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ მესამე და დედამიწის გურანდუხტი. დადინების ქრონიკის მიხედვით, 999 წელს ბაგრატმა საზეიმოდ აკურთხა ბედიის ტაძარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროს ბარძიმი უკვე მოქმედილი ყოფილა, რადგან ბაგრატმა არა მარტო აღაშენა ტაძარი, არამედ „შეამკო ყოველითა სამკაულითა“.

— **ბუნებრივია, ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა მემკვიდრეობა არ გამოჩნდება...**

— ამ მხრივ საინტერესოა ის გარემოება, რომ ისეთ ღვაწლმოსილ მეფეს, როგორიც ბაგრატ მესამე გახლდათ, მემკვიდრე მინც ბედიის სამკაულით წარმოაჩენს: „ოდეცაჲ (ვინმეს) ენებოს განცდად დიდებისა ბაგრატ მესამის მეფობისა, მაშინ იხილო სამკაული ბედიისა“...

— **რა შედიოდა ამ სამკაულში?**

— სამკაულში, ცხადია, შედიოდა ის ძვირფასი კედლის მხატვრობა, რომელიც ტაძრის ამკობ-

და. ჯვარ-ხატები, ბარძიმ-ფეშუმში... ბარძიმის საქტიტორო წარწერაში ბაგრატ მესამე მოიხსენიება „ამა ტაძრისა აღმშენებლად, ამა საკურთხ-

ჩა ბანი ელის ბაღის ბაგას?..



ველისა შემამკობლად და ამა ბარძიმისა შემწირველად“.

— **გამოდის, რომ ბედიის ოქროს ბარძიმს უზარმაზარი ისტორიული დატვირთვა აქვს.**

— ეს ერთი მხარეა, მაგრამ მეორეა ბარძიმის მხატვრული ღირებულება, რომლითაც იგი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართული ლიტონიქანდაკეობის განვითარების ისტორიაში. ბარძიმის მთელი პერიმეტრი თაღების მეშვეობით დაყოფილია 12 ნაწილად, ანუ თაღად. ერთ მხარეს გამოსახულია მაცხოვარი საყდარზე დაბრძანებული, მაკურთხეული მარჯვენით. საპირისპირო მხარეს ღვთისმშობელი დაბრძანებული, რომელსაც ყრმა მარცხენა ხელზე უზის. ასე რომ, კომპოზიციურად ბარძიმი ორ აზრობრივ ცენტრს შეიცავს — მაცხოვრისა და ღვთისმშობლის და ორივე ერთ სიმაღლეზეა აყვანილი. ეს ალბათ იმითაც უნდა აიხსნას, რომ ბედიის ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა, საიდანაც იკვეთება ღვთისმშობლის პრიორიტეტი საქართველოში. დანარჩენი 10 თაღში განაწილებულია მხარებელთა და მოციქულთა ფიგურები. ოსტატი შემოქმედებითად, თავისუფლად უდგება მოციქულთა გამოცხადებას, არ ცდილობს 12-ივე წარმოდგენოს. თუმცა, გამოსახულებიდან თადეუსი და ლებეუსი ორი ფიგურის სახითაა, არადა როგორც ცნობილია, ერთი და იმავე პიროვნების სახელია. ამ ფიგურათა გარდა, გამოსახულება შორის არიან წმინდანები იოანე, ანდრია, ლუკა, მარკოზი, პავლე, პეტრე, ბართლომე და იაკობი.

— **ოსტატის სახელი თუ არის ცნობილი?**

— თავმდაბლობით გამოირჩეოდნენ ქართველი ოსტატები, მათთვის უმთავრესი გახლდათ ღვაწლი უფლის მიმართ. ამიტომ ყოველთვის არ თავსდებოდა სავეტორო წარწერები მათ ნამუშევრებზე.

— **რას გვეტყობ ამ ძეგლის გადარჩენის ისტორიის შესახებ?**

— ბარძიმი 1930 წლამდე ინახებოდა ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში (აქვე ინახებოდა ბედიის მეორე ბარძიმი და მტრედის ფიგურა, რომლებიც, სამწუხაროდ, დაკარგულია. — ავტ.). მერე იგი სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაიტანეს. 1951 წელს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ქართული საგანძურის გამოფენა მოეწყო. მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა დროებით, საგამოფნოდ ითხოვა ბარძიმი. როდესაც მისი უკან დაბრუნება მოითხოვეს, გამოფენა ისევ გრძელდებოდა (ხანგრძლივი ექსპოზიცია იყო გათვალისწინებული), ამიტომ ბატონმა შალვამ სოხუმში ბარძიმის ასლი აახლა. ორ კვირაში სოხუმიდან ბედიის ბარძიმის ასლი დაიკარგა(2). ვინ მოიპარა ბედიის ბარძიმის ასლი, არაჲნი იცის. მისი კვალი დღემდე არსად გამოჩენილა! ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ბარძიმს დავაბრუნებდით, იგი უჭველად დაიკარგებოდა! ამიტომ ძალზე სათუთრი დამოკიდებულება სჭირდება ასეთ ძეგლებს გადარჩენის თვალსაზრისით...

— **ბედიის ბარძიმის ასლი ვინ დაამზადა?**

— ირაკლი ტარიამიშვილმა, მუზეუმის ქიმიკო-

სმა. შემდგომ თეიმურაზ თოდუამ ეს მეორე ასლი ფონდში გავაქვს დაცული...

— **ბედიის ტაძარი როდემდე იყო მოქმედი?**

— როგორც ჩანს, მე-19 საუკუნეში ბედიი უკვე „უქმ იქნა“ და ამიტომ გადაუტანიათ საგანძური ილორში...

— **თუ არ ვცდებით, 60-იან წლებში ბედიის ბარძიმი განსაცდელს გადაურჩა.**

— და არა მარტო ბედიის ბარძიმი. მაშინდელმა საკავშირო ცეკას გენერალურმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ნება დართო იაპონიის წარმომადგენლობას, ყურადღება გაემხვილებინათ ქართულ კულტურაზე. ერთ დღესაც, სა-



ბედიის ბარძიმი

... ვინ უნდა დაზუსტოს ინფორმაცია ბედიის ტაძრის დანგრევა-არდნგრევის შესახებ.

... **ბედიის ტაძარი — ერთიანი საქართველოს სიმბოლო.**

... **ბედიის ოქროს ბარძიმი — ქართული ოქრომჭედლობის უტყუარი ძეგლი.**

... **ვინ მოიპარა სოხუმში ბედიის ბარძიმის ასლი.**

... **როგორ „გადაარჩინა“ ხრუშჩოვის წილმა ქართული საგანძური.**

... **რას გააძაჰყვა ვიქტორია სირაძის კარიერა.**

... **ხალხი გადაფის და გადმოფის აფხაზეთში, ბედიის ტაძრამდე კი ვერაფერი მიაღწია(1).**

... **ექსკლუზივი ლტოლვილებისგან.**

ლამოს 9 საათზე, იაპონელი სტუმარი აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს ურევას და ითხოვს საგანძურის გახსნას. ბატონი შალვა მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და სტუმარს თავაზიანად აუხსნა, რომ ასე გვიან უფლება არ ჰქონდა საგანძურის გახსნას და მეორე დღისთვის დაიბარა. ამით ორმხრივი საქმე გააკეთა — დაიცვა სამუზეუმო წესი და დროც მოიგო. მეორე დღით, მუზეუმში მისულმა იაპონელმა სტუმარმა საგანძურის ექსპოზიციაში მიუთითა იმ სიძველეზე, რომელთა შესყიდვაც სურდათ. ამ სიაში თავმოყრილი იყო ბედიის ბარძიმი, ახალგაზრდის განძი, ხალხის კარედი ხატი და სხვა... იაპონელის გასტუმრებისთანავე ბატონი შალვა მაშინდელი საქართველოს ცეკვას პირველ მდივანთან, ვასილ ჭავჭავაძესთან მივიდა და სიტუაცია აუხსნა. ჭავჭავაძემ ყურადღებით მოუშინა დიდ მეცნიერს, უთხრა, ბევრს ვერაფერს გიშველით, მაგრამ ამ საქმეს ერთი კვირით გადავადვინებო. ბატონ შალვას გაუხარდა, რადგან დროს ამ მონაკვეთში იგი შეძლებდა ხალხისთვის შეტყობინებინა მოსალოდნელი საფრთხე. ჭავჭავაძე კი მოსკოვში გაფრენილა. მოგესხენებათ, მისი და ხრუშჩოვის მეუღლეები მეგობრობდნენ. ხრუშჩოვი მეუღლემ სასტიკად „დატყუა“ თუმცა, იაპონელი აღუქმევლოდნენ ხელგრიდელი გაბრუნდა. მართალია, ყველაფერი კარგად დასრულდა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო ნერვული სტრესი, ბატონმა შალვა ამირანაშვილმა ინფარქტი მიიღო.

— **1978 წლის ამაზე რას იტყობ?**

— საქართველოს მუზეუმებმა ცენტრალური კომიტეტიდან დავალებმა მიიღეს, რათა საქართველოში დაცული სიძველეთა ერთი ნაწილი გადასცემოდა აფხაზეთს. განკარგულებას ხელს ვიქტორია სირაძე აწერდა, მაშინდელი ცეკვას მდივანი. ამ განკარგულებას ქართველი მეცნიერების დიდი საპროტესტო გამოსვლა მოჰყვა. გადაიკეტა რუსთაველის პროსპექტი. დემონსტრაციას სათავეში ედგა აკადემიკოსი ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, დიდი ივანე ჯავახიშვილის ვაჟიშვილი. ბატონმა ლალამ შევარდნაქის განუცხადა, საქართველოს საგანძურთან ცოცხალი არაფერს გაგახანთ, თუ მომკლავთ და მკვდარს გადაშობავთ, მკვდარს არაფერი მოეთხოვება... მაშინ შევარდნამდე თავი იმატოლა, ეს ჩემი წინადადება არ იყო(3)!... საბოლოოდ, ამ საქმეს ვიქტორია სირაძის კარიერა გადაჰყვა.

— **რას ითხოვდნენ მაშინ?**

— ბედიის ბარძიმს, ბიჭვინთის ღვთისმშობლის ოქროს ჭედურ ხატს, ბიჭვინთის სანიაშამძღვრო ოქროს ჯვარს, ბიჭვინთის მოზაიკური იატაკის ფრაგმენტებს და სხვა. და ალბათ ყველაფერი ამას რუსეთი წაიღებდა... ასე რომ, ქართველ მეცნიერთა ბრძოლა ეროვნული საგანძურის გადასარჩენად ალბათ დაუსაბამო იქნება.

ბედიის ტაძარზე მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ ვუთხარებთ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს, **გიორგი ანანაძეს**.

— მართალი გითხრათ, არ მგერა, თითქოს ბედიის ტაძარი ხელყვეს. თუნდაც იმიტომ, რომ აფხაზები მას თავიანთი კულტურის ძეგლად თვლიან...

— **ბატონო გიორგი, როგორც ძეგლი**

დაცვის დეპარტამენტში გვითხრეს, აპრელში საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით მონიტორინგის ჩატარებას აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების მდგომარეობის შესასწავლად თქვენ, გიორგი, ერთადერთი ხარო, ვინც თბილისშიც მოღვაწეობთ და სოხუმშიც (გიორგი ანანაძე სოხუმის უნივერსიტეტშიც კითხულობს ლექციებს. — ავტ.), ამდენად, ამ მონიტორინგში თქვენი ჩართვა, ალბათ, აუცილებელია...

— ჩემთვის ამის შესახებ მხოლოდ მასმედიიდან გახდა ცნობილი. ვფიქრობ, საინტერესო იქნება მონიტორინგის შედეგები...

— **ნუთუ არაჲნი აღმოჩნდა ისეთი, ოჩამჩირეში, ბედიის ტაძრამდე რომ მივლინა და ზუსტი ინფორმაცია მიგვეცა?**

— არავითარი სიძველე ამაში არ არის. ხალხი გადადის და გადმოდის აფხაზეთში. ენგურის ხიდიდან მანქანით ბედიამდე ერთი საათის სავალიც არ არის...

— **მაგრამ ბედიის ტაძრამდე ვერაფერი მიაღწია.**

— მე კი ვთვლი, რომ ეს განაცხადი შეცდომაა, გაუგებრობაა, ინფორმაცია დასაზუსტებელია... ინფორმაციის დასაზუსტებლად აფხაზეთიდან ლტოლვილ მეცნიერებს მივმართეთ.

თეიმურაზ შიგინაძე, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი:

— თუ ეს მართლა გაკეთდა, ამას ნორმალური აფხაზი (მით უმეტეს, ქართველი) არ ჩაიდნდა. სხვათა შორის, ბაგრატის შთამომავალს უწოდებს თავის თავს აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. ისიც თქვა, როდესაც ქართველები ბაგრატითა გერბს „იგონებენ“, პირველ რიგში მე უნდა მკითხორო... ამიტომ კაცი, რომელიც თავს ბაგრატის შთამომავლად თვლის, მის საფლავს უნდა აფუთქებდეს?

ჟანო ჯანაშიძე, პოეტი, აფხაზეთის განათლების მინისტრი:

— შარშან, სოხუმში დიდი ზეიმით აღინიშნა ბედიის ტაძრის აღშენების 1000 წლისთავი. ამ იუბილეზე ქართველები, რა თქმა უნდა, არ მიუწვევიათ. ბედიის ტაძარს ხომ აფხაზები თავიანთი კულტურის ძეგლად თვლიან...

ბატონმა ჟანომ, ისიც გვითხრა, რომ თავის დროზე ლექსიც კი მიუძღვნა ბედიის ტაძარს. ეს ლექსი, ისევე როგორც მისი შემოქმედების დიდი ნაწილი, აფხაზეთის ომის დროს დაიკარგა. პოეტმა ჩვენი „შეკვეთით“ დღევანდელ ბედიას ახალი ლექსი მიუძღვნა, რომლის ფრაგმენტსაც სიაშენებით გთავაზობთ:

სუყველაფერი ბედისწერა და სუყველაფერი მართლაც ბედია, აქ ბაგრატ მეფის ხმალი ელავდა და მზე კოცნიდა ლამაზ ბედიას... აქ სათიბეთი მეც ბევრჯერ მცვლეს, ვეცემი, ვდგები, ვდგები, ვეცემი, აქ გურანდუხტის ცრემლის ნამცველებს დაველ, დავეტებ ხელის ცეცხლით...

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ დადინების სასახლეთა გადარჩენის ფონდის თავმჯდომარეს **გიორგი კალანდიას**:

— ფონდის მუდმივი ყურადღების არეალში გახლავთ ის ტარებები, რომლებიც ისტორიული ოდნის ტერიტორიაზე მდებარეობს. მათ შორისაა ბედიაც, რომლის მიმართ განსაკუთრებული „გართულება“ აქვთ აფხაზებს, განსხვავებით ვთქვათ, ბიჭვინთისა და ლიხნის ტარებისგან. იმიტომ, რომ ბედიის ტაძარი ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ აღიქმებოდა ყოველთვის და ასეა ახლაც. სოფელ აგუბედიის მოსახლეობა, სადაც ეს ტაძარია, ცხადდება, რომ დასავლეთისა და სამხრეთის კედლები აფხაზებმა მიზანმიმართულად მთლიანად დაანგრეს, რადგან მათზე იყო ქართული წარწერები და ბაგრატ მესამის ერთადერთი ფრესკა... გარდა ამისა, სამი თვის წინ გავრცელდა დაუზუსტებელი ინფორმაცია, — 1888 წელს ილორის ტაძრიდან დაკარგული ბედიის ბარძიმი დაკარგული უნდა იყოს ბედიის ტაძარში და ამიტომ მის მოსაძებნად დაიწყოთ გათხრა. ამ დროს შეურაცხველ ბაგრატ მესამის საფლავში. თუმცა, ამას აფხაზები კატეგორიულად უარყოფენ. რუსლან ქიშმარიამ, გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ისიც კი მითხრა, ბაგრატ მესამის საფლავი აქ არასოდეს ყოფილა(4)!... რაც შეეხება ტელეკომპანია „მზის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის ტაძრის ხელყოფის შესახებ, დაზუსტებით ამის თქმა შეუძლებელია. მართალია, კოსმოსიდან ტაძრის კონტურები არ გამოჩნდა, მაგრამ ხილვადობას ხელი შეიძლება მეტეოროლოგიურმა პირობებმაც შეუშალა...

P.S. დახმარებისთვის ისევ როგორც ლტოლვილებს (მათ ვინაობის გამხელა არ ისურვეს) მივმართეთ, რომელთაც ახლობლები ყვავთ ოჩამჩირეში და ექსკლუზიური ინფორმაციაც მოგვანოდეს. დაგვამშვიდეს, რომ ბედიის ტაძარზე ისევ თავის ადგილზე დგას ოღონდ ომის წლებში გვარაზანდ შულანძლოლი, საპატრონო და მისაფერებელი. არც ტაძრის ეზო გადაუთხრებია ვინმესი.

ღმერთმა ქნას, ასე იყოს...

ელენე სალარიძე



იაპონიაში ყველა იცნობს კოკაის (ქართულად „დიდ შავ ზღვას“ ნიშნავს. — ლ.ჯ.) ეს გოლიათი ჭაბუკი სიმაღლით 1,92 მეტრია და 155 კგ-ს იწონის. კოკაი მხოლოდ 23 წლისაა და უკვე შეძლო დიდი წარმატებების მოპოვება. ის პირველი ევროპელია, რომელიც სუმოს პროფესიონალი გახდა და რა საამაუოა, რომ კოკაი — ქართველი ლეგან (ცაგურია). პროფესიონალურ სუმოს ათასამდე სპორტსმენი ეფუძლება, სუმოს ელიტაში სულ 72-ია. მათ შორის კოკაი — უკვე მეორე მაიკაშირაა. ეს საკმაოდ მაღალი იერარქიული საფეხურია სუმოში. ჩემპიონისა ჩემპიონობამდე სამი საფეხურითაა რჩება — კომისუკი, სეკივაკე და ოძიკი. მას შემდეგ იოკუჟუენ-ია მოდის — სუმოს მწვერვლი. ლეგანმა საქართველოში ცოტა ხნით ჩამოვიდა, მაგრამ ოჯახის წევრებიც ვერ ზედავენ რიგიანად, ყოველი ნათესავი გათვლილი აქვს... ამიტომ მის მშობლებს — ქალბატონი ციკოსა და ბატონ მერაბს და-ჯგუფებრით და ფოთბოთი, კოკაიზე ეამბნათ.

— ლევინი გოლიათი დაიბადა — 4,6კგ, — გვიამბობს ბატონი მერაბი, — თავიდანვე ძლიერი ბავშვი იყო. ჭიდაობაზე დაგვყავდა. ერთხელ ორი კაცმა გავაყვინთე ვარჯიშებში. იმ დღეობასი სიასლოვეს არ დადიოდა — მრცხენიაო. პატარაობაში შოთა კიკაბიძე წვრილად თავისუფალ ჭიდაობაში. სოხუმიდან გადმოსვენის შემდეგ გია კოტეშაძე და ვანო ნიკოლაძე ავარჯიშებდნენ. თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონიც გახდა. ხერხელის მძიმე ტრავმა რომ მიიღო, ურჩევდნენ, სპორტს თავი დაანებო, მაგრამ ჭკვილის მორიდა და ვარჯიში განაგრძო.

საერთოდ, ყველაფერს წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად მიაღწია ლევანმა. რამდენი ფსიქოლოგიური ტრავმა მიუღია. მარტო ის რად ღირს, რომ სოხუმის ომის შემდეგ ყველაფერი დაგვარგეთ, უსახლკაროდ დავრჩით. ლევანი არ გატყბილა.

— **სუმოთი როგორ დაინტერესდა?**
— თავისუფალ ქიდაობაში შემოიღეს ნეს-
რომ 120 კგ-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო მო-
ჭიდავე. ამის გამო ლევანს პრობლემები ექმნებო-
და. მოყვარულთა შორის სუმოში მსოფლიო
ჩემპიონმა ლევან ეხანოიძემ და საჭართველს
სუმოს ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ რუხ-
საძემ უთხრეს: — იაპონელი სუმოისტები ჩამოე-

გაგანაჩვენებს გინუჩვენთ, კოკანი-სან!

**„ეს რომ იოლი იყოს,
ბმას ხომ წაიყვანდა“**

ერთ შეჯიბრში მხოლოდ ერთი მოგება აკლდა და სუმოს ისტორიაში პირველი კაცი გახდებოდა, მაგრამ... რალაც მოხდა, ის ერთი შეჯიბრი წააგო.

— იაპონური ისწავლა?

— 3 თვეში უკვე იაპონიის ტელევიზიას ინ-



იდნენ და შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს. იაპონელებს მოეწონათ ლევანი და თავისთან მიიწვიეს.

— მაშინ უკვე იცნობდა იაპონურ კულტურასა და წეს-ჩვეულებებს?

— არ იცნობდა... ლევანს ერთადერთი მი-
ზანი ჰქონდა — სპორტს არ მოსწევეუბოდა. არ
გვინდოდა გაშეება, მაგრამ მაინც მოგვიხდა და-
თანხმება.

— Ի՞նչ ցանկացե՞լ քեզ հարցեր կա՞նք:

— დიდი სირთულეები გადაიტანა — ენა არ იცოდა, სულ მარტო იყო. ხანდახან წამსკდება — ღმერთს ვევედრებოდა, ოღონდ ეს გადამატინე, სხვა არაფერი მინდა. ჩასვლის მეორე დღესვე დილის 5 საათზე აყენეს. ავლიმტრებაციისათვის დრო სულ არ მიუციათ. თან უნდა ნახოთ, რა მძიმე ვარჯიში აქვთ. ვერც საქმელს შეეგუა თავიდან... ირგვლივ ვინ რას ლაპარაკობდა, არ იცოდა. 5-დან 11 საათამდე ვარჯიშობდა. მერე სადილობდა, 2-4 საათი ეძინა. სადილობით 2 საათი ისევ ვარჯიშობდა, მერე იძინებდა. როგორც ჯარში, ისე ცხოვრობენ. თავიდან არც გარეთ გასვლის უფლება ჰქონდა, არც ტელეფონი ლაპარაკისა...

— ახლა აქვს ამისი უფლება?

— ახლა აქვს. ის კი არა, ორი ვატი ემსახურება — ურეცხავენ, ლოგინს ულაგებენ, თმას ვარცხნიან... ახლა ლევანი მეორე მაიგაშირაა. სხევებს ათასამდე ბრძოლა დასჭირდათ, რომ იმ დღონითვის მიეღლიათ, რასაც ლევანმა ასიოდე ბრძოლით მიიღწია.

— ფარცხნილობა მართლა განსაკუთრებულია.

— ჰო, ეს მათი წესია. ყველას არც აქვს იაპონიაში უფლება, რომ ის ვარცხნილობა და ტანისამოსი ატაროს, რომელსაც ლევანი ატარებს. სუიმოს 1500 წლის ისტორიაა აქვს და ლევანი მერვე კაცი გახდა, რომელმაც ასე მოკლუ ხანში გადაინაცვლა VI ჯგუფიდან I ჯგუფში. ერთ-

ტერცრეუებს იაპონურად აძლევდა. უნდა ნახოთ, როგორ უყვართ იაპონელებს. ლევანთან ქუჩაში თავისუფლად მისვლა და დაღალაპრკებაც არ შეუძლიათ. თუკი იხიბობს, მხოლოდ მაშინ მივახლებს მასზე დაბალ საფეხურზე მდგომი სუშოის-ტი. იოკუჰაში მონიგრობს, მასაც ძალიან უყვარს ლევანი. სადილად იწვევს ხოლმე თავისთან. ლევანი მეგობრობს ოს ძმებთან, რომლებიც მის შემდეგ ჩავიდნენ საპრონაში. ისინი, როცა დრო გამოუჩნდება (სუშოისტიბი ორ თვეში ერთხელ ერთ დღეს ისვენებენ), ერთმანეთთან დადიან. მართლმადიდებლურ ეკლესიაშიც ერთად ლოც-ულობენ(!). ლევანს თაყვანისცემლებმა სამი სპე-ციალური სამოსი მოუქარვეს. თითო 15.000 დოლარი ღირს... ერთზე საქართველოს გერბია ამოქარგული, მეორეზე — საქართველოს დროშა. ასეთი სამოსი ყველას თითო აქვს, ლევანს — სამი. უნდა ნახოთ, იაპონურ გულშემატკივრები დგანან და ქართულად დანერგილი ლოზუნგით ამხნევებენ: „კოკი გაიმარჯვებს!“ ლევანს მეგრულ-ი სიძლეევი უსწავლევია თანაკლუბელები-სთვის, ცოტა ქართულიც.

— იაპონურ სამზარეულოს შეფუა?

— თავიდან დღესასწაულებზე რეკავდა ხოლმე, — სადილოდ რა მოაშაადეთო. რა თქმა უნდა, ენატრებოდა ქართული კერძები. განსაკუთრებით ელარჯი უყვარს. ვერაფრის გემოს ვერ ვიგებდი, ამიტომ ყველა კერძზე კეტჩუპს ვისხამდიო, — გვითხრა ერთხელ. ახლა შეეჩვია იაპონურ საზმარეოლოს.

— ძოვილუგებიტ თუ სარგებლობს?

— რა თქმა უნდა. ვალდებულია პრივილეგიები ისარგებლოს. მას არც მეტროთი შეუძლია ახლა გზავრობა, არც ავტოზოლით. ჰყავს მანქანა, რომელსაც თვითონ არ უტარებს. მძღოლი ემსახურება. იცის, ჩვენ რა გაჭირვებით ვცხოვრობდით, სოხუმის ომმა რა დღემი ჩაგვადღო... მინდა მომთბლეს დაგეხმარო, — უთქვამს ერთ ინტერვიუში. გვეხმარება კიდევ, მათაც


რიალურად ოჯახი თითქმის სრულიად მას ეყრდნობა...

— იაპონიაში პოპულარობა იოლია?

— ხალხი ხელისგულზე ატარებს. აქედან ჩასულემა ნახეს: კოკაი რომ ქუჩაში გამოვიდოდა, ხალხი კედლებზე ეყვროდა და იძიხდა — „კოკაი-გრუზია!“ ეპატონებოდნენ ხან სათევზაო, ხან სადილადა. იაპონელები რომ ჩამოდანი, ჩვენიან სტუმრობენ. გვეკითხებიან: რა ადგილას დაბადა, სად იზრდებოდა კოკაი, გვაჩვენებო. რაჭაში გვეყვდა — ლეჩანის დედულეთში. იქ სმირადა დადიოდა ბავშვობაში. იაპონურმა ტელევიზიამ არაერთი გადაცემა მიუძღვნა კოკაის. საქართველოს უჩვენებენ, სოხუმის ომის კადრებს.

ერთხელ აქ ევრაზიის სპორტის წარმომადგენელი იყო იაპონიიდან ჩამოსული. დაფურეკეთ ლევანს: — ესა და ეს კაცია ჩამოსული და დაელაპარაკეო. იმხელა რიდი ჰქონდა იმ ჩაბრუნელ კოკაისა, სულ დამატარავდა — ვერ წარმოედგინა, კოკაის თუ აქედან დაელაპარაკებოდა...

— იაბონელი რომ შეიერთოს ცო-
ლადა?



— თუ თვითონ ენდომება, შეირთოს...
იაპონელებს ძალიან უყვართ კოკაი. ვიცი, ბევრი
ცდილობს, თავი შეაყვაროს...

— ალბათ კოვბი კმაყოფილია, რომ სუმიოში სცადა ბედი.

— რა აქმა უნდა. ახლა მისი უმცროსი ძმა, 17 წლის გიორგი მდიდის იაპონიაში სუშოს მომწარუნებელი შევიბრუნე — თენგიზ რუხსაძეს იაპონიაში მიჰყავს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები: გიორგი ნიკორაძე, ლევან გიორგაძე და გიორგი. ერთხელ თქვა ლევანმა: — არ მინდა ჩემი ძმაც სუბოისტი გახდესო. ეს რომ იოლი სახეობაა, რუსი, ძმას ხომ ნაიყავარ? იმხელა სიძინელი გამოიარა, ცოცხალი ძმა ამისათვის არ ეშვებოდა.

— ყველაზე მეტად რა ენატრება
კოკაის?

— საქართველო, სოხუმი... ერთხელ წამოსცა — მე ამ წლებს ხოც ვერ დავივარწუნებო. ალბათ იმიტომ, რომ თავის ცხოვრებაში ვერ ცხოვრობს. მხოლოდ სპორტზეა გადართული. P.S. 4-დან 18 ივლისამდე ჩატარდება სუბიშ მეოთხე დიდი ბაჟო (მედიკინა). 15 შესვლად იქნება დოქიზიზ. მთელი საქართველო დიდი იმედით ადევნებს თვალს კოკაის და ნარმატუგის უსურფებს.

ლელა ჯიყაშვილი

გამოჩენილი უცხოელი სპეციალისტები 12 ივლისიდან 16 ივლისამდე ჩაატარებენ უფასო კონსულტაციებს და მკურნალობას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის (მათ შორის გართულებული შემთხვევები)

ՆՈՆԱՏՆԱՐԻ ԻՅՆԵՐԱ:

ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი 14:00სთ - ღან
18:00სთ - მდგ

მისამართი: ცოქნე დადიანის № 255

კლინიკური მედიცინის ცენტრი (ყოფილი 1
სამშობიარო)

მე-3 სართული, ელექტროქიმიური თერაპიის
კლინიკა

ტელ.: 38 76 18, 8 99 23 65 53

[illegible]

მეხეულ-დედუღი

ივლისის თვის სამუშაოები

ხენდროს მოსავლის აღებიდან 2-4 კვირის შემდეგ 2-3-წლიანი ნერგების ფოთლებს მთლიანად ჭრიან მიწის ზედაპირიდან 5-7 სანტიმეტრის სიმაღლეზე და წვან. ეს იმის გამო ხდება, რომ ძველი ფოთლებიდან სოკოვანი დაავადება არ გავრცელდეს. ამასთანავე, თუ ნარგავი ძალიან გახშირებულია, ამოათხეულეთ და ახალ ადგილზე გადარგეთ. ხენდროს ასევე აცილებენ „ულვამებს“ — განსაკუთრებით ერთწლიანი პლანტაციის. თუ ნარგავი საჭიროებს მორწყვას, აუცილებლად მორწყეთ. შეიტანეთ ასევე წყალში გახსნილი ორგანული სასუქი.

ბაღში ივლისის პირველი ნახევარი საუკეთესო დროა კვირტით მცნობისთვის. თუ აპირებთ ამ ოპერაციის ჩატარებას, მსხმოიარე ხეებიდან (ე. ი. უკვე ნაყოფის მომცემი ძირებიდან) აქერით მიმდინარე წლის კარგად მომწიფებული კალმები. მოაშორეთ ფოთლები და დაუტოვეთ მხოლოდ ყუნწები. კალმებს ქვედა ნაწილი ჩაყოფინეთ წყალში და მიიტანეთ საძირესთან. ზედა ნაწილში სანამყენე დანით გააკეთეთ რუსული ასო T-ს მაგვარი ჭრილი, რომლის ზომებიც



უნდა იყოს: ვერტიკალურის 3-4 სმ და ჰორიზონტალურის — 1,5 სმ. თუ დანას ბოლოზე სპეციალური ფირფიტა გააჩნია, იმ ფირფიტით მოხსენით კვირტის ასაჭრელი ადგილი, თუ არა და იქონიეთ წინასწარ წამახვილებული ჯოხი, რომლითაც კვირტის ჩასასმელ ჭრილს გახსნით,

შემდეგ აათალეთ კალმიდან კვირტი თავის ყუნწიანად, ისე რომ, კვირტის ზემოთ დარჩეს არა უმეტეს 0,5 სმ-ისა, ხოლო ქვემოთ — 1,5 სმ. ჩასვით კვირტი ფაქიზად და შემოუჭირეთ საიზოლაციო ლენტით. სახვევი მოახვიეთ ზემოდან ისე, რომ კვირტი ჩანდეს, დანარჩენი ნაწილი კი კარგად იყოს შეკრული.

2 კვირის შემდეგ შეამოწმეთ ნამყენი. თუ ფოთლის ყუნწი ხელის ოდნავი შეხებით მოსცვრა, ე. ი. კვირტი შესორცებულია.

ხეილს შტამპზე და ვარჯის შუაში ამონაყრები შეცაღეთ. მსხმოიარე ტოტებს ორკაპები შეუდგით. შედგამდე ორკაპში ცოტაოდენი თივა ჩაუდეთ, რომ ღერო არ დაზიანდეს.

ვენახში ახლა კარგი დროა ნამხარისა და ზედმეტი ყლორტების შეცლისათვის და საყრდენზე ყლორტების მისამართად. თუ თქვენი ვენახი უნაშლი არ არის, აუცილებლად დასჭირდება შენამვლა: ჭრათი დროს — ბორდოს ხსნარით, ნაცრის სანი-ნალმდგომად — გოგირდით ან კომბინირებული საშუალებით.

ეკოლოგიური პრაქტიკის

აბრეშუმა

— მალაზიაში ვიყიდე იონჯის თესლი. დავთესე და ამოვიდა აბრეშუმისთან ერთად. როგორც ჩანს, თესლი გასანმენდი იყო. გთხოვთ მიჩიოთ, როგორ მოვიქცე.

მერაბ ბოჭორაძე

— აბრეშუმა ერთ-ერთი ყველაზე საშიში, ენ. საკარანტინო პარაზიტი სარეველავა. პარაზიტობის სამყურაზე, იონჯაზე, სელზე, წინააზზე, თამბაქოზე, კარტოფილზე, ჭარხალზე, ხახვსა და სხვა. გვხვდება სარეველა მცენარეებზეც. მრავლდება თესლით და ღეროს ნაწილებით. თესლი გალივების უნარს ინარჩუნებს 10 წლამდე. პატრონ მცენარეს (რომელზეც პარაზიტობს) ეკვრის ხვიარა ღეროზე განლაგებული მისანოვრებით და იკვებება მის ხარჯზე. გავრცელებულია თითქმის მთელ დედამიწაზე. აბრეშუმა, გარდა იმისა, რომ მცენარეს აზიანებს, ცხოველის საკვებში მოხვედრისას, ალიზანებს საჭმლის მომწეველ ორგანოებს.

თქვენს ნაკვეთში მზარდი სარეველა არის ენ. სამყურას აბრეშუმა, რომელიც პარაზიტობს მხოლოდ პარკოსან მცენარეებზე. ყვავილობის ივნისიდან დაწყებული მთელი სავსეგაციო პერიოდის განმავლობაში. ერთი მცენარე იძლევა რამდენიმე თას ცალ თესლს. მის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე კარგი საშუალებაა სათესლე მასალის შემოწმება, რათა არ გაგვეპაროს უცხო თესლი — ამ შემთხვევაში აბრეშუმასი. ამისთვის სათესლე მასალას ატარებენ ცხრილში. აბრეშუმას თესლი ძალიან წვრილია და ადვილად მოსაშორებელი. თუ კულტურული მცენარე მაინც დასარეველიანდა, ყვავილობამდე უნდა ჩაიხანს ღრმად. განადგურდეს ირგვლივ არსებული სარეველა მცენარეები, რომლებზეც პარაზიტობს აბრეშუმა. შეიძლება ნათესის ცვეცლით განადგურება. თუ ფხიზლად არ იქნებით, ამ აბრეშუმას ვერაფრით მოიშორებთ, ტყუილად კი არ ეძახიან მას „ჭლეც“.

როგორ ღვიძლით თაქი კოლონიზაცია

— ამ ზაფხულს ძალიან შეგვაწუხებს კოლონიზაცია. განსაკუთრებით საღამოობით შეუძლებელია გარეთ გაშვება. იქნებ რაიმე მალამოს დამზადების წესი გვასწავლოთ, რომ როგორმე თავი დავიცვათ.

ერთგული მკითხველი

— კოლონიზაციის დასაფრთხილებლად უებარი საშუალებაა სპეციალური ფხვნილი, რომლის მომზადება თქვენს შეგიძლიათ. ამისათვის საჭიროა: ევკალიპტის ზეთი 12 გ, ტალკი 100 გ, სახამებელი 100 გ. — კარგად შეურიეთ ერთმანეთში და ნაისვით შიშველ ადგილებზე და მშვიდად იყავით — კოლონიზაცია მოგეპოვებათ! ასევე შეგიძლიათ მოამზადოთ ხსნარი — კატაბალასის ნაყენი 200 გ, მისხვის ზეთი 2 გ, ევკალიპტის ზეთი 1 გ და მალამო — დაფნის ზეთი 100 გ, ვაზელინი (თეთრი) 100 გ, ქაფური 20 გ, იქტიოლი 6 გ.

ჭინჭრაქა ანუ ლობიკაქალა



ეს ნამცეცა ფრინველი, რომლის წონა მ-იდან 11 გრამამდე მერყეობს, ჭინჭრაქათა ოჯახის წარმომადგენელია. ოჯახში სულ 20-მდე გვარი და 63 სახეობაა, რომელთაგან ჩვენში მხოლოდ ერთი, ყველაზე მცირე ზომის ჩიტი — ჭინჭრაქა ბუდობს, ე. წ. ევროპული ჭინჭრაქა. ზრდასრული ფრინველის თავი და ზურგის მხარე მოწაბლისფროა, თავზე უფრო მუქი, ხოლო ფრთებსა და კუდაზე ღია მოშავო-მურა განივი ზოლებით. ყელი და ჩინჯი მოთეთრო-რუხია, მკერდი და მუცელი — მორუხო-მურა. კუდი სულ ერთგვარად აპრეზილი აქვს, იმდენად, რომ თითქმის კეფაზე ეხვინება. ჩვენში მეორენაირად ლობიკაქალასაც უწოდებენ, ზოგან ლობის მეფედაც მოიხსენიებენ — რა თქმა უნდა, ცხოველების ნირის გამო. ისეთ მჭიდრო ძეგის ლობებში ნახავთ ჭინჭრაქას თავისუფლად მოსეირნეს, რომელშიც სხვა ვერც ერთი ჩიტი ვერ შეაღწევს. ცოცხალი, ეკლიანი ლობები, ხშირბუჩქიანი ტყე, ფიჩხის გროვა, გაუფალი შამბნარი გახლავთ მისი სამყარო, სადაც ყოველთვის შოულობს საზრდოს და სადაც ვერც მისი მტრები აღწევენ. ბუდეს მამალი იკეთებს ნაქცეული ხეების ფესვებს შორის ან კლდეების ნაპრალებში. ბუდე სვერის ფორმისაა, ხშირი ბალახის, ფოთლების, ყლორტებისა და ხახვისგან გაკეთებული. დებს 5-6 კვერცხს, კრუხობს მხოლოდ დედალი. საინკუბაციო პერიოდი 14-15 დღეა. ჭინჭრაქას ძირითადი საკვებია მწერები, შემოდგომა-ზამთარში — ნაირგვარი კენკრა. სახეობის გავრცელების არეალი მუტად ფართოა, მოიცავს თითქმის მთელ ევროპას, ცენტრალურ აზიას, იაპონიას, კორეას, ჩინეთს, ჰიმალაის მთებს, ირანსა და ამიერკავკასიას. კარგი მოვლის პირობებში გალიაშიც მშვენივრად გრძნობს თავს. გაზაფხულის პირველ მახრობადაც ითვლება. უსტვენს საკმაოდ ხმაოვრად.

მოზაიკა

ინგლისში, ქალაქ ლიუტონ-ბედფორდშირის ქუჩების გამწვანებაში ვერც ერთმა დეკორატიულმა მცენარემ ვერ გაუძლო მანქანების გამოწვევას მომწიფავ ნივთიერებებს. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ჩვეულებრივი კომპოსტის ამტანობამ, რომლითაც „დაამშვენეს“ კიდეცა გაზონები.

სპილოს მაკეობის ხანგრძლივობა 660 დღეა — თითქმის ორი წელი. ახალშობილის წონა 100 კგ-ია. დედა შვილს არ იშორებს 2,5 წლის განმავლობაში. პატარა სპილო დედას მუცლის ქვეშ ჰყავს საიმედოდ დაცული და ისე დაატარებს.

ჯიქი

კატების ოჯახის ამ მშვენიერი წარმომადგენლის ბენჯის შეფერილობის საერთო ფონი მოყვითალოა, მრავალრიცხოვანი შავი ლაქებით. სხეული მოგრძო, 100-180 სმ, მოხდენილი და მოქნილი, ფეხები ღონიერი, თათების ბალიშებში შემალული მახვილი ბრწყალებით, თავი მრგვალი აქვს, კუდი გრძელი — 110 სმ-მდე. სხეულის წონა 100 კგ-მდე.

ჩვენი ქვეყნის მთიანი, უღრანი ტყით დაფარულ ადგილებში საკმაო რაოდენობით ბინადრობდა, მათ შორის, ზედაზნის ტყეშიც. თავშესაფრად იყენებს კლდეების ნაპრალებს, შვერილებს, მღვიმეებს, დაბურულ ბუჩქნარებსა და სხვა ბუნებრივ საფარს. ადვილად ადის ხეზე, სადაც ისვენებს და უთვალთვალეს მისგან. ნადირობს ჩასაფრებით ან მიპარვით. უსაფრებდა ნადირთა ბლიკებზე და წყალთან, სადაც ნადირ-ფრინველი იყრის თავს. აქტიურია ღამით, თუმცა არც დღისით ნადირობს გაუარესი. უმთავრესად გარეული ჩლიქოსნებით იკვებება. ზოგჯერ თავს ესხმის შინაურ ცხოველებს, მათ შორის ძაღლებსაც. იშვიათად ადამიანსაც. არ იწუნებს კურდღლის და ფრინველის ხორცსაც. თუ დაჭრილი არ არის, ადამიანს ერიდება. მაკეობის ხანგრძლივობა 3 თვეა, შობს 2-5 თვალაუხეველ ნაშიერს, რომლებიც 10-20 დღის შემდეგ ახლენ თვალებს. გავრცელებულია აფრიკაში, აზიის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში. საქართველოში დაახლოებით 1950 წლამდე ბინადრობდა (ამ წელს მოკლეს სამაზალოში ალბათ ჯიქის ერთადერთი დარჩენილი ეგზემპლარი). არ არის გამოირიცხული, რომ კავკასიონის ქედზე კიდევ იყოს შემორჩენილი.

P.S. ბოლო ხანს გავრცელებული ინფორმაციით, ჯიქი კახეთში, ვაშლოვანის ნაკრძალში გამოჩნდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკრძალში ეკოლოგიურად სუფთა გარემოა, ეგზოტიკური ჯიქი ტურისტებსაც მრავლად მოიზიდავს. ასე რომ, ვაშლოვანის ნაკრძალს ახლა კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობა სჭირდება, ვიდრე ოდესმე...

ლელვი სასარგებლოა



ლელვი ერთ-ერთ უძველეს ნაყოფმომცემ ხედა ითვლება, რომლის წარმოშობის ისტორია უსოვარი დროიდან მოდის.

ლელვის ნამდვილი ნაყოფი ის წვრილი თესლია, რომელიც ნაყოფის შიგნით უხვად წარმოიქმნება დაყვავილების შემდეგ. ასე რომ, რასაც ნაყოფად მოიწინებთ, ის ნაყოფარემო, ანუ ნაყოფედა, რომლის სასარგებლო და სამკურნალო თვისებების გამოც ვამუშავებთ ლელვის კულტურას. ქვემოთ ნაყოფის ნაცვლად მოვისხენიებთ ნაყოფს.

ლელვის ნაყოფი შეიცავს 71%-მდე შაქრებს, 5% პექტინს, C, B₁, B₂, A ვიტამინს და ბევრ მიკროელემენტს. ამიტომაც გამოიყენება ნაყოფი ნამლად, როგორც შარბდენი, კუჭში გამსხნელი და ამოსახველებელი საშუალება. იმპარება ნედლად, ჯემის, ხილფაფის, ჩირის სახით და თქვენ წარმოიდგინეთ, ალკოჰოლური სასმლის მისაღებადაც. ხარობს ყოველგვარ ნიადაგზე, მათ შორის ქვალორიან და კლდოვანზეც. მთავარია თავიდანვე, დარგვის დღიდან შეუწყოთ ხელი — ფართო ორმო მოითხაროს და მიწით შეივსოს. დარგვის შემდეგ კი კარგად მოიხრეყს. მრავლდება ამონაყრებით, ერთწლიანი ღეროს კალმით და მცნობით. ნაყოფს იძლევა მორე-მესამე წელს, ცოცხლობს 150-200 წელს. შესაძლებელია აგრეთვე მცენარის „გახალგაზრდავება“, ანუ ფესვის გადაჭრა და ამონაყრებით განახლება. კალმები დასაფესვიანებლად იჭრება გვიან შემოდგომით და ზამთრის დასაწყისში, ინახავენ გრილ სარდაფში, ტენიან ქვეშაში მოთავსებულს. გაზაფხულზე რგავენ სანერგეში. შემოდგომით ან მეორე გაზაფხ-

ულზე გადააქეთ მუდმივ ადგილზე.

ლელვი საქართველოში უსოვარი დროიდან ხარობს. იმის გამო, რომ ველურად უამრავი ლელვის ხე იზრდება, არ არის გამოირიცხული, რომ საქართველო მის ერთ-ერთ სამშობლოდაც ჩაითვალოს, თუმცა მის სამშობლოდ მესოპოტამია ითვლება.

ლელვი ერთ-ერთი საუკეთესო, სასარგებლო და ადვილად გასამრავლებელი კულტურაა და ყველას ვურჩევთ, ერთი ძირი მაინც დარგოს თავის კარ-მიდამოში.

მკითხველის ფოტო




— გუშინ აქ სოკო იყო...

გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებმა

რედაქციისგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ. გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვამოვდეთ საკუთარი მამულ-დედულში გადაღებული ფუნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ). წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

										1	ცხ- ვირის ლორწო- ვანი გარსის ანთება	2	ფრანგი კომიკო- სი ფილმში „დოლფა- პია“	3	არანტეს ლე ნასიმენტუ																																																																										
										4	„ფარა- ონი“ (პოლონე- ლი მწერალი)	5	სურნელო- ვანი მწვანილი																																																																												
										6	თიანის გამწე- ბელი 100 გენტი	7	მთათა სისტემა გერმანია- ში	8	„ბატო- ნი“ გერმანია- ში																																																																										
										9	პარიზ- ის აეროპორ- ტი	10	ჩაწოდებ- ით მოგებული ქულა ჩოგბურთში	11	ქალაქი კონცერნ „ფილიპ- სის“ ქარხნებით	12	ალმოსა- ლე მეზღვური	13	ინ- დოელთა სამოსი	14	ვერდის ოპერა	15	ბერიძე- ლის პიდავითი- მურიანა- ის მარცა	16	... ლე მოპასანი	17	ბილ- იარლის სათამაშო ატრიბუტი	18	საარჩევნო ყუთი	19	სატე- ლკე- რაფო ანბანის შემქმნელი	20	განიერი ფერადი ზოლი სამხედრო მარგალზე	21	შაკანი- ანი	22	იაპონი- ის სიდიდით მეორე ქალაქი	23	ფრანგი რე- ფისორი, ბ. ბარდოს მეუღლე	24	იაპონი- ის სიდიდით მეორე ქალაქი	25	3,14	26	საათის ჩვენება	27	მკირფასი ქვა	28	შიშვე- ლი ნატურა ფერწერა- ში	29	შემო- ქმედების თავისებური გამოხატვის ხერხი	30	მკბენარი პარაზიტი	31	გალაწოდე- ბა სპორტში	32	უტოპი- ური სოც- ერო- ფუტურ- ბელო	33	შვედი მოჭ- ადრე- კრამლი- გი	34	მონას- ტერი საგურა- მოს ქედზე	35	ხასიათი	36	მკველი რუსეთის მთავარი	37	ელექტ- როწინა- ობის ერთეული	38	ეშმის ქვა	39	თან- მობა ეპანურად	40	ამერიკე- ლი მსახიობი ... ფერო	41	ნის ფოტო- ლეზიან ჩამონადენი წვეთები	42	ხუდა- ლოვის სახელს ატარებს თბილისში	43	მკვე- ბური ინგლისური ოქროს ფული										
										24	მთამსე- ლელობა	25	მდინარე ევროპაში	26	დაშნის დამცავი ნაწილი	27	თორადის ბაღეტი	28	... ელია	29	ატომ- ბის გამწე- ბელი	30	ნატურალ ნაწილი	31	3,14	32	საათის ჩვენება	33	მკირფასი ქვა	34	შიშვე- ლი ნატურა ფერწერა- ში	35	შემო- ქმედების თავისებური გამოხატვის ხერხი	36	მკბენარი პარაზიტი	37	გალაწოდე- ბა სპორტში	38	უტოპი- ური სოც- ერო- ფუტურ- ბელო	39	შვედი მოჭ- ადრე- კრამლი- გი	40	მონას- ტერი საგურა- მოს ქედზე	41	ხასიათი	42	მკველი რუსეთის მთავარი	43	ელექტ- როწინა- ობის ერთეული	44	ეშმის ქვა	45	თან- მობა ეპანურად	46	ამერიკე- ლი მსახიობი ... ფერო	47	ნის ფოტო- ლეზიან ჩამონადენი წვეთები	48	ხუდა- ლოვის სახელს ატარებს თბილისში	49	მკვე- ბური ინგლისური ოქროს ფული																												
საქართველოში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები ტარდებოდა. ლანჩხუთის რაიონში კენჭს იყრიდნენ ზოდელავა და სტურუა. ბიძაჩემმა ანიკიტე (ასეთი სახელები ხშირი იყო გურიანში) აბუსერიძემ შემოიპატიჟა სახლში არჩევნებიდან მომავალი თავისი ბიძაშვილები შოთა და აკაკი, სუფრა გაუშალა და ჭაში ჩაცხვებული ცოლიკაური მოართვა (იმ დროს არც ელექტროენერგია იყო და არც მაცივარი). ბიძაჩემმა შოთას ჰკითხა, — რა ქენი არჩევნებზე. — დავილუე, ანიკიტე, ჩემმა ცოლმა ზოდელავასაც მისცა და სტურუასაც. ბიძაჩემმა სიცილით უთხრა, — გავეთებულხარ, ძამა, კაი ქვისლები შეგიძლიაო. აკაკიმ კიდეც დაუმატა: — აბადალი ყოფილა ორივე, მარგალიტას გულისთვის თბილისიდან ქვიანში რამ ჩამოიყვანაო. ასე სიცილით და მასხრობაში გაატარეს საღამო.



ნოდარ აბუსერიძე, თბილისი

გაიოვლინდა ქვირის პალიტრის კონკურსი

პირველი ადგილი და პრემია — 50 ლარი წილად ხვდა თბილისელ მაია მალაქს კურორტისთვის — „სამარშრუტო ტაქსის მძღოლის ნაამბობი“.

მეორე ადგილი — თბილისელი გერონტი მახი კურორტით — „მაქა, კაცო, მაქა!“ — იგი მიიღებს პრემიას — 30 ლარს (სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი გერონტი წინა ტურის გამარჯვებულიცაა).

ხოლო მესამე ადგილი და პრემია — 20 ლარი დაიმსახურა თბილისელმა ირაი ცუბათიძემ ანეკდოტით თუთიყუშზე, რომელიც „პოლიტიკურზე იჯდა“.

პრიზიორებს ვულოცავთ გამარჯვებას და პრემიების მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, 8 ივლისს, 17 საათზე.

კურორტების კონკურსი გრძელდება და მასში მონაწილეობის მიღება ყველა მკითხველს შეუძლია.

წარმატებებს გისურვებთ!

2 აგვისტოს ნომერში თქვენ შეიტყობთ ივლისის თვის გამარჯვებულთა ვინაობას.

ყუჩადღეა!

ყუჩოზების კონკურსი

„ყუჩოზის პალიტრა“ მკითხველის პრემია კურორტების გვერდისთვისაც დაანერგა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურორტები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურორტის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურორტმა ან ანეკდოტმა თქვენი მონაწილეობა დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღინიშნეთ მისი ნომერი ქვირის პალიტრაში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადანერგვას გამარჯვებულის ვინაობას.

კურორტების კონკურსი

საუკეთესო კურორტის ან ანეკდოტის ნომერი —


თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №27

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურორტი/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიას — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

ეს ქვირის „ყუჩოზის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათს, 7 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 8 ივლისის 13 საათამდე.

4. ყაბური და „ყაფები“



უბნელი მყავს ერთი, ზასტავაზე კაბურას ვეძახით — ცხირი აქვს მაკაროვის „კაბურივით“. ჯერ ფხიზელი არავის გვინახავს. სახლში გვიან მისულა ერთხელ, მე-9 სართულზე ცხოვრობს. ტულაღები შესულა, შუქი არ არის მიდღმში, ქე იცით. გამოსულა შემინებული, ცოლისთვის უთქვამს, ჩავინიე შარვალი და ვილატამ ამომინია, არ მაცლისო. გაპყოლია ცოლი სანთლით, შემინებულია ისიც! ჩაინია თურმე ისევ კაბურიამ შარვალი და მართლაც იმ წამში ზევით აწულა. — ა, ხო გუუბნებოდი, ეშმაკი გყავს სახლში შემოჩენილი! — უყვირია კაბურიას. ცოლს გასცინებია, — ბიჭო, ნუ გეშინია, რომ იძრობ შარვალს, პაფები შეისხენიო. ახალი ნაყიდი ჰქონია „პაფები“ კაბურიას. ღიბი დაუდო და იმიტომ.

ჯანო ონიანი, ქუთაისი

5. დარღვევა

ერთი პერიოდი ტრასებზე დგომა აუკრძალეს ოფიცერ-ავტონისპექტორებს და შემოყარეს ენ. „პუსტა-პუსტა“ ინსპექტორები. რომლებმაც გზებზე მოძრაობის წესებიც კი არ იცოდნენ წესიერად. ერთხელ ვზივარ საკუთარ მანქანაზე, მაჩერებს ინსპექტორი და მეც ვანვდი საბუთებს. გადაფურცლა, შეამოწმა, ძლივს წაიკითხა გვარი. შემდეგ მეკითხება, მანქანაში აფთიაქი თუ გაქვს, „პავაროტნიკი“ თუ გინათებს, „სტოპები“ თუ მუშაობს... ვხედავ, აშკარად შარვალს, უნდა რაღაც დარღვევა მინახოს. ამ დროს დამცვლელმა სამსახურში მანქანა შემსახურებოდა „მოსკვიჩი-ფურგონი“, ახლა კი ინსპექტორის ხელში უჭირავს სწორედ იმ ფურგონის საგზურის ფურცელი, მივლინების ბლანკი და ტექპასპორტი. მეტი დარღვევა რაღა გინდა. სხვა მანქანაზე ვზივარ და სხვა მანქანის საბუთებს ვანვდი. ის კი ამას ყურადღებასაც არ აქცევს და მეუბნება, ალბათ ნასვამი ხარო და ჭიქას მანვდის ჩასახურად.

მოკლედ, რომ ვერაფერი „აღმომიჩინა“, მეუბნება, ახლა ყველაფერი წესრიგში გაქვს, მომეცი სუთი მანეთი და წადიო. იმ წუთში მივაჩქევე სუთმანეთიანი და წამოვედი გახარებული, რომ „დარღვევა“ ვერ აღმომიჩინა.

აფთო კიკვიძე, თბილისი

6. თეხლები

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში სოფელ ძეგში, გამგეობის შენობის გვერდით ცხოვრობდა გოგია გ., რომლის ვაჟიც თავს იმით ირჩენდა, რომ რუსეთიდან ჩამოჰქონდა სხვადასხვა სახის მცენარეთა თესლი და ყიდდა იქაურ მოსახლეობაში. ბიზნესის გაფართოების მიზნით, მან გამგეობის ჩასახვევთან ისრიალი ტრაფარეტიც დადგა წარწერით „თესლები“. ტრაფარეტის გამოკვრიდან სამი დღის შემდეგ, დილით, გამგეობის შენობის ეზოში შეკრებილი თანამშრომლები ტრადიციულად პოლიტიკაზე კამათობდნენ. უცბად ჭიშკართან მანქანა გაჩერდა და განრისხებული გამგეობის თავმჯდომარე გადმოვიდა:

— რას აკეთებთ მანდ, უსაქმოდ რომ დამდგარხართ და ლაყბობთ, გოგია სადა ბრძანდება?
— არ ვიცით, ვასილიჩ, რა მოხდა? — იკითხეს დაბნეულმა თანამშრომლებმა.
— რაღა რა მოხდა, ყველაფერი მე უნდა გითხრათ! მთელი ძეგვი ჩვენ დაგვცინის. ის ტრაფარეტი მაშოროს აქედანა, თორე მე მაგას ვაჩვენებ, ვინ არიან თესლები!

ბ. ბაკურაძე, თბილისი


7. თვალბეზი და აქვირდი...

მეუღლემ თევზის საყიდლად ბაზარში გამგზავნა. თან დამაბრია, გამყიდველმა არ მოგატყუოს, თვალბეზი დაავეციდიო. შევედი ბაზარში, ამოვარჩიე თევზი და გამყიდველს (ახალგაზრდა ქალი იყო) ვუთხარი, ორი კილოგრამი ამინონე-მეთეი, თან თვალბეზი ვუყურებ. შეიშშშშა ახალგაზრდა ქალი, ცდილობს თვალი ამარიდოს, მაგრამ არაფერი გამოდის. ბოლოს დარცხენილმა მკითხა, — ბიძა, რამია საქმე, ასე რატომ მიყურებო. ვერ მოვიტინე და მეუღლის დანაბარებს ვასრულებ ზედმიწევნით-მეთეი, ავუხსენი. საღა იყო სიმორცხვე — გადაიკისკისა და მითხრა: — მე კი არა, თევზს უნდა დააკვირდეთ თვალბეზი, ამით მიხვდებით, ახალია თუ ძველი...



რევაზ პეტრიაშვილი, თბილისი

8. ბორჯომიდან მოვდივარ!



ახალგაზრდობაში საკუთარ თავს გამოცდა მოვეწყვე: ბორჯომიდან ხაშურში ფეხით ჩავედი. იქ დაველოდე თბილისისკენ მომავალ ავტობუსს. თბილისში, ავტობუსიდან ჩამოსვლისას მძღოლი შემივითხა, საიდან მოდიხარო? ბორჯომიდან-მეთეი — ეუბასუხე. გაიცინა და ხურდა დამიბრუნა. ორი დღე ვიფიქრე, რაზე იცინოდა მძღოლი-მეთეი და მერე მივხვდი (რაჭველი ვარ), რომ ის ავტობუსი ბორჯომში იმ დღეს საერთოდ არ ყოფილა.

რ. პ., თბილისი

მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

9. ფსიქიატრიულში ახალი პაციენტი მიიყვანეს. ეკითხებიან ვინაობას.
— მე ნაპოლეონი ვარ! — აცხადებს ახალმოსული.
— ჩვენ აქ იმდენი ნაპოლეონი, სტალინი, ლენინი და პიტლერი გყავს...
— არა, თქვენ ვერ მიიხვდით, მე ნამცხვარი ვარ!..

გ. რ., გურჯაანი





მილოცვა
მარიამ ლევანის ასულ
სანიკიძეს!
ჩვენი მარიკო გილოცავთ მესამე და-
ბაღების დღეს. ივანმართლედ, იხარე და
იღვწერებო, გვარავნებს ღვთისმშობელი.
შენი ოჯახი

გინებები

იყილება ბინა ურეკში, ზღვიდან 1 კმ-ში, 2000 კვ მ-ის
ფართობით. ტელ: 899 16-08-96

გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმა-
ნიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით,
AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შუამავსებით.
უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებელი,
კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით
მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლე-
ბულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ემუშაობთ მსოფლიოში.
საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ
მუშაობის (კომპანიის ხარჯებით). გამოუშვება \$200-400 აშშ
სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. ინქარეთ! მისამართი. მ.
„დღეზე“, „სამაო ქიბის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ:
34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას
აღივლირი ტერიტორიიდან აინტერესებს 50 ბიზნესპარტნიორი.
შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება
და დასაქმება. ანაზღაურება - მაღალი. ვაინტერესებს რეგიონე-
ბის წარმომადგენლები. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

საერთაშორისო კომპანია ოფისში სათანამშრომლოდ იწვევს
უკ მჭირე ადამიანებს მაღალი ანაზღაურებით. სასურველია რუსუ-
ლი ენის ცოდნა. ტელ: 33-59-23. ლილია

საქართველოში ასაღმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო კო-
რაორაციამ დაიწყო ფუნქციონირება. ვიწვევთ საქმან და ნიჭიერ
ურგანთლებს (23-55წ) მჭირე პირებს თავისუფალი სამუშაო
გარეგნით. ანაზღაურება - მაღალი, სტაბილური ხელფასის პერ-
სპექტივით. შერჩევა - ტესტირებით. ტელ: 34-63-64 (საღამოს);
899 17-69-24. ომარი

სამუშაოდ ვიწვევთ როგორც თბილისში, ასევე სამეგრელოში მც-
ხრებ 45 წლამდე, საშუალო და უმაღლესი განათლების მჭირე მამკ-
ცებს, როგორც ფინანსურ, ასევე გრძელვადიან სამუშაოზე. თბილისის კომპ-
ნიის ფილიალებში. ხელფასი 200 ლარი. გასაუბრება - თბილისში. მის:
მარკანოვსკის ქ. №5 (მ. „მარკანოვსკის“), გამომცემლობის შერობა,
II სართ. ოთახი №38. მღერს ყოველდღე (გარდა კვირისა), 20-23 სთ.
ტელ: 95-21-72

მუდმივ სამუშაო ადგილზე გვესაჭიროება ლიცენზირებული
ექიმები (გინეკოლოგი, თერაპეტი, პედატრი). ტელ: 64-03-04;
899 90-20-50

სამუშაოდ გვესაჭიროება თანამშრომლები საშუალო და უმაღ-
ლესი ტექნიკური განათლებით. ტელ: 63-25-86

ახალი აღმოსავლურ-აზიური კომპანია აგრძელებს თანამშრომ-
ლების მიღებას. უპირატესობა ენიჭებათ პედაგოგიურ და ადმინ-
ისტრაციულ საქმიანობაში გამოცდილ ადამიანებს. აუცილებე-
ლია უმაღლესი განათლება. სასურველია რუსული ენის ცოდნა.
ტელ: 893 13-32-04; 72-47-96; 72-28-19

В иномфирму требуются специалисты. У вас есть
реальная возможность, получить высокооплачив-

аемую работу: Тел: 877 74-26-19; 76-92-86. Нино
Мумладзе

Восточно-Азиатскую фирму требуются специал-
исты. У вас есть реальная возможность, получить
высокооплачиваемую работу. Справки по тел: 893
13-36-98 - в течении дня; Утром 10 до 12; вечером
с 20 до 22 - по тел: 73-97-10

Международная компания объявляет
дополнительный набор сотрудников на конку-
рентной основе. Возраст 30-40 лет, образование
высшее. Тел: 70-40-61

Реальная высокооплачиваемая работа мужчинам
и женщинам, с высшим или средним техническим
образованием. Т: 96-29-30

პროგნოზირება

ვაკეთებ ეპილოგის ვიდეორამის ნემსით და ანესთეზიით, მორ-
ჩნის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სტანდარტული რაოდე-
ნობა ინდივიდუალურია - I სთ - 12 ლარი. მომსახურებით
კმაყოფილო დარჩებით. მაქვს საკუთარი ღვინის წყარო. მის: ვარ-
კეთილი-3, II ს/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3.
ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლია გაბრიელიანი

ეპილოგია ვიდეორამის ერთეული ნემსით და ანესთეზიით.
უკიდურესად გაუზრუნველეთ თბილისის შემოხვევაშიც კი, განი-
კურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღი-
ზანების გარეშე. არ დაგეგმვით არც ერთი ნაწესი. შედე-
გი - პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო
მაღაძიებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსები-
ძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

საორტული სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრი აწარმოებს
მკურნალობას: მასაჟები; ნევროზის მოხსნა; გახდობა; სხეუ-
ლის კოორდინირება; სუნთქვისა და შინაგანი ორგანოების მუშაობის
სტიმულირება. მკურნალობის კურსის ჩატარება შესაძლებელია
ინდივიდუალურად და ჯგუფურად. მსურველებისთვის
გარეგნობა ჩატარდება კუს ტაბზე. მის: აღმაშენებლის №90,
ბ. №2. ტელ: 95-47-67 (სამს); 75-06-14; 899 26-51-08.
სოსო ფირცხალაძე

სუპერსიმაღლე - თვეში 3-4 სმ, 25 წლამდე; გახდობა-
გასუქება - თვეში 7-20 კგ წონის შენარჩუნებით. დაგეგმარე-
ბით აბსოლუტურად მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული
პრეპარატებით. შედეგები გარანტირებულია. საერთაშორისო კონ-
სულტანტი მღერს. ტელ: 98-86-19; 899 51-18-20

სტუდენტური, ოჯახური, ინდივიდუალური და ჯგუფური დას-
ვენება ქობულეთში, კერძო დასასვენებელი, სხვადასხვა საცხ-
ოვრებელი პირობების ბინებში და საზღვარგარეთ კვებით ნემს
კაფე-სასადილოში, რაც შედის საგზურის ღირებულებაში: 10
დღე - 80-დან 130 ლარამდე. ვრცელდება შეღავათები ბავშ-
ვებსა და ჯგუფებზე. მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №113-
115 (ცხოში). კაბ. 31. „მკურნალი სუბმატი“. ტელ: 91-18-38
(სამს); 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16. ცისანა სუმატი

რბილი ავეჯის რესტავრაცია, სამუშაოების აღდგენა-განა-
ხლება, სკამების, მატრასების გადკერა-განახლება. ვლადიმერ ტყეის
სამუშაოებს. ტელ: 899 27-30-28; 893 37-70-97; 95-97-12.
ვალერი

საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემტატანე“
გთავაზობთ კინოფილმების (35 მმ, 16 მმ, 8 მმ) შეღავათიან
ფასად გადატანას ვიდეოფორმატში (VHS, DVD, მინი DV და
CD). შეკვეთები მიიღება: აღმაშენებლის გამზ. №164. ტელ:
34-29-75, 34-29-72; 893 30-88-12. სტუდიის დირექტორი
რამაზ (ბუბა) ხოტივაძე

კომპიუტერული ფირმა „BAZISI“ - ახალი კომპიუტერული
ტექნიკა და ორგანიზაცია, კომპიუტერული აქსესუარები და მაკო-
მპლექტები ნაწილები, ქსელების მონტაჟი, კარტრიჯები ტონ-
ერის ჩაწერა. Web-გვერდის დამზადება, აპარატურული და პრო-
გრამული უზრუნველყოფა. ადგილზე მომსახურება. მის: ჭავ-
ჭავაძის №74, XIV სართ. ტელ: 29-97-82

მეურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მიღების მუშაი მაყვალა ცინკაქ
ამზადებს თვითრ მუშაობა მაღაძიებს, ხსნარებს და სავენებს.
მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარბილებს), სახსრებს, პოლიარ-
თრიტს, საშუკრა ნრვის ანთებს, დისკოზს, კისრის, მტკ-პარაძის,
მუხლასხსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიპორტი იკურნება 8-10
დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-
64-81

ისრაელში შექმნილი მეთოდით, გარანტიით იკურნე-
ბა სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური
დამბლა, კიფოზი, მაკო, დარე (კუჭის ქრონიკული ამაღი-
ლობა), სუფერბილიტეტი (I = 37,2°C), შიშები, რადიკუ-
ლიტი, სევიდის (თვითმკვლელობის) მდგომარეობები; წონის
დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მტკრი
„გურამიშვილი“, მჭი გარეშელების ქ. №18. ანატოლი შვიძე.
ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

В бальнеологическом курорте центр лечебно-
диагностический компьютерный центр. Запись на
обследование по тел: 72-04-63 (дом); 99-73-09
(раб.)

სმინის აღდგენა და გაუმჯობესება, ყურის ანთების, ხმაურის,
ჭვილის, ტკივილის მკურნალობა ენერგოინფორმაციის მეთოდით,
აპარატურისა და ოპერაციის ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პა-
ციენტისთვის. ემკურნალობს აგრეთვე ოსტეოქონდროზს, რადიკუ-
ლიტს, სისხლძარღვო სევიწროებას და სხვა. მის: ვაკე, ჭავ-
ჭავაძის №37ა, სამების კვლევის უკან, თენგიზ აბულაძის ქ.
№8. დღეით ტაქტიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება - 9-13
სთ. ტელ: 91-31-19; 91-32-42. ლევან სენიაშვილი

პარადონტოზის ეფექტური მკურნალობა, ვენტის გაგანთების,
ათეროსკლეროზის პროფილაქტიკა და მკურნალობა უძველესი
აღმოსავლური მდიდრის გამოცდილების საფუძველზე მიღებუ-
ლი ექსკლუზიური ფიტოთერაპიული და ნატუროპათიური საშუ-
ალებით; ქლამიდიოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ტელ:
22-11-47

ანტიკოპოლი და ანტიტამპაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები,
ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰაერტონია, ვარიოზი, ბუასილი,
კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვლის დაავადებები, ქრ. პარონიტი,
ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული - სერტიფიცირებული მცენარეუ-
ლი პრეპარატებით, რომლებსაც უკუწერება არ გააჩნია - დამზა-
დებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიზნაიოვის ლაბორატორიაში.
ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ალკოჰოლიზმი, ნაბახუსევის („პაბილია“) სინდრომი, ან-
ტიტამპაქო. მკურნალობა შეიძლება პაციენტისგან ფარულად
(ოჯახის წევრის მიერ), გართულებების - ნერვოზი, გალუ-
ცინაცია, პეპტიკები, ფილტვების გაწმენდა-განკურნება.
პრეპარატები შექმნილია მოსკოვში, კრემლის ყოფილ ლაბო-
რატორიაში (აკად. ლიზნაიოვი - ნობელის პრემიის ლაუ-
რეატი). ტელ: 899 22-63-90. ნინო

ალკოჰოლისა და თამბაქოსაგან გათავისუფლება სწრაფად და
უწყებურად, სუფთა მცენარეული სერტიფიცირებული პრეპარატე-
ბით, ექსკლუზიური უფლებით, ЛООВИТ პროგრამით, გვერდითი
მოვლენებისა და უკუწერების გარეშე. მათ ანალოგი არ გააჩნია.

მიღება წინასწარი ჩაწერით: 32-39-46; 99-75-90; 899 43-97-
34. ნათია

თმის დაავადებები: ქერტლი, ჭვილი, გამონაყარი, ბუდობრივი
ცვენა (აბილის თმა). ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის
ქსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კონსტი-
კა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახ-
ლონი). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-
94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცი მჭედლიძე

განცხადება

კომპიუტერული სტუდია „დავი“ კომპიუტერი ვიწვევთ კო-
მპიუტერზე მუშაობის კომპიუტერული ბუდალტერის, პრო-
გრამირების ენების, უცხო ენების სწავლებას, საკონსულტაციო
მზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დაბთვების შემდეგ უფასო
კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გა-
იცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მადონადალსის“
უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

საზოგადოებო 50%-იანი ფასდაკლება: საინფორმაციო ტე-
ქნოლოგიების ცენტრი „მზური“ - კომპიუტერის შემს-
წავლელი კურსები. თანამდროვე ტექნიკა, საუკეთესო მე-
თოდები, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერ-
ტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70 (ფოფ. კამოს ქ.). ტელ:
29-48-61

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების
კურსებზე: 1. ვიზაჟისტი; 2. პარიკმახერი; 3. მასაჟისტი. კურსების
დაბთვების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი.
მის: აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტელ: 94-01-82; 95-83-
18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი ვიწვევთ
დასრულებული და დაუსრულებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტ-
ბზე: სამართალმცოდნეობა, ეკონომიკური, უცხო ენები. უმაღ-
ლესდამთავრებულები მიიღებიან II, III კურსებზე. ფასი 200
ლარი. ტელ: 32-06-97; 30-51-30; 893 93-38-15. მის: თო-
ფურაძის №12. 128-ე საშ. სკოლა (გაფა-ფაშველას III-IV
კვარტალის შორის).

იმიტაცია

472 კმ ფართი, რესპუბლიკის მოედანზე, რუსთაველის №37-
ში. მიწისქვეშა კომპლექსი. ტელ: 899 11-66-39

სასწრაფოდ! 25 პა მიწის ფართობი, თბილისიდან 30 კმ-
ში, მცხეთის რ-მში, სოფელ მუხრანთან, მდინარის პირას,
მუდმივი სარწყავი წყლით. იდეალური ადგილია ვაზის
გასაშენებლად. ფასი \$30.000. ტელ: 899 50-83-23

ახალი კორეული სატელეკომუნიკაციო ანტენა ციფრული მიმლე-
ბით. იღებს ქართულ, რუსულ და ევროპულ ტელეარხებს.
ანენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში,
აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა - 320; კო-
მპლექტის ფასი - \$140; მონტაჟი - 40 ლარი. რუსეთის 26
ტელეარხი - ფასი \$200, მონტაჟი - 50 ლარი. ტელ: 899
94-27-04

სმინის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდი-
ვიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ელექტრონული და
მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ. 95-95-22
(10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

შეხვედრა


შევისყილი 32 სმ-ზე გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგ-
ზის სადგური, მე-2 სართული, მაღაზია „ესთეტი“, 12-16 სთ.
დასვენება შაბათ-კვირას.



აქსისი

ახალი მშენებარე სახლი მცხეთის ქ.17

(„პრეზიდენტის“)



არაყიფვილის ქ.№14

ტელ: 25 34 34; 91 25 34

გიორგი ანთიძის გახსენება



გიორგი, ერთადერთი შვილი, უს-
აფერული და მარადიული მწერ
მოქალაქე, უდიდესი გულიანობა-
ვილი და მინატრები გილოცავთ
დაბადების დღეს. 29 ივნისს, 32
წელი შეგისრულდება. 28 წელი
შემოგხარბოდა, რა ბედნიერები
ვიყავით, მაგრამ რა უბედურად შე-
ბრუნდა ყველაფერი იმ ავადსა-
სრებელ დღეს. 7 დეკემბერს დაბ-
ნელა ჩვენი მზე წახვედა ამ-

ქვეყნიდან და შეუცნობელი სამყაროს მკვიდრი
გახდა. უშვნიობით გაუსაძლისი გახდა სიცოცხლე. შენ
წაიღე ჩემი გული და სული. სამწიფეა იმის გახსენება,
რომ შენ ვერასოდეს იქნები ჩვენ გვერდით. ვერაფრით
მოვიშუშებთ ამ შეუხორცებელ ჭრილობას და ვერებით
ცოცხალი სიკვდილისგული. შენზე ფიქრები უსიხარუ-
ლოდ მიღამდება და მითრდება დღეები, „აბა, ანაირ
ყოფნასა რა ყოფნა უნდა ჰქონდეს?“ როგორი გაუბე-
დურებულები დაგვტოვე მშობლები და ცოლ-შვილი. შენ
ანუკის როგორ გაუმწარე პაეშობა. ვერასოდეს იტყვის
ძვირფას სიტყვას — „მამიკო“. დღია არაფერს აკლავს
ანუკის, უშვნიობით გამოწვეული დიდი ტკივილი რომ შე-
უმსუბუქოს, მე კი, შვილო, ყოველდღე შენს საფლავთან
მოვლივარ თვალტრეშლიანი და კანდელის გინიფი.
ღმერთს ვთხოვ ღოცოთ, შენი უკდავი ლამაზი სული
აცხონოს და ნათელში აშოვოს.


გასო მუგბანიანის
გახსენება

32 წლისწილი გაივლია მას შემ-
დე, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ.
ამ წლებმა ვერ შეძლო იმ გულს-
კივილის განულება, რომელიც შენ-
მა ტრაგიკულად დაღუპვამ მოგვყა-
ვნა.
8 ივლისს სამოცი წლის გახდე-
ბოდი.
ჩვენ ყოველთვის გავსოვხარ.



შენი ძმები: თენგიზ, სერგო და გივი
მუგბანიანები


გასიო ცხადაიას
სხოვნება



რას ვიფიქრებდი, თუ შენი გასა-
სრებელი სტრუქტურის დაწერა მო-
მიწევდა. სრულიად ახალგაზრდა
შეწირე შენი ქვეყნის ერთიანო-
ბისთვის ბრძოლას. აფხაზეთში დაი-
შუე სიცოცხლით სავესე ვაჟაკი.
როგორ მებატავებდა შენი მშობლე-
ბი, უშვნიობას რომ მისტირან და
უფლისადმი ანთებულ სანთლებს

შენი სულის ნათელში ყოფნას შესთხოვე.
ნათელი გედგას მარადის, ჩვენი ვასიკო.

გელა შაქროს ძე აფციაურის



რა იქნებოდა, ამქვეყნად განა რა
დამაღებდა, უდიდესი სიკვდილი
რომ არ არსებობდეს! რა იქნებოდა,
დღისა ერთადერთი იმედი, დას ერ-
თოდერთი ძმა არ უკლებოდას!
...რა მწარე ხარ სიკვდილო, შენი
უკანონო განაჩენი...
მწარე იყო 27 დეკემბერი და შენი
27 წელი. ობოლით გახდისთვის
თურმე ღმერთსაც დანაშაუნი სიკეთე-
შენიარად გაიზრდებან შენი პა-
ტარები. შენი ნანატრი, პაპის მოსახლე ზაქრო სურათით
გაიცნობს სიკეთით სავესე, მაგრამ უიღბლო მამას. ამ
უბედურ დღეს რა იქნებოდა, შენ და შენაირად დამწარე
გოგონას გვერდით თქვენაირი კაცური კაცი, ალალი

ქართველი გეოლოგი! იმ არაკაცმა არაფრად ჩააგდო თქვენი
სიკვდილი. ისე დაიწყო მანქანაში, ვერაფერს განსეთ, ვერაფერს
მოგვეწერო...

უშვნიად დღეები აღარაფერს წარმოადგენს, სულში სიცა-
რიელა. ტკივილი არ მშორდება. ყველაფერმა ლაზათი დაკარ-
გა, გაიყინა. ჩემთვის ყველაზე დიდი სასჯელი უშვნიად
სიცოცხლეა, ორი დღის საფიცარო, ჭკვიანი ბიჭო!
ყოველდღე გელაპარაკები, ძალიან მჭანტრები. მოვერება
მინდა, რომელიც ვიცი, არასდროს მგონია.
მწარე თარიღად დაგვჩა 4 ივლისი — შენი დაბადების
დღე. გოცნი, გვერები და უსასრულოდ გელოდები.

შენი ლელა აფციაური

გია გველდისაძის მონატრება



4 ივლისი შენი დაბადების დღეა.
22 ზაფხულს მოესწარი. 20 წელი
გავიდა მას შემდეგ, რაც უკუნე-
ბულმა სენმა შეგიწყვიტა ცხოვრება
სიცოცხლის 23-ე წელს. 1984 წლის
4 ივლისი მწარედ მოსაგონარია ტან-
ჯული ღელისთვის, მეუღლისა და ერ-
თადერთი ქალიშვილისთვის, რომელ-
იც უკვე ქმარშვილიანია.
ჩემო სიყვარულო გია, მუდამ იც-
ოცნებე ჩვენს ცრემლებით სავსე

გულში.
უფალო, ნათელი და მსუბუქი იყოს გიასთვის სამარად-
ისო სასუფეველი.

დელა იზოლდა აბზიანიძე, მეუღლე ლალი
აფციაური, ქალიშვილი ნინო ოჯახით

ნუგზარ გაბუნაძის

უიღვარო მონატრება დღისა!

ერთი გაუსაძლისი წელი გავიდა,
რაც ჩვენთან არა ხარ. გაუსაძლისია
უბედური მშობლებისათვის უშვნიობა,
უსაზღვროდ გვენატრები. ძნელია
შეგუება, რომ ჩვენ გვერდით არა
ხარ, რომ შენი საფიცარი ლეკა უშ-
პობას განიცდის... გაუსაძლისია
ყურება შენი არყოფნით გამოწვეული
ტკივილის, შენი ოჯახისა, დაძმის
ოჯახებისა, ჩემი სოსოსი... თითქმის
ჩვენი სათაყვანებელი ერეკლე არ გვე-
ოფნიდა სადარდებლად, მთელი სიცოცხლის მანძილზე,
დღისა თუ პატარას...
შენი უბედური მშობლებისათვის ცხოვრებამ დაკარგა
აზრი, თავს ძალას ვატანთ... უზომო ტკივილია უშვნი-
ობა, რომელსაც დრო ვერაფერს აკლავს. სურათებია ჩემი
ტკივილიანი ნუგები, ჩვენი ისტორია, წარსული. ვევერ-
ები მათ და ფიქრობ, რა ბედნიერები ვყოფილვართ თურ-
მე. გარს მესხია უზომოდ კეთილი, კაცობრივადე ქმარ-
შვილი, რომელიც ერთმანეთს თვალეზში შეეცინებო-
დით, თქვენ, ჩემი შვილებიც ხომ მუდამ უდიდესი რიდი-
თა და მოკრძალებით გვემცეოდით მშობლებს, რაც ბევრს
უკვირდა კიდევ...



შენ ხომ ყოველთვის გამოირჩეოდი, კეთილი, უბოროტო,
ჯანსაღი უბოროტი, რითაც დღესაც გისინებენ შენი თანა-
ქალაქელები, მეგობრები, სანათესაო (მადლობა ამისთვის
ყველას), მაგრამ შენ ხომ მოუწვდომელი ხარ უკვე... სამ-
წუხაროდ, თურმე, როცა გაივლია ბედნიერება, მერე ვე-
ხვდებით ზოლმე ადამიანები... უზომო ტკივილს განიცდი
სულისა და ხორცისა, მაგრამ მაინც ცოცხალი ვარ... ესეც
ბედისწერა ყოფილა, რომელიც გვიან ვიწამე. ცეცხლობ,
არ შეგაწუხო ჩემი მწუხარებით ოჯახი, ჩემ ირგვლივ
მოვფიქ, მაგრამ ზნორად არ გამოძღის. გაუთავებელია ჩემი
გოგება...

ამიტომ ყველაფრის გამო, მოუთმენლად მოველი წასე-
ლას იმ ქვეყანა, რათა არასოდეს დავებრუნდე ამ ტან-
ჯულ ცხოვრებას და დალოცვილი დავტოვო შეილები,
შვილიშვილები, მთელი ქვეყანა, რომელიც შენს ჩემსავით
გიყვარდა და გეცამყვარდა...
ნათელში იყავი, ჩემი, ჩვენი სიყვარული იყოს შენი მზარვე-
ლი. უფალოს ვთხოვ, შეისმინოს დღის ვედრება...

შენი უძლური, სევამწარებელი დელა



ზურა უსენაშვილის
გახსენება

ჩვენი მეგობარი ზურა უსენაშ-
ვილი ვაჟაკობისა და კაიკაციობის
ტალღის იყო, დაღუპვის შემდეგ
— ჩვენი სინდისის დარჩენი. ახალ-
გაზრდა და გამოუცდელი ბიჭები
ადვილად დაგვამარცხეს, მაგრამ
მაინც არ გავტყდით და ახლაც
ჩვენი კაცობით ვბობთ ზურას ჩვენს
ნად უშვნიად.

მეგობრები

გია მამუკიშვილის
სხოვნება

ჩემო გიო! 10 ივლისი შენი და-
ბადების დღეა. 25 წელი შეგისრულ-
დებოდა, შვილო! რა ბედნიერი დღეა
ვიქნებოდი, გვერდით რომ მყავდე და
რა უბედური ვარ დარჩენილი ამქვე-
ნად უშვნიად.

მეზუთე დაბადების დღეა, გია, შენი,
რომელსაც შენ გარეშე, დიდი ტკი-
ვილით გამწარებულები გხვდებით.
უზომოდ მენატრები, ჩემო დღისწერა, ცისფერთაღება,
ლამაზო, კეთილო ბიჭო. უშვნიად ჩემს სიცოცხლეს არანა-
ირ აზრი არა აქვს. შენ იყავი დღის სიხარული, იმედი,
წახვედი და უმძიმესი დარდი, ტკივილი დამტრეფე.
გია! შენ ზღაპრიდან გადმოხული, ლამაზი უფლისწული
იყავი. ბედმა მხოლოდ 20 წელი გარგუნა ამქვეყნად ყოფნა,
ცხოვრება და სწორედ მაშინ, როცა უნდა გაეხსნა სი-
ცოცხლით, შენმა ბედისწერამ ზეცაში, მარდისობაში დავამტვრია
ადგილი. ჩემი ბედისწერა უმძიმესა, შვილო. უშვნიად ვი-
ტანჯები. განსხვავება ის არის, რომ მე ცოცხალი მყვია და
უშვნიად უნდა განველო ჩემი დარჩენილი წუთისოფელი.
ისღა დამრჩენია, ჩემო გია, რომ სადაც ხარ, შენს მარადი-
ულ ქვეყანაში მოგილოცო დაბადების დღე. გისურვო მა-
რადისობა, ნათელში ყოფნა და სულიერი სიმშვიდე.

დელა

ნოდარ პორფილეს ძე
დანელიას

ათი წლისწილი შესრულდა, რაც
ჩვენ ზარის აღარ ხარ, ძვირფასო
ადამიანი, მოსიყვარული მეუღლე,
მამავ და ბაბუჯ.

ნამდვილად გვაკლიხარ, გვაკლია
შენი თბილი ხელები და ბრძნული
დარტებები, შენი ფუნქსიონალი და ზრუნვა
გვერდებს, შენს სინდის-ნამუსს
ყველაფრისათვის თავის შეგვარება. ასე
პატარას, ადამიანებთან ურთიერთო-
ბის საოცარი ნიჭი გქონდა.

დაბადების დღეს მოვალთ შენს
საფლავზე, თვალცრემლიანი ვეზო-
ვებით შენს ხატად ქვეულ საფლავს და ჩვენი სიყვარუ-
ლის უკვდავსაყოფად მოგიძღვნი ცრემლით დანამუდ
ლამაზ ყვავილებს და სევდანარევი ჩურჩულით გაიშობით
ტკივილიანი მონატრების შესახებ.

დიდი გულისტკივილი და სევდა დაუტოვე შენს ტან-
ჯულ დღეს, ძმებს, დედებს, ახლობლებს. ყველას უზო-
მოდ გვენატრები. ისღა დავგრძენია, ვილოცოთ შენი ლამაზი,
სპეტაკი სულისთვის და წმინდა სანთლები ავითოთ.

ოჯახი

ცისანა საჩაღელი-
თეთუმანიძის და ზაქრო
თეთუმანიძის მონატრება

დელა, ერთი წელი გავიდა, უშვნიობის
ერთი ტკივილიანი ცრემლიანი წელი.
ზაქრო, გამწარებული დელა სულ
შენს ხსენებაში იყო. ახლა უკვე დელა
შენთანა და იმედი, ერთმანეთს შე-
უმსუბუქებთ ახლობლებთან განმარებით
გამოწვეულ სევდას. განუკურნებელი
ტკივილის ძალა შეიძლება დღეებმა იციან მხოლოდ.
დელა, მიმძიმე სახლში მისვლა უშვნიად, როცა კარს
გავაღებ და შენ აღარ შეგეგები. არასოდეს დამავიწყდე-
ბა შენი მომადკელი თვალები. შევლას ვეზოხედი, მაგრამ
ვერ გიშვებდი. ასეთი ბოიერი სულის ქალს, მეგონა,
სიკვდილი ვერ მოგეროდა, მაგრამ ამაოდ. შეიღის სიკვდილი
ვერ გადაიტანე.
საყვარელო ძმაო და დელა! ჩვენს გულში უკვდავი




ხართ — შენი მეუღლის, შვილის, დედის, ძმის, ძმის,
რძლისა და შვილიშვილების გულში.
ვევერებთი უფალოს, ნათელში აშოვოს თქვენი სპეტაკი
სულები.

ოჯახი: მეუღლე თეიმურაზი, შვილი მამუკა


ჯეუმბერ სხარტლადის

11 ივლისს 68 წელი შეგისრულდე-
ბოდა, ჩემო ჯეუმბერ. უზომო გულისტ-
კივილით გილოცავ დაბადების დღეს.
მსუბუქი ყოფილიყოს იმქვეყნიური ცხ-
ოვრება შენთვის. მეტს ხომ ვერაფერს
ვისურვებ შენთვის. პირველად შეგ-
ვებით ამ დღეს უშვნიად. ტკივილ-
დე გინატრებთ, ბევრს ვიტრებთ.
გავიგისინებთ. ყველას გვენატრები, ყვე-
ლას გვენატრები, უზომოდ გვაკლიხარ, უზომოდ გვევრები.
ნათელში აშოვოს უფალო შენი ლამაზი სული. იმედი
კი იმას ვიტრებ, ბოლოს ხომ მაინც ვიქნებით ერთად,
რამეთუ ყველას დასასრული ხომ მარადისობაა?! მაგრამ
მონატრებას, უსასრულო მონატრებას რა ვუყო?



მეუღლე — მამული ქარსელაძე

გასიო ხარეზაძის
გახსენება



ჩვენი კარგი და საყვარელი თანა-
ქალაქელი ვასიკო! რაოდენ მტკიე-
ნეულია, რომ 36 წლის ასაკში წახ-
ვედი ამ ქვეყნიდან და გამოაკლი
ჩვენს სამეგობროს. 24 ივნისს 37
წელი შეგისრულდა. უშვნიად აღვნიშ-
ნეთ შენი დაბადების დღე. შენ იყავი
კაცობრივად, გულთბილი, კომუნიკა-
ციური და მეგობრის ღმერთი თუ ჭირის
ალაღი გამაზრებელი, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა.
ყველამ, ვინც მეტნაკლებად გიცნობდა, როგორ გულთან
მიიტანა შენი გარდაცვალების ამბი, რამდენი გულწრფე-
ლი ცრემლი გავგვია...

რით ვანგეზობთ შენი სევდამწარებელი დელა — ცილა
დელა? მხოლოდ იმით, რომ სათუად შეგინახეთ შენს
ხსოვნას და ყოველთვის მოგიფრებო, როგორც პატრონს,
კეთილ, მოსიყვარულე მეგობარს და თანავასტელს.
თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე
სამუშაო სკოლის 1984 წლის გამოშვების 10-
კლასი


ზურა ნიაურის გახსენება

ჩვენი ზურა, უკვე მეცხრამეტედ
ხვდებით უშვნიად შენს დაბადების
დღეს, 8 ივლისს. შენ ხომ მხოლოდ
22 წელი იცოცხლე და მოასწარი
ყველაფრისათვის თავის შეგვარება. ასე
პატარას, ადამიანებთან ურთიერთო-
ბის საოცარი ნიჭი გქონდა.

დაბადების დღეს მოვალთ შენს
საფლავზე, თვალცრემლიანი ვეზო-
ვებით შენს ხატად ქვეულ საფლავს და ჩვენი სიყვარუ-
ლის უკვდავსაყოფად მოგიძღვნი ცრემლით დანამუდ
ლამაზ ყვავილებს და სევდანარევი ჩურჩულით გაიშობით
ტკივილიანი მონატრების შესახებ.

დიდი გულისტკივილი და სევდა დაუტოვე შენს ტან-
ჯულ დღეს, ძმებს, დედებს, ახლობლებს. ყველას უზო-
მოდ გვენატრები. ისღა დავგრძენია, ვილოცოთ შენი ლამაზი,
სპეტაკი სულისთვის და წმინდა სანთლები ავითოთ.

ოჯახი



დისშვილები გუგორა, ლა, ზარა,
ლელა, დარჯანა, ნინო ნოდენი, სოფ-
ბი: ლადო მაკალაია, რომან მამიშ-
ვილი, მურმან ზეწარა, რამზ კონ-
ჯარია, ფრიდონ მაწაფა, რაულ თო-
ფურია ოჯახებით თუქვებიან

ომარ მიხეილის ძე
კაჭარავას

გარდაცვალების და თანაგრძნობენ
ოჯახს.

არტურ ლაისტი — უოჩიული თაჰვისიანი

საქართველოს მტერი ყოველთვის
მრავლად ჰყავდა, მოყვარე — თითუ-
ბზე ჩამოსათვლელი. ამიტომაცაა, რომ
თუკი ვინმეს ჩვენი ქვეყნისთვის კეთილი
საქმე უკეთებია, ღირსია, ქართველებმა
მშობლებივით შეიყვარონ და შარა-
ვანდით შემოსონ მისი სახელი.

არტურ ლაისტი — მწერალი, პუბ-
ლიცისტი, მთარგმნელი... გერმანელი
და ქართველი, თუ პირიქით, ჯერ
ქართველი და მერე გერმანელი. მან
ჩვენი სამშობლო უსაზღვროდ შეიყ-
ვარა.

ყველაფერი კი უბრალოდ დაინ-
ჯო: 1881 წელს ბრესლაუს უნივერ-
სიტეტში გაიცნო მკვლევარი და მოგ-
ზაური ბოლშევედტი და მისი რჩევით
დაინტერესდა აღმოსავლეთის ქვეყ-
ნებით, კერძოდ, საქართველოთი.
შეისწავლა ქართული ენა, დაუთავ-
შირდა ქართველ მამულიშვილებს:
ნიკო ნიკოლაძეს, დიმიტრი ერისთავს,
ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს...

ენასა და ისტორიას ისწავლი, მა-
გრამ საქართველოს ტკივილის ისე
გათავისებდა, როგორც ეს არტურ
ლაისტმა შეძლო, მის ქართველს
გაუჭირდებოდა... ბევრ ღვანდს ვინ
მოთვლის... თუნდაც ის რად ღირს,
რომ ევროპულმა ლაისტმა ასე ძირ-
ფესვიანად შეისწავლა ამიერკავკასიის
ორი ხალხის ბუნება და დანერგა:
„თავიანთი სამშობლოდან განდევნი-
ლი სომხები საქართველოში მოვიდ-
ნენ და, რაკი ნახეს სტუმართმოყვარე
მხარე, აქვე დასახლდნენ, მტკნოლად
თბილისში, — რომელმაც ხელი შეუ-
წყო მათ მიდრეკილებას ვაჭრობისა
და მრეწველობისადმი. ვაჭრობა
ძველთაგანვე სომხების ხელშია და ეს
არის მიზეზი, რომ ისინი უფრო და

უფრო მდიდრდებიან. როდესაც
საქართველო თავისუფალი სახელმ-
წიფო იყო, სომხები მაშინ ქართველთა-
გან შევიწროებულნიც კი არ ყოფილან,
ეს აშკარად ჩანს იქიდან, რომ სომხ-
ებს ეჭირათ თვალსაჩინო ადგილები
სამსახურში, მათი და ქართველების
ცხოვრება ერთნაირად მიმდინარეობ-
და და ბოლო დროს ქართველებსაც
რამდენიმე მხრივ კიდევაც გაუსწრეს.
ხასიათით ისინი ძალიან განირჩევიან
ერთმანეთისაგან. ქართველები
შემკუდრი არიან მრავალი რაინდუ-
ლი თვისებებით, სომხებს კი შრომა
და მშვიდობიანი ცხოვრება უყვართ.
ამ ორი ხალხის ხასიათებს შორის
ასეთი განსხვავება, უფკველია, ბუნებ-
ის ზეგავლენით აიხსნება.“

ეს მაშინ, როცა ბევრი თვალს
ხუჭავდა ქართველთა ღირსებებზე.
არტურ ლაისტმა გერმანულ და
პოლონურ ენებზე გამოსცა წიგნი
„საქართველო, ბუნება, ადამ-წესები
და მოსახლეობა“. 1885 წელს კვლავ
ესტუმრა საქართველოს და ილია ჭა-
ვჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დახმარე-
ბით „ფეხისტყაონის“ გერმანულ ენაზე
თარგმნა დაიწყო. თარგმანი დრეზდენ-
სა და ლაიფციგში გამოქვეყნდა. ამას
მოჰყვა ქართული პოეზიის ანთოლო-
გია...

ლაისტმა საქართველოში ის პარ-
მონია შეიგრძნო, რომელიც ძნელად
შეიძლება სადმე სხვაგან ეპოვა. ამ-
იტომაც თითქმის ხელისგულზე „დაი-
სვა“ ქართული კულტურა და სათუთ-
ვა მიაწვდა ევროპელებს.

„ლეკურს ცეკვავს ქალ-ვაჟი,
ოღონდ ხელი ხელს კი არ უჯიდით;
ცეკვა იწყება წყნარად, მერე თანდა-
თან გატყეველდება, აჩქარდება ზღვის

ღელეკსავით და ბოლოს, ლაზათითა
და სიმდიდრით სავესე გიჟმეურ როკ-
ვად იქცევა. ვგონებ, არც ერთი ცეკვა
არ გვიჩვენებს ისე მკვეთრად და
ლამაზად ადამიანის სიმარდეს, სხეუ-
ლის მოქნილობას და სრული პარ-
მონიით შეზავებულ მოძრაობას,
როგორც ლეკური“, — წერდა ლაისტი
ცეკვა „ქართულზე“, რომელსაც ლე-
კურსაც ეძახდნენ.

1892 წლიდან არტურ ლაისტი
საქართველოში დამკვიდრდა. მალე
გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართველი
ხალხი“, რომელიც მრავალ ენაზე
ითარგმნა. დააარსა გერმანული გაზე-
თი „KAUKASISCHE POST“, რომელიც
თბილისში მისი რედაქციონივით
გამოდიოდა. ყველაფერი ეს იმას ემ-
სახურებოდა, რომ ტერიტორიულად
პატარა საქართველოს ღირსეული
ადგილი დაემკვიდრებინა ევროპელ-
თა ცნობიერებაში.

კეთილი შურით შეგშურდებო-
და, როგორ აფასებდა გერმანელი
მოღვაწე ქართველი მამულიშვილის
ღვაწლს და ყველაფერს საქართვე-
ლოს უსაზღვრო სიყვარულის სიმა-
ლიდან განსაზღვრავდა: „ილიას (ჭა-
ვჭავაძე) სურდა ქართული ლიტერ-
ატურა აღმოსავლეთის გავლენისგან
გათავისუფლებინა და გაეყვარა-
ბებოდა. ამას თვითონაც უწყობდა
ხელს. იგი არ მარტო ლიტერატურ-
ის, არამედ საზოგადოებ, ცხოვრების
ევროპეზაციის მომხრეც იყო... თავ-
და კი, მიუხედავად ევროპული გა-
ნათლებისა, სულით და გულით მუდამ
ქართველად რჩებოდა.“

სულით და გულით ქართველი
იყო არტურ ლაისტიც. დანერა
მოთხრობები: „ქეთევან“, „ვარო“, ავ-

ტყვის ევროპაში გატანას, გვერდით
ედგა ილიას, აკაკის, ყველა ჭეშმარიტ
მამულიშვილს და მართალი კალმით,
მართალი სიტყვით იღვწოდა
საქართველოს განსაზღვრულად. მას
ისევე უყვარდა ჩვენი ქვეყანა, როგორც
სიღვნიბა, ისევე ბრწყინვალედ იცოდა
ქართული ენა, როგორც მშობლი-
ური გერმანული. არტურ ლაისტის
ნააზრებს დიდი მნიშვნელობა აქვს
ქართული კულტურის ისტორიი-
სათვის, დღევანდლობისათვის. ის
არის კაცი-სანთელი, ჭეშმარიტი მე-
გობრობის სიმბოლო.

რამდენი სიკეთე გავკეთა საქარ-
თველოსთვის, მაგრამ როგორც
შეიღს, ეცოტავებოდა და ანდრძი-
ვით დაუტოვა თხოვნა: „მამატიე, ჩემო
პატარა სამშობლოსნაცვალო — სა-
ქართველო, თუ ჩემი მწირი ღვანდ-
ით ღირსი არა ვარ შენს წმინდა მი-
ნაში დასაფლავებისა...“
ეს იყო, ალბათ, ავტოპიტიფია
დიდი ქართველობის სახელს შეგერე-
ბული უცხოშობილი მეგობრისა...

არტურ ლაისტი თბილისში აღეს-
რულა და მისი საყვარელი მეგობრე-
ბის გვერდით მიაბარა დიდუბის მი-
ნას მადლიერმა ქართველმა ხალხმა...
ყველა ქართველი მამულიშვილი
უნდა მიდიოდეს არტურ ლაისტის
საფლავთან და თაყვანს სცემდეს მის
ხსოვნას. მდუმარედ იდგეს და ფიქ-
რობდეს დიდ ქართველზე — არ-
ტურ ლაისტზე (დიდუბის პანთეონში
ამ დიდი ადამიანის განსასვენებელი
მუდამ მოვლილი და ყვავილებითაა
მორთული

ჩვენი პაპაჩა, საყვარელი ბუდუნა...

ამ 15 წლის წინ, მე და თემომ ხელი მოვაწერეთ თუ არა, ჩემმა მამამთილმა სამოთხიანი ბინის გასაღები გადმოგვცა და დაგვლოცა. ბინა ქალაქის პრესტიჟულ რაიონშია. სტუმრები არ გველოდა. ქმარს ვერ ვუზნებოდი, ძალიან დამალა მასპინძლობამ-მეთქი. ერთდღერთი მეგობარი, ვისაც ჩემს გრძნობებს ვუზიარებდი — ბუდუნა იყო.

ბუდუნას კი შემთხვევით გადავხვდი. ერთხელ, ოთახში რუხი ღრუბელი შევნიშნე. გონებაში მივესალმე სტუმარს და მოულოდნელად ჩამესმა: „გაგიმარჯოს, ნანა, მე ბუდუნა ვარ. აქ თქვენთან ერთად ვცხოვრობ“. მივიხედ-მოვიხედე — ჭალთან უცნაური კაცუნა დაფრინავდა და სიხარულით ხელებს ათამაშებდა. ჩვენ დავმეგობრდით და ხშირად ჩუმად ვსაუბრობდით.

ერთხელ თემო სამსახურიდან გაღიზიანებული დაბრუნდა. გაუფჯავრდი, — არ შეგიძლია ოჯახში არ წამოიყოლო ეგ სიბრაზე-მეთქი? თემომ ხელი ჩაიქნია, შემომიბზულუნა და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა. გული მეტკინა. ჩემმა ბუდუნამ — უსამართლოდ როგორ აწყენინა ნანასო და თავზე დააჯდა თემოს. ჩემმა ქმარმა იყვირა, — ვილაც თავზე მზისო და მოჰყვა ხელების ქნევას. სიცილი ამიტყდა. თემო წამოხტა. ბუდუნა არ ეშვებოდა, ჩქმეტა და ღმტინი დაუწყო. ამხელა კაცი ხან ბრახოზდა, ხან ხარხარებდა. ძალიან გავმხიარულდი.



სანამ არ ვთხოვე, ბუდუნა არ მოეშვა გურამს. ჩემი ქმარი განცვიფრებული და დაქანცული მომჩერდა — რა იყო ესო! მე მხოლოდ მხრები ავიჩქჩე და კარისკენ წავედი, — ახალი წყება სტუმრებისა აკავუნებდა.

სუფრა გავშალეთ. იმ საღამოს მართლა ძალიან მოვიღიხნეთ. გული საგულეს მქონდა — ჩემი ბუდუნა ჩემს თავს არავის დააჩაგვრინებდა! ცოტა ხანში სტუმრები წამოიშალნენ და წასასვლელად გაემზადნენ. გურამმა — ჯერ ცხრა საათიც არ არიო. არა, ძმაო, თქვენი ბუდუნა გვაჩქარებს, — წადილთ მალე აქედან, დააცა-

დეთ ახალგაზრდადანიერლებს ცხოვრებაო, — გამოაცხადა გურამის დეიდაშვილმა და ყველანი უკანმოუხედავად გაცვივდნენ გარეთ. სახტად დარჩენილმა გურამმა მკითხა, — რა ბუდუნაზე ლაპარაკობდა პალიკოო. ამ დროს ბუდუნამ თვალი მხიარულად ჩამიკრა, გაექანა და კვლავ თავზე დაასკუპდა გურამს... ასეთი იყო ჩვენი ბუდუნა, რომელიც ხან თავხედობდა, ხან გვართობდა. სხვათა შორის, თუ გუნებაზე იყო, ჩვენს მეგობრებსაც წყალობდა. მერე ძაღლის ლეკვი გვაჩუქეს, პატარა, ღუნელუა, თოვლივით თეთრი. ის დღე იყო და ის დღე, ბუდუნა აღარ გამოჩენილა — თურმე ძაღლი და კატა არ ჰყვარებია...

ნანა მინდელი, თბილისი

ზუკიკოო საბი სიხოსხლე ისენა

რამდენიმე წლის წინ მამამ მანქანა გვიყიდა და ჩემს მძას. მოგვსენებათ, რა არის უცხოური მანქანა 20-22 წლის ბიჭებისათვის. სიხარულით ცას ვენით. დღედაღამ მანქანას დავტრიალებდით თავს. ერთი ამბავი გვეონდა, ვინ როდის დაჯდებოდა საჭეთსა. ვცდილობდით, გოგონები მანქანით მიგვეცილებინა შინამდე, ბიჭები — საუკეთოდ წაგვეყვანა. ერთი-ორჯერ ვირჩხუბეთ კიდეც. მეც მჭირდებოდა მანქანა და ჩემს მძასაც...

ბევრ ჩვენს თანატოლს რჩებოდა თვალი ჩვენს მანქანაზე. ერთხელ ჩემს მძას თანაურსელმა სთხოვა, სოფელში წამიყვანე, მამაჩემის დაბადების დღეა და კარგად მოვიღიხნოთო. რა თქმა უნდა, მეც ჩავხტი მანქანაში. შინ რა გამაჩერებდა! ორი დღე ვეძიფობდით გურამთან (ასე ერქვა ჩემი ძმის კურნელს), მესამე დღეს წვეთი არ დაგვიღვია არც ერთს. საღამოს წამოსვლას ვაპირებდით, ვიცოდით, რომ არ უნდა გავგერისკა, თანაც მამა ყოველ წუთში მობილურით გვირეკავდა და გვაფრთხილებდა, სასმლის სუნი რომ ჩამოგვევთ, იმ წუთში გაგვიყდით მანქანასო. ვიცოდით, მაშა სიტყვას არ გატყვდა, ამიტომ ძალიან ვფრთხილობდით.

საღამოს წამოვედით. ფხიზელი ვიყავით სამივე, მაგრამ მაინც სწრაფად მოვდიოდით. თქვენ არ იცით, რას ნიშნავს სწრაფად სიარული. ეს ენით აუნერგელი სიამოვნებაა, რომელზეც ვერც ერთი ნორმალური ბიჭი ვერ იტყვის უარს. სამწუხაროდ, ამას ხშირად მძიმე შედეგი მოაქვს. ასე მოხდა იმ საღამოსაც. ჩემს მძას უცებ საჭემ უმტყუნა, ველარ დაიმორჩილა და ჯერ გზისპირა ხეს შეეცვასეთ, მერე დიდი ძალით კლდოვან ფერდობს... იმდენად ძლიერი შეჯახება იყო, რომ თვალი დამიბნელდა... მე მძლოლის გვერდით ვიჯექი. გურამი — უკან. მარჯვენა ხელი, ეტყობა, უხერხულად ავნიე დაჯახებისას... ორგან მქონდა გადატყნული, მოტყნული მქონდა რამდენიმე წეწი და მარცხენა ლავინის ძვალიც. ტკივილისაგან თვალთ დამიბნელდა, მაგრამ ჩემს მძას რომ მეხედე და ერთიანად სისხლში მოსვრილი დავინახე, ის აუტანელი ტკივილიც კი დამავიწყდა. გურამს კისერი უკან გადაედგო, მთელი სახე ჩამსხვრეული მინით ჰქონდა დასერილი. მერე აღმოჩნდა, რომ ტვინის მძიმე შერყევა და ხერხეღის ტრავმაც მიეღო. ჩემი ძმა კი გაცილებით უარესად იყო — საჭემ გულმკერდი გაუტყლივდა. მოკლედ, მისი სიცოცხლე ბუნებუ ეკიდა. ყველაფერს ვხედავდი, მაგრამ ხმის ამოღება არ შემეძლო, ისე ცუდად ვიყავი, ადგილიდან ვერც ვიძვროდი... არადა, ეს ის დროა, მანქანას რომ ვერ ნახავდი სოფელში, ისეთი გაჭირვება იყო. ვერცხვართ განწირულები დაღუნულ მანქანაში. უცებ ფერდობიდან მალაღი, სასიამოვნო გაგვიგონა ბიჭი ჩამოხტა. მოვიდა და მძლოლის მხარეს კარი გამოაღო... ერთი კი ამოვიღმუშველ, შევლა მინდოდა მეთხოვა, მაგრამ მხოლოდ კვნესა აღმომსხდა. ის



სანამ არ ვთხოვე, ბუდუნა არ მოეშვა გურამს. ჩემი ქმარი განცვიფრებული და დაქანცული მომჩერდა — რა იყო ესო! მე მხოლოდ მხრები ავიჩქჩე და კარისკენ წავედი, — ახალი წყება სტუმრებისა აკავუნებდა.

სუფრა გავშალეთ. იმ საღამოს მართლა ძალიან მოვიღიხნეთ. გული საგულეს მქონდა — ჩემი ბუდუნა ჩემს თავს არავის დააჩაგვრინებდა! ცოტა ხანში სტუმრები წამოიშალნენ და წასასვლელად გაემზადნენ. გურამმა — ჯერ ცხრა საათიც არ არიო. არა, ძმაო, თქვენი ბუდუნა გვაჩქარებს, — წადილთ მალე აქედან, დააცა-

დეთ ახალგაზრდადანიერლებს ცხოვრებაო, — გამოაცხადა გურამის დეიდაშვილმა და ყველანი უკანმოუხედავად გაცვივდნენ გარეთ.

სახტად დარჩენილმა გურამმა მკითხა, — რა ბუდუნაზე ლაპარაკობდა პალიკოო. ამ დროს ბუდუნამ თვალი მხიარულად ჩამიკრა, გაექანა და კვლავ თავზე დაასკუპდა გურამს...

ასეთი იყო ჩვენი ბუდუნა, რომელიც ხან თავხედობდა, ხან გვართობდა. სხვათა შორის, თუ გუნებაზე იყო, ჩვენს მეგობრებსაც წყალობდა. მერე ძაღლის ლეკვი გვაჩუქეს, პატარა, ღუნელუა, თოვლივით თეთრი. ის დღე იყო და ის დღე, ბუდუნა აღარ გამოჩენილა — თურმე ძაღლი და კატა არ ჰყვარებია...

ნანა მინდელი, თბილისი

ზუკიკოო საბი სიხოსხლე ისენა

რამდენიმე წლის წინ მამამ მანქანა გვიყიდა და ჩემს მძას. მოგვსენებათ, რა არის უცხოური მანქანა 20-22 წლის ბიჭებისათვის. სიხარულით ცას ვენით. დღედაღამ მანქანას დავტრიალებდით თავს. ერთი ამბავი გვეონდა, ვინ როდის დაჯდებოდა საჭეთსა. ვცდილობდით, გოგონები მანქანით მიგვეცილებინა შინამდე, ბიჭები — საუკეთოდ წაგვეყვანა. ერთი-ორჯერ ვირჩხუბეთ კიდეც. მეც მჭირდებოდა მანქანა და ჩემს მძასაც...

ბევრ ჩვენს თანატოლს რჩებოდა თვალი ჩვენს მანქანაზე. ერთხელ ჩემს მძას თანაურსელმა სთხოვა, სოფელში წამიყვანე, მამაჩემის დაბადების დღეა და კარგად მოვიღიხნოთო. რა თქმა უნდა, მეც ჩავხტი მანქანაში. შინ რა გამაჩერებდა! ორი დღე ვეძიფობდით გურამთან (ასე ერქვა ჩემი ძმის კურნელს), მესამე დღეს წვეთი არ დაგვიღვია არც ერთს. საღამოს წამოსვლას ვაპირებდით, ვიცოდით, რომ არ უნდა გავგერისკა, თანაც მამა ყოველ წუთში მობილურით გვირეკავდა და გვაფრთხილებდა, სასმლის სუნი რომ ჩამოგვევთ, იმ წუთში გაგვიყდით მანქანასო. ვიცოდით, მაშა სიტყვას არ გატყვდა, ამიტომ ძალიან ვფრთხილობდით.

საღამოს წამოვედით. ფხიზელი ვიყავით სამივე, მაგრამ მაინც სწრაფად მოვდიოდით. თქვენ არ იცით, რას ნიშნავს სწრაფად სიარული. ეს ენით აუნერგელი სიამოვნებაა, რომელზეც ვერც ერთი ნორმალური ბიჭი ვერ იტყვის უარს. სამწუხაროდ, ამას ხშირად მძიმე შედეგი მოაქვს. ასე მოხდა იმ საღამოსაც. ჩემს მძას უცებ საჭემ უმტყუნა, ველარ დაიმორჩილა და ჯერ გზისპირა ხეს შეეცვასეთ, მერე დიდი ძალით კლდოვან ფერდობს... იმდენად ძლიერი შეჯახება იყო, რომ თვალი დამიბნელდა... მე მძლოლის გვერდით ვიჯექი. გურამი — უკან. მარჯვენა ხელი, ეტყობა, უხერხულად ავნიე დაჯახებისას... ორგან მქონდა გადატყნული, მოტყნული მქონდა რამდენიმე წეწი და მარცხენა ლავინის ძვალიც. ტკივილისაგან თვალთ დამიბნელდა, მაგრამ ჩემს მძას რომ მეხედე და ერთიანად სისხლში მოსვრილი დავინახე, ის აუტანელი ტკივილიც კი დამავიწყდა. გურამს კისერი უკან გადაედგო, მთელი სახე ჩამსხვრეული მინით ჰქონდა დასერილი. მერე აღმოჩნდა, რომ ტვინის მძიმე შერყევა და ხერხეღის ტრავმაც მიეღო. ჩემი ძმა კი გაცილებით უარესად იყო — საჭემ გულმკერდი გაუტყლივდა. მოკლედ, მისი სიცოცხლე ბუნებუ ეკიდა. ყველაფერს ვხედავდი, მაგრამ ხმის ამოღება არ შემეძლო, ისე ცუდად ვიყავი, ადგილიდან ვერც ვიძვროდი... არადა, ეს ის დროა, მანქანას რომ ვერ ნახავდი სოფელში, ისეთი გაჭირვება იყო. ვერცხვართ განწირულები დაღუნულ მანქანაში. უცებ ფერდობიდან მალაღი, სასიამოვნო გაგვიგონა ბიჭი ჩამოხტა. მოვიდა და მძლოლის მხარეს კარი გამოაღო... ერთი კი ამოვიღმუშველ, შევლა მინდოდა მეთხოვა, მაგრამ მხოლოდ კვნესა აღმომსხდა. ის

ბიჭი მანქანაში შემოძვრა, ჩემი ძმა ჩემგან გადმოანვინა, დაქოცა და წავედით... მაშინ არც გამეცვივებია, როგორ მიდიოდა ჩვენი დანგრეული მანქანა... ამაზე არ ვფიქრობდი... ზოგჯერ მოიხედავდა ჩვევნი... მომეჩვენა, რომ თვალში ცრემლი უბრწყინავდა... 25-30 წლის იქნებოდა. ღონიერი მკლავები ჰქონდა... პირდაპირ საავადმყოფოს შენობასთან მიაციენა მანქანა და გადავიდა... იქით ნაწიდა ექიმის დასაძახებლად, დავინახე, როგორ მოდიოდა და მოჰყვებოდა რამდენიმე თეთრხალათიანი სირბილი...

მერე მართლაც დაუჯერებელი რამ დაიწყო... სამივენი შეგვასვენეს დერეფანში. ის ბიჭი არ მოგვეცილებია. საოპერაციოშიც კი თავზე მადგა, პალატაში გამიყვანეს — გამოიყვანა...

საბედნიეროდ, სამივენი გადავარჩიეთ... ცოტა რომ მოვლინიერდი, მამას ვუთხარი, — ვილაც ბიჭმა გადაგვარჩინა. ერთი, ექიმებს ჰკითხე, ვინ იყო-მეთქი. მამას საავადმყოფოში უთხრეს: — რას ამბობთ, არავითარი ბიჭი არ ყოფილაო და ყველაფერი ჩემს თავის ტრავმას მიანერეს. ვუთხარი, აბა, მანქანა ვინ მოიყვანა, გურამიც და ჩემი ძმაც უგონოდ იყვნენ, მე დამტყრუელი ვიყავი-მეთქი... მხრები აიჩქეს... ჩვენ რომ მოვედით, მხოლოდ თქვენ სამი იყავითო...

გურამმა მითხრა, — ასეთი და ასეთი ბიჭი მეც ვნახე, პალატაში რომ გამომიყვანეს, თავთან მედგა და დამყურებდა, მე პრაქტიკანტი მეგონაო...

წამოგვიყვანეს თბილისში. ფიქრი არ მასვენებდა, რამ გადაგვარჩინა. ორი თვის თავზე მამას შეუუწნდი, ოღონდ იმავე გზით წაგვიყვანე, ის ბიჭი მომამეხნინე, ახლომასლო სოფლებში აუცილებლად ვიპოვი-მეთქი. დამთანხდა. მე და გურამი გავყვევით. ჩემს მძას ჯერ კიდევ ნოლითი რევიმი ჰქონდა. ვნახეთ ავარიის ადგილი... ბევრი ვეძებეთ... ახლომასლო სოფლები. არ ყოფილა. ოციოდე მეტრში კი გზის პირას მარმარილოს ქვა ვნახეთ. ზედ სწორედ ის ბიჭი იყო გამოსახული... მხოლოდ სახელი ეწერა — ზურიკო. წინ ღვინიანი ბოთლი ედგა... როგორც ჩანს, ამ ადგილას მოუხდა ავარია და გარდაიცვალა... მეგობრებმა კი მისი სხოვნისათვის ეს ქვა დადგეს... ენაჩავარდნილი ვუყურებდით... გურამს ფერი დაეკარგა — სწორედ ეს ბიჭი მადგა თავზეო.

მამაჩემი კი ატირდა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე მამაჩემის ცრემლი. მარმარილოს ქვას გულში იხუტებდა, — შვილო, შვილოო, — ამბობდა...

წელს ამ ამბის მოყოლა გადაწყვიტე... სულ ცოტა ხნის წინ ბიჭი შემეძინა — ზურიკო დავარქვი... თუმცა ანითაც ვერ გამოვხატავ გადამრჩენისადმი მადლიერებას.

ლაშა მხეიძე, თბილისი

„საშალლო-სალალო“ გვერდის პასუხები
I. კოდალა.
II. აბა, გამოიცანი:
1) — ა); 2) — დ); 3) — ბ); 4) — დ); 5) — გ); 6) — ბ).

ენიანსაჩიგჟველი ფოგოსუკათი...

...დიდი ქორწილის გადახდა არ ისურვეს ახალგაზრდებმა, ჯვრისწერის შემდეგ მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს დაუძახეს და მშობლებს სთხოვეს: — თუ ჩვენი პატივისცემა გასურთ, ქორწილისთვის გადადებული თანხა გვაჩუქეთ, სადმე სამოგზაუროდ წავალთ და ერთად ყოფნით გავისარებთო.

არ უთქვამთ უარი უფროსებს. საზღვარგარეთ წასვლის საშუალება ნამდვილად არ იყო და გადამწყვეტს ბათუმში წასულიყვნენ.

...არც მკითხველისთვის იქნება სასიამოვნო მოსასმენი იმ ტრაგედიის დეტალები, რომელიც ბედნიერი ახალგაზრდების თავს დატრიალდა და არც მათ ახლობლებს მინდა განვუახლო ჭრილობები, გეტყვით მოკლედ, რომ ახალგაზრდებს ბათუმამდე არ ჩაულწნევიათ, ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ და საქორწილო სუფრა ქელებისამ შეცვალა...

ეს ამბავი სხვა ვერაფრით მიიპყრობდა საზოგადოების ყურადღებას და ვერც გაზეთის ფურცელზე მოხვდებოდა, რომ არა უცნაური და ამოუხსნელი მოვლენა...

...ახალგაზრდებს თან ფოტოაპარატი ჰქონდათ, რომელზეც თავიანთი ბედნიერი მოგზაურობის კადრების აღბეჭდვას აპირებდნენ, მაგრამ ვერ მოასწრეს და მხოლოდ 5 კადრი დარჩა გადაღებული, რომლებიც ახლობლებთან ერთად დააფიქსირეს გამგზავრებამდე.

როცა სამიწილი ავარიის შემდეგ სასწაულებრივად გადარჩენილი აპარატი გარდაცვლილთა ახლობლებს დაუბრუნეს, ფირი ბიძამწილმა ნაიღო და გააშლავნა. ხუთიდან სამი კადრი თითქოს გაფუჭებული იყო, თეთრი ლაქები ფარავდა გამოსახულებებს და სხვა დროს, დაუფიქრებლად გადაყრიდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ ყველაფერს სხვა ფასი და მნიშვნელობა ეძლეოდა გარდაცვილითა ახლობლებისთვის?!

შინ მიტანილი სურათები ხელიდან ხელში გადადიოდა და... პირველად პატარძლის ძმამ, ბადრიმ, შეამჩნია, რომ „ლაქები“ უფორმო კი არ იყო, ან უაზროდ გაფანტული, არამედ აშკარად რაღაც არსებებს ქმნიდნენ.

— თავიდან ვერც გავხედე გამხელა, — ჰყვება ბადრი, — შემეშინდა, რომ სხვები ვერ დაინახავდნენ და ზედმეტად გაგანერვიულებდი ახლობლებს. მერე ვერ მოვითმინე, მეგობარს ვაჩვენე სურათები, ვთხოვე: თუ ძმა სარ, ყურადღებით დააკვირდი ამ ლაქებს და სცადე მათში რაიმე საეჭვო დაინახო-მეთქი... დააკვირდა და... გოვგნებულს მუსლები მოეკვთა...

პირველ კადრზე ახალგაქორწინებულები სხვებთან ერთად დგანან, 20-მდე ახლობელი მაინცაა მათ გვერდით, მაგრამ სწორედ მათ ზურგს უკან ლაქა თავისებურ ფონს უქმნით, თითქოს წრეში არიან მოქცეულები, რომელიც მათ ფეხებთან ბანტის მაგვარად იკვრება და სწორედ იმ წასკვში ჩანს დანოლილი პატარა ბატკანი!..

მეორე კადრზე მარტონი არიან აღბეჭდილი იმ მანქანის ფონზე, რომლითაც ბათუმში გაემგზავრნენ და მანქანის წუშითაა თეთრი ლაქა, რომელსაც დამსხვრეული, ცვეხლამოდე-ბული მანქანის ფონმა აქვს. მეორე ლაქა ფეხებქვეშ აქვთ ახალგაზრდებს, თითქოს ღრუბელზე დგანან და უნდა აფრინდნენ...

ყველაზე საინტერესო კი მესამე კადრია, გზაში გადაულიათ, რომელიც ნყარსითან. ჩანს, ვილაც შემთხვევით გამვლელს სთხოვეს გადაღება. ქმარს ხელში ჰყავს ცოლი აყვანილი, ორივე კი... თეთრებში გამოწყობილ ადამიანის ვიგურას, რომლის სქესის გარჩევა შეუძლებელია, მაგრამ ზურგს უკან აშკარად უჩანს ფრთის მონახაზი, ზუსტად ისეთი, როგორიც ფრესკებზე აქვთ ანგელოზებს!..

...თითქმის ყველა ახლობელს გავაგებიენ ჩემი „აღმოჩენის“ შესახებ, მინიშნების შემდეგ ყველანი ადვილად ხედავდნენ იმას ლაქებში, რაზეც ახლა გითხარით და ბევრმა მოინდომა, ამ უნიკალური ფოტოების მფლობელი გამხდარიყო, მაგრამ როგორც კი სურათები ხელმეორედ დავბეჭდე, როგორ არ ვეცადეთ, როგორ არ გავაშუქეთ და გავალიავეთ კადრები, მაგრამ არავითარი ლაქა მათზე აღარ აღიბეჭდა და მივხდით: სასწაული არ მეორდება, ვილაც უჩინარს კი, არ სურდა, რომ ფოტოსურათები გამრავლებულიყო და ათასი მითქმა-მოთქმის საბაზი გამხდარიყო.

მინიშნების მიხედვით, მივხდით, რომ ბედისწერის შეცვლა შეუძლებელია... ისეთმა საყოფაცხოვრებო და ჩვეულებრივმა ნივთმა, როგორიც ფოტოაპარატი, შეძლო იმ ენერგეტიკული დისბალანსის დაფიქსირება, რაც ამ ორი ახალგაზრდის ცხოვრების დასასრულთან მიახლოებამ წარმოქმნა და ფოტოგრაფირების მომენტში ისინი ფაქტობრივად სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე იდგნენ, სადაც ერთმანეთში მჭიდროდ გადაიხლართა ხილულ და უხილავ სამყაროთა რეალობა...

ის სურათები ახლა ერთ ცნობილ კაცთანაა მოსკოვში, რომელიც ანომალიურ მოვლენებს იკვლევს და კიდევ ბევრი რამ გვითხრა საინტერესო...

როცა ხელმეორედ დაბეჭდილ კადრებზე „ლაქები“ არ აღიბეჭდა, მერე ქსეროასლების გადაღება ვცადეთ და ლამის სულ დავღუშეთ ფოტოები — დასხივების შედეგად თითქოს გალიავდა და წაიშალა და კიდევ რომ „გავგვერძელებინა“ ექსპერიმენტები, შეიძლებოდა სულაც გამქრალიყო გამოსახულებები.

მოსკოვში ფოტოსურათები ამერიკის ანომალური კვლევის ლაბორატორიის თანამშრომლებმაც ნახეს და საკმაოდ დიდი თანხა შემოგვთავაზეს, თუკი მათ ფოტოებს მივყიდით და ოფიციალურად გადაეცემთ მფლობელობაში და ალბათ ასეც მოვიქცევით. იმიტომ კი არა, რომ ფულს დავხარებდით, უბრალოდ, საქართველოში არავითარი გამოცდილება არ არსებობს მსგავს მოვლენებზე მუშაობისა და ვერც მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთებას შეძლებენ. როგორც მოსკოვი გვითხრეს, უნიკალური მოვლენა დააფიქსირა ფოტოაპარატმა, რაც მსოფლიოშიც კი სულ თითზე ჩამოსათვლეული შემთხვევაა თურმე და როცა კაცობრიობა ასე ცდილობს ხილული სამყაროს მიღმა გახედვას, რატომ არ შეიძლება მოპოვებული მასალა იმათ ვიდეო, ვისაც შეუძლია მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება. საქართველოში, როგორც გითხარით, არავინ ანარეობს სერიოზულ გამოკვლევებს. ეკლესიაშიც თავი შეიკავა რაიმე კომენტარისაგან... სხვათა შორის, როცა ამერიკელებს გადაეცემთ ფოტოებს, ხელშეკრულებაში აუცილებლად მოვითხოვთ, რომ გავგინონ ყველა აღმოჩენა და დასკვნა...

ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ხილული სამყაროთი არც მთავრდება და არც იწყება ადამიანური არსებობა, რომ ჩვენ ირგვლივ უამრავი რამ ხდება, რასაც ვერ ვხედავთ, რაც არ გვესმის და ამიტომ არც პასუხიმგებლობის გრძნობა გვაქვს გამძაფრებული. ადამიანობა და ნუთისოფელი მოვლინება კი სწორედაც ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობა ყოფილა.

ასე რომ, სიცოცხლე დედამიწაზე მხოლოდ გარდამავალი ეტაპია მარადიულ არსებობაში გადასასვლელად და სწორედ ამიტომ გვძირთებს უდიდესი პასუხისმგებლობა თითოეული ნაბიჯის გამო... სადღაც „იქ“ — ჩვენ გველოდებიან და წინ ანგელოზებსაც გვაგებებენ, რაც აღიბეჭდა კიდევაც წინასწარმეტყველ ფოტოებზე!...

ინგა ჯაფელი

არჩილი ოპერაში

ფერიმონტის (აშშ, ინდიანას შტატი) მცხოვრებლებმა შენიშნეს, რომ 1884 წელს აშენებული ოპერის თეატრში ღამღამობით საოცრებები ხდება..



ხმა დაირხა, თეატრში „ოპერის აჩრდილი“ გაჩნდაო. ხან იდუმალი მუსიკა აჟღერდებოდა მრავალრიცხოვან დერეფნებში, ხან მშვენიერი, ციური ხმა ცნობად არაბს წაიმღერებდა... ამ ამბის აპოთეოზი კი ერთ-ერთი რეპეტიცია გახდა. სამ მოზარდ როკ-მუსიკოსს ნება დართეს, თეატრში გვიან ღამით რეპეტიცია ჩატარებინათ. ისინიც შევიდნენ ცარიელ შენობაში, სადაც მხოლოდ დარაჯი იყო.

— როგორც კი დაკვრა დაიწყო, —

ჰყვება ერთ-ერთი მათგანი, — ჩემს გიტარას სიმი გაუწყდა. ახლით შევცვალე. ისიც განცდა, მესამესაც იგივე ბედი ეწია. შემდეგ ნიავემ დაქროლა — თუმცა კარი დავკეტული იყო, ფანჯრები კი შენობას საერთოდ არ ჰქონდა...

ნოჩი მუსიკოსების გარშემო ყველა საგანი ამოძრავდა: პიუპიტრებიდან ნოტები გადმოცვივდა, სკამები ადგილიდან დაიძრა, როიალის სახურავმა ბრახები მოაღინა. შემდეგ სიჩუმე მოიცვა იქაურობა და უცებ ყველამ დაინახა მამაკაცის აჩრდილი, რომელიც დახურული კარიდან გამოვიდა, გადაჭრა დარბაზი და მოპირდაპირე კედელში შევიდა. ახალგაზრდებმა ინსტრუმენტებს ხელი დასტაცეს და შემინებულები გარეთ გაცვივდნენ.

შეღებების ნაამბობი რომ მოისმინეს, მშობლები ახალგაზრდებთან ერთად ისევ საოპერო თეატრის შენობაში დაბრუნდნენ. როგორც კი დარბაზში შევიდნენ, კვლავ შემოცურდა მამაკაცის ბუნდოვანი სილუეტი. რამდენიმე წამით დაყოვნდა და კედელში გაუჩინარდა, დარბაზის კარმა თავისით დაიწყო ნელ-ნელა დახურვა, ხოლო როცა ხალხი მიუახლოვდა, უცხად დაიხურა.

ხმამ, ოპერის შენობაში პარანორმალური მოვლენების შესახებ, სწავლულთა ყურადღებას მიიქცია. ახლა ისინი ცდილობენ გაარკვიონ — რა ხდება თეატრში...

ტინიანია ვლასტი N11



კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:

5 ივლისი:

ლორა ანდერსონი, მუსიკოსი, კომპოზიტორი; ერნან კრესპო, ფეხბურთელი.

6 ივლისი:

ჯორჯ ბუში-უმცროსი, ამერიკის პრეზიდენტი; კონსტანტინ კრავინსკი, მსახიობი, რადიოწამყვანი; იური მალიკოვი, მომღერალი და კომპოზიტორი; ნურ-სულთან ნაზარბაევი, ყაზახეთის პრეზიდენტი; რაში, მსახიობი; სილვესტერ სტალონე, მსახიობი.

7 ივლისი:

არტურ ლაისტი, გერმანელი ქართველოლოგი; ოდისეი დიმიტრიადი, დირიჟორი; ჟანა აგუზაროვა, მომღერალი; შელი დიუვალი, მსახიობი; პიერ კარდენი, მოდელიერი; ტოტო კუტუნო, მომღერალი, კომპოზიტორი; ვალენტინ ნიკოლინი, მსახიობი; რინგო სტარი, მუსიკოსი.

8 ივლისი:

თენგიზ სუხიშვილი, ქორეოგრაფი; პეტრე კაპაცა, ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; ჯორჯ როკველერი, მულტიმილიონერი, მეცენატი; ანჯელიკა პიუსტონი, მსახიობი.

9 ივლისი:

ნოდარ გაბუნია, კომპოზიტორი.

10 ივლისი:

რევაზ ლალიძე, კომპოზიტორი; ჯესიკა სიმპსონი, მომღერალი.

11 ივლისი:

პეტრე მელიქიშვილი, ქიმიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი; ტარიელ ჭანტურია, პოეტი. ჯონ ადამსი, აშშ-ის პრეზიდენტი, ჯორჯო არმანი, მოდელიერი.



სიტყვათა კონა

კნეთელი — ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი.

კნინი (ძვ.) — სულ მცირე, სულ პატარა.

კოდალი — პატარა, საბავშვო წვერწაღმსახვი ისარი (იციან გური-აში).

კოდილა — დაკოდილი პირუტყვი.

კოზმიდი (არქიტ.) — სვეტის თავი.

კოთხო — ხის ჭურჭელი მარცვლეულის საწყაოდ (იციან გური-აში).

კოინდარი — მრავალწლოვანი საკვები ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა.

კოკობი — გაუშლელი ვარდი.

კოკობიკა — უშნოდ მოკველვადი ადამიანი.

კოკოზა — თევზის საჭერი მონ-ყობილობა — ვინრობოლოიანი წნული ტყეისა, რომელსაც დაპირქვავებით დგამენ.

კოკოლა — კონუსის მსგავსი თავწვეტიანი გროვა, ზვინი (ქვიმისა, ფქვილისა).

კოკონა — პატარა იხვი.

კოკონინა — გარეული იხვი ერთგვარი.

კოკონა — იგივეა, რაც წიწვი.

კოკოჩინა — პატარა და კოხტა.

კოკურა — პატარა კოკა.

კოლბოხი — გამხმარი და გამ-აგრებული კოშტი მინისა, ხმელი გუნდ-გუნდა მინა.

კოლინჯი — 1. (ანატ.) მსხვილი ნალავის შუა ნაწილი. 2. ამ ნალავის დაავადება.



ვის უფავენ უფასო სამედიცინო მომსახურებას?

— ყური მოგვარი, საქართველოში დღეს უფასო სამედიცინო მომსახურებაზე არის. იქნებ მიზანშეწონილ, რა წყაროებით ფინანსდება იგი და რა დამსახურების მიხედვით შეირჩევა პაციენტი, რომელსაც უფასოდ ემსახურებიან?

გურამ ზიბზიძე

კითხვაზე უპასუხავს **ვატო სურგულაძე**, ჯანმრთელობის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განვითარების დირექტორის მოადგილე.

— ჩვენი ფონდი მიმდინარე წლის 18 მაისამდე ეწეოდა ე. წ. კომისიური წესით „უმწეო მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო მომსახურებისთვის განუღებელი დანახარჯების დაფარვის“ დაფინანსებას. ანუ ოთხშაბათობით კომისიაზე განვიხილავდით იმ პირთა დახმარების საკითხს (მათივე განცხადების საფუძველზე), ვისაც არ ჰქონდა საშუალება, თავად გადაეხდა ამა თუ იმ სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებისთვის მკურნალობის საფასური (ამასთანავე, არ შედიოდნენ სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ არც ერთ სტანდარტში). ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში უმწეოს სტატუსი განსაზღვრული არ არის და ბევრს უჭირს, ხოლო ჩვენ კი არსებული ბიუჯეტის ფარგლებში ყველა განმცხადებელს ვერ დავხმარებოდით, ამიტომ ამოვირჩიეთ — ბავშვები, პენსიონერები და ინვალიდები, ანუ სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენა. შესაბამისად, აქაც ყველას ვერ ვხმარებოდით. მაგალითად, ბავშვებში პრიორიტეტი გახლდათ დამწვრობა და სხვა რთული დაავადებები. ამჟამად 2003 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები სრულიად ამოწურულია. ხოლო 2004 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანამდე კომისიის მუშაობა — შეჩერებული. ვიმედოვნებ, რომ იგი ავგისტოდან განახლდება, მაგრამ ვინ განსაზღვრავს შემდგომში დახმარების საკითხს, ფონდი თუ ჯანდაცვის სამინისტრო, ჯერჯერობით უცნობია...

აქვე დავძენ, რომ იმ მოქალაქეებმა, რომელთაც ხელთ აქვთ გადაგასული „უმწეობის პოლი-სი“, უნდა მოგვმართონ პოლისის ვადის გასაგრძელებლად.



ვის ევალუა ელექტროგადამცემი ხაზების შეკეთება...

— მაინტერესებს, ვის ევალუა დაზარალებული ქვესადგურებისა და ელექტროგადამცემი ხაზების შეკეთება?

ვალიკო მჭედელიშვილი

კითხვაზე უპასუხავს **ვალიკო ფანცულაია**, სააქციო საზოგადოება „თელასის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

— დედაქალაქში აღნიშნული საკითხი ანუ ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების შეკეთება მთლიანად სააქციო საზოგადოება „თელასის“ პრეროგატივა გახლავთ. აღნიშნული ხაზების დაზიანების შემთხვევაში ჩვენთან ფუნქციონირებს 24-საათიანი საექსპლუატაციო სამსახური, რომელიც იღებს შეტყობინებებს როგორც საინფორმაციო სამსახურის მიერ, ასევე უშუალოდ მომხმარებლისგან. ჩვენთან ასევე მუშაობს 24-საათიანი საინფორმაციო სამსახური, რომლის ტელეფონები 25-52; 25-52-11; დღე-ღამის განმავლობაში ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია დარეკოს აღნიშნულ ტელეფონზე და შეგავტყობინოს ან მიიღოს ინფორმაცია დაზიანებისა თუ ავარიის შესახებ. ჩვენს სადისპეტჩერო ცენტრს გააჩნია ოპერატიული ინფორმაცია ნებისმიერ ავარიისა თუ დაზიანებაზე და იგი დაუყოვნებლივ გადასცემს ავარიულ ბრიგადას კონკრეტულ უბანზე არსებული მდგომარეობის შესახებ. ბრიგადა ოპერატიულად გადის ადგილზე შესაბამისი სამუშაოების ჩასატარებლად. რაც შეეხება რაიონებს და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიას, ელექტროგადამცემი ხაზებისა და სხვა დაზიანებათა შესახებ უნდა მიმართონ „გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას“.

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან პოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...



რეორგანიზაციის სენი «არტ-იმედსაც» გადაეღო...

— მართალია თუ არა, რომ „არტ-იმედი“ იხურება. ხმა გაფრთხილდა, ბადრი პატარკაციშვილს მობეზრდა ჩვენი შოუ-ბიზნესის ე. წ. „გარსკვლავების“ დაშურებაო?

ნინო ქიტიანაძე



კითხვაზე უპასუხავს **მაია დათუნაშვილი**, კომპანია „არტ-იმედის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

— მართლაც, 1-ელი ივლისიდან „არტ-იმედის“ მომღერლებს შეუწყდათ ხელფასები. ამჟამად მიმდინარეობს მათთან მოლაპარაკება ინდივიდუალურად სახელფასო კონტრაქტებზე. რეორგანიზაცია, რომელიც ამჟამად „არტ-იმედში“ მიმდინარეობს, თავისთავად ითვალისწინებს იმას, რომ ვისაც დააკმაყოფილებს „არტ-იმედის“ მიერ შეთავაზებული ახალი პირობები, მასთან გაგრძელდება თანამშრომლობა, მაგრამ ვინც არ იქნება თანახმა, ლოგიკურად, კომპანიის წევრიც აღარ იქნება. არჩევანი მათზეა. ასე რომ, ეს რეორგანიზაცია არ ნიშნავს „არტ-იმედის“ დახურვას.

1-ელ სექტემბრამდე „არტ-იმედში“ რეორგანიზაცია დასრულდება და ახალ პროექტზე დავიწყებთ მუშაობას, რომელიც ითვალისწინებს განსხვავებულ მიდგომას. ეს არ უკავშირდება მხოლოდ კომპანიაში განვრცობულ უკვე პოპულარულ მომღერლებს, ვიმუშავებთ სრულიად უცნობ სახეებთან, აქცენტს გადავიტანთ ახალი ვარსკვლავების აღმოჩენაზე.

რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, გეტყვით, რომ „არტ-იმედის“ ხელმძღვანელობა თავის საქმიანობას დამოუკიდებლად წარმართავს...



ხელოვნური განაყოფიერება საქართველოში 1959 წლიდან დაიწყო...

— ხდება თუ არა საქართველოში ხელოვნური გზით განაყოფიერება და სად? იქნებ გვითხრათ მისი ღირებულება, ასევე მაინტერესებს, რომელი წლიდან დაიწერა ეს მეთოდი ჩვენს ქვეყანაში.

თინა ხადურია

კითხვაზე უპასუხავს პროფესორი **დავით ხაროლინაშვილი**, ჟორდანის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის რეპროდუქციული პათოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

— საქართველოში ხელოვნური განაყოფიერება დღესდღეობით წარმოებს მხოლოდ ი. ჟორდანის სახელობის კვლევით ინსტიტუტში, იმ წესებითა და მეთოდით, რაც მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაშია დანერგილი. საქართველოში ხელოვნურ განაყოფიერებაზე მუშაობა ჯერ კიდევ 1959 წელს იოსებ ჟორდანიაში დაიწყო. ხელოვნური განაყოფიერება — ცნობილი ინსტიტუტის (სერმატოზოიდის შეყვანა საშოში ხელოვნური გზით) მეთოდი ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაიწერა ჩვენში. რაც შეეხება თანამედროვე რეტროგანაყოფიერების, ანუ ე. წ. სინჯარით განაყოფიერების (სინჯარაში განაყოფიერება და შემდეგ გადმოტანა საშვილოსნოს ღრუში) მეთოდი საქართველოში სულ რამდენიმე წელია რაც დაიწერა. ჟორდანის მიერ წამოწყებული მეთოდის წყალობით საქართველოში ათასობით ბავშვი დაიბადა, ხოლო რაც შეეხება სინჯარით განაყოფიერებას, იგი ხუთი წელია რაც წარმოებს და ამ მეთოდით ჯერ 60 ბავშვი დაბადებული. ამ მეთოდით განაყოფიერება საკმაოდ ძვირია (დაახლოებით 2500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში), ხოლო ჩვეულებრივი ინსტიტუტის 100-120 ლარი ჯდება.



ფობია თუ ყოველდღიურობა...

— თქვენი თხოვნით, ვაგრძელებთ ფობიების ჩამოთვლას:

ბაცილოფობია — მიკრობების შიში;
ბალისტოფობია — შაშხანის ან ტყვიის შიში;
ბასოფობია — დგომის უნარის დაკარგვის შიში;
ბატოფობია — სიღრმის შიში;
ბიბლიოფობია — წიგნის შიში;
ბოგიფობია — მოჩვენებათა შიში;
ბუფონოფობია — ბაყაყის შიში;
ბენუსტროფობია — ლამაზი ქალის შიში;
ვირგინიტიფობია — გაუპატიურების შიში;
გამოფობია — ქორწინებისწინა შიში;
გალოფობია — სიცილის შიში;

გალოსოფობია — მსმენელის წინაშე სიტყვით გამოსვლის შიში;
გიმნოფობია — სიშიშვლის შიში;
გადეფობია — ჯოჯოხეთში მოხვედრის შიში;
გოდოფობია — მოგზაურობის წინა შიში;
ჰელიოფობია — მზის შიში;
ჰიდროფობია — წყლის შიში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

განსხვავებული უყრნაღა

- ✓ **მედიკალიზაცია** — ჯანდაცვის სფეროში გამოყენებული პრეპარატების მიხედვით
- ✓ **მედიკალიზაცია** — ჯანდაცვის სფეროში გამოყენებული პრეპარატების მიხედვით
- ✓ **მედიკალიზაცია** — ჯანდაცვის სფეროში გამოყენებული პრეპარატების მიხედვით
- ✓ **მედიკალიზაცია** — ჯანდაცვის სფეროში გამოყენებული პრეპარატების მიხედვით
- ✓ **მედიკალიზაცია** — ჯანდაცვის სფეროში გამოყენებული პრეპარატების მიხედვით



გრიანდუბის უიასკო

პორტუგალია – საბერძნეთიდან, პორტუგალია – საბერძნეთამდე

ვინც „კვირის პალიტრის“ წინა ნომრის სპორტული გვერდი წაიკითხა, ემასოვრება, თუ როგორ მთავრდებოდა „ევრო-2004“-ის მიმოხილვის ჩვენული ვერსია — ძველი კონტინენტის ერთი მწვერვალი უკვე ფინალამდე იყო დაპყრობილი და მას ერქვა HELLADOS! სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთის სპეციალიზაცია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ნოსტრადამუსივით წინასწარ გითხრათ, თუ ვინ გახდება ევროპის პირველობის გამარჯვებული, ვინაიდან ეს ყველაფერი ფინალამდე უკვე დაბეჭდილი უნდა იყოს, მაგრამ თავს უფლებას მივცემ განვაცხადო: ევროპულ ფეხბურთის ღირსეული გვირგვინოსანი ჰყავს, პორტუგალია და საბერძნეთიც ფინალამდე ღირსეულად მივიდნენ. გასულ კვირას გამართული ნახევარფინალები ზუსტად იმ სცენარის გაგრძელება იყო, რაც აქამდე ხდებოდა პორტუგალიის მინდვრებზე. გამარჯვებულმა გუნდებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი თავიანთი დამრიგებელთა შორისმჭვრეტელობას და იმას, თუ რას ნიშნავს კარგი მწვრთნელი და მისი იდეებზე გულიანად აყოლა. ეს უპირველესად ბერძენთა თავდაცვითი ოტორეზგულუბით ითქმის. ის, რაც ელინებმა და მათმა სტრატეგმა ნახვარფინალამდე გააკეთეს, უკვე გმირობა იყო, მაგრამ პორტუგალია არ იკმარა და დიდების ტახტი ოლიმპის თავზე აიტანა, იქ, სადაც მხოლოდ დაფინის გვირგვინებით და უკვდავებით იმოსებიან.



ლუიზ ფელიპე სკოლარი

საბერძნეთი-ჩეხეთის დაპირისპირების წინ ფავორიტად ბრუკენერის შეგირდები ითვლებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ფინალში ბერძნები გავიდნენ! ფავორიტობა რეპაგელთან რომ არ გასჭირდა, ეს თვით ზიდანმა და კომპანია ინენია საკუთარ თავზე. ახლა ბერძნის საუბრობენ ნედვედის ტრავმაზე და იმ დანაკლისზე, რაც მისი დეკარგვით განიცადეს ჩესებმა, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს ბერძენთა ბრწყინვალე გამარჯვებას. შესაძლოა, საკოლე მომენტები ნაკლები შექმნეს, მაგრამ იმდენად მობილიზებულად და შემართებით იბრძოდნენ მიზნის მისაღწევად, რომ დარწმუნებული ვარ ნედვედის ყოფნაც ბევრს ვერაფერს შეცვლიდა. რა, ნედვედამდე სწორედ ბერძნულ ციტადელს არ შეამსგვრის თავიანთი იმედები ზიდანმა, ანრიმ, რაულმა, ფიგუშო, მორიენტესმა და სხვა, დღევანდელი ფეხბურთში გამორჩენილმა ვარსკვლავებმა? რეპაგელს უფრო შვედური და დისციპლინირებული გუნდი აღმოაჩნდა, ვიდრე დანარჩენებს. ამ კონკრეტული ტურნირისთვის ისინი შესანიშნავად იყვნენ მომზადებული და არც „ვარსკვლავომანია“ აწუხებდათ. ის კი არა, დამატებით დროში იმდენი ძალა კიდევ შემორჩათ, რომ ზედიზედ მიიტანეს სწრაფი იერიშები ჩეხების

კარზე, რაც, საბოლოო ჯამში, ლოგიკურად დაგვირგვინეს. სწორედ აქ გამოჩნდა ოტო რე-პაგელის სტრატეგიული ხედვა და დიდი მწვრთნელობაც. მან მშვენიერი გუნდი და შესაბამისად ბერძნული ფეხბურთის ისტორიის ყველაზე ნათელი ფურცელი შექმნა. მეორე ნახევარფინალმა, სადაც პორტუგალიელები ჰოლანდიელებს დაუპირისპირდნენ, არანაკლებ დრამატულად ჩაიარა. არც ჰოლანდიელები განიცდიან ვარსკვლავთა ნაკლებობას, მაგრამ მასპინძელთა შეჩერება ვერ მოახერხეს. ის კი არა, ერთი გოლი გამარჯვებულებმა თავად აწუქეს მეტოქეს, თორემ ჰოლანდიელებს ოვერმარისის კინკლა მომენტის მეტი არაფერი შეუქმნიათ. პორტუგალიიდან ყველა თამაშობდა თავგამოდებით, ნამდვილ ლიდერად მოგვევლინა ლუიზ ფიგუ, კაპიტანს თანაგუნდელებიც აჰყვნენ და კიდევ ერთი ფავორიტის — ჰოლანდიისგან ქვა-ქვაზე აღარ დარჩა. მოურჩენელი სატყვიარი შეჰყარა მეტოქის მცველებს კრისტიანო რონალდომ, პირდაპირ სისხლი გაუშრო რაიციგერს და ბროკპორსტს, 26-ე წუთზე ფლანგებიც აღარ იკმარა და დეკოს ჩამოწოდებული კუთხური ზუსტი თავურით გოლად აქცია. არ ვიცო, მიაცივით თუ არა ყურადღება გამეორებისას ჰოლანდიელთა კარის დარაჯის ედვინ ვან დერ საარის შემოღობს. მეკარემ მშვენიერად ჩაატარა მთელი მატჩი, მაგრამ პირველ გოლამდეც კარგად ხედვებოდა, რომ ასე დიდხანს ვერ გაძლებდა და ასეც მოხდა. მეორე გოლიც ისეთი გაიტანა მანისემ, 10 ვან დერ საარის ვერ აიღებდა, რითაც, პრაქტიკულად, თავის გუნდს ფინალის საბურთი გაუფორმა.

საბოლოოდ, ჩემპიონატი ისევ დასრულდა, როგორც დაიწყო: პორტუგალია — საბერძნეთის მატჩი. ალბათ, ესეც სიმბოლურია. „ევრო-2004“-ზე ბევრი მოულოდნელობა მოხდა, მა-



გრამ შევთანხმდეთ იმაშიც, რომ ფინალისტები თავისთვის გადაწყვეტ მატჩამდე შემთხვევით არ მისულან. საბერძნეთზე უკვე მოგვასვენებ. ერთადერთი გუნდი, ვისთანაც მათ თავს დასვენებისა და მოდუნების უფლება მისცეს, რუსეთი იყო, არ სჭირდებოდათ თავის შეკვლა არაფრის მომტანი თამაშისთვის და იმიტომ, თორემ დარწ-

მუნებული იყავით, იარცხვის თავგაბანულ და დაშლილ გუნდს იოლად გაუსწორდებოდნენ. პორტუგალია სტარტზე ერთადერთი მარცხის შემდეგ (არ დაგავინყდეთ, ვისგან), საფუძვლიანად გამოფიზლდა, თამაშიდან თამაშამდე უმატა და ერთხელაც არ დაუფრებია ვინმე, რომ ამ რთულ გზას მინც გადალახავდა. ფეხბურთელები ორივე გუნდს გამორჩეულნი ჰყავს ჟინითა და გამარჯვებისკენ დაუოკებელი სწრაფით, მაგრამ კიდევ ერთხელ ვთქვათ: პორტუგალიისა და საბერძნეთის ნაკრებების მიერ მოგებული მატჩების სადავეები იყო ორი კაცის — ლუიზ ფელიპე სკოლარისა და განსაკუთრებით ოტო რეპაგელის ხელში.

ახლა ამ „ყბადღებულ“ ფავორიტებზეც ვთქვა, რომლებიც უფრო წარსულის დამსახურების გამო იმსახურებენ ასეთ სტატუსს, ვიდრე დღევანდელი უსახური თამაშით. ჩემპიონი დაივინოთ, ბუნდესნაკრები — მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელია და თავად განსაჯეთ, ჩემპიონობის გარდა ნებისმიერი შედეგი რისი ტოლფასი იქნება მათთვის. საჩემპიონოდ გერმანელებს სასწაულის მოხდენა სჭირდებათ, რადგან ასეთი უსახური გუნდით რომელიმე საპრიზო ადგილიც სანატრელი გაუხდებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ოტმარ ჰიტცფელდმაც კი ხელები გასასვავა, როცა ნაკრების ხელმძღვანელობა ამ ცოტა ხნის წინ შესთავაზეს. დასკვნა თქვენთვის მომინდვია.

საფრანგეთში დიდი დაპირისპირება, გუნდის ალბიონური ტრიო ანრის თამაშობით ზინდინ ზიდანის წასვლას მოითხოვს, ზიდანისა, რომელიც ერთადერთი ფეხბურთელია, რომლის თამაშიც, მე პირადად, დიდ სიამოვნებას მანიჭებს და ნაკლებად მაინტერესებს, იგებს თუ აგებს მისი გუნდი. ზიდანი ფეხბურთში ჯერ კიდევ შემორჩენილი სინატისის, უზადო ტექნიკის, ტაქტიკური აზროვნების და საერთოდ, ულამაზესი თამაშის ერთ-ერთი იშვიათი შემოქმედია და იმის გამო, რომ მისი წასვლა სტაიერით გამძლე ვიერას და თუნდაც ანრის უნდათ, მას ნაკრებს არავინ დაატოვებინებს. ფრანგთა ამ თაობამ მოსაგები მოიგო, ტიტულები თამაშების მოსაგებად რომ კმაროდეს, გერმანელებს ვინ დაასრულებ?

იტალია და ინგლისი მათ ეროვნულ ჩემპიონატებში მოზღვაგებულმა უცხოურმა ლეგიონმა ყველაზე მეტად აზარალა. იმიტომაც, რომ ბოლო წლებში ღირებულს ვერაფერს აღწევნენ. ტრაპატონის მწვრთნელობა კი იგივე იყო იტალიელთათვის, როგორც რუსეთს რომ დღეს ბესკოვი დაუბრუნო ნაკრების თავკაცის პოსტზე. არც ვიერის და დელ პიერის „მოუწყვეტიათ“ პორტუგალიის ციდან ვარსკვლავები, ხოლო ტოტიმ თავი რითაც გამოიჩინა, თავადაც უწყით.

ესპანეთმა, „ვალენსიას“ თუ არ ჩავთვლით, საკლებო და სანაკრებო დონეზე ყველაფერი პირნიშნად დათმო, ამდენად, მეტის მიღწევა მათ ძალებს აღემატებოდა. რა ესურებოდა, მაგრამ ფრანკოსნაირი დიქტატორი თუ უმჯელი, რათა როდესმე უმაღლეს შედეგს მიღწიონ. ჰოლანდიაშიც თაობათა ცვლის პროცესი

დაიწყება. დე ბურების, ოვერმარისის, კოკუს და მათა მისთა კოპორტამ სანაკრებო ტიტულები ვერაფრით მოიგეს და კრუფისა და ვან ბასტენის დროინდელი დიდების გამეორება ვინალო ვან ნისტელროიმ და ახალგაზრდა თანაგუნდელებმა მოახერხონ. ტიტულის ქვეყანაში ბავშვთა ფეხბურთის საქმე შესანიშნავადაა ორგანიზებული და დარწმუნებული იყავით, ეს ქვეყანა კიდევ შეძლებს უწინდელი ვარსკვლავების გამოზრდას.

დანარჩენმა გუნდებმა აჩვენეს ის, რაც შეე-



რეპაგელს ათენში ძეგლს უდგამენ

ძლოთ, მეტი მათგან არც არავის მოუთხოვია და არც თავად გამოუდვიათ თავი. ჯგუფებიდან გასვლაც მათთვის ის მაქსიმუმი იყო, რისი მიღწევაც შეძლეს.

მთლიანობაში „ევრო-2004“-მა გაორებული შთაბეჭდილება დატოვა. ფავორიტებისა და გრანდების უსახურმა თამაშმა ჩემპიონატს თავისი ხიბლი მოაკლო. მათზე უკვე გვერნდა საუბარი და თავს აღარ შეგანყენი. გამორჩეულთაგან ჩესეთი იყო, რომელმაც თამაშიც აწვინა და გოლებიც ბევრი გაიტანა, მაგრამ ესეც არ ვერთ რეპაგელის ცბიერების წინააღმდეგ. თუ რამე გაალამაზა ჩემპიონატი, ალბათ ამ სენსაციებმა, თორემ ლამაზი და სანახაობრივი ფეხბურთი სპორტის ამ სახეობაში ჩადებულმა მილიონებმა დიდი ხანია გააუფერულა. კაცმა რომ თქვას, ჭკუის სასწავლებელიც ბევრი მოხდა ევროპის პირველობაზე და ყველაზე უპრიანი ჩვენთვის ის იქნება, რამდენად სწორ დასკვნებს გამოიტანს საქართველოს ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი. თუ გვინდა ლატვიასავით იმათ მარაქაში გავერიოთ, ვინც კარნახობს დღევანდელი ფეხბურთის სტილს, უპირველესად გუნდური თავდადება უნდა ვისწავლოთ, თორემ ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობა ვერაფერ სახიეროს ვერ მოგვითქნის. საქართველოს ნაკრებს მართლაც ურთულესი ჯგუფი შესვდა, საბერძნეთს რომ თავი დაეხებოთ, დანისა და თურქეთის გუნდები იბრძოლებენ ფინალურ სანაკრებისთვის და ჩვენ რით უნდა გავუწიოთ კონკურენცია, საკითხავი და საფიქრალი სწორედ ეს არის. თუმცა, ეს გაცილებით დიდი თემაა და ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ. დღეს კი საფეხბურთო სამყარო მინც „ევრო-2004“-ის შთაბეჭდილებების ქვეშა, სადაც ლამეული პორტუგალიის ცაზე ყველამ ნათლად დაინახა არა ცალკეული ვარსკვლავების სიკაშკაშე, არამედ გუნდურად შეკრული თანავარსკვლავები.

ზვიად სენიაშვილი

„სიღნეის გრიანდუბი ათენში ოქროდ უნდა გადავადნოთ“

„როგორც ცა და დედამიწა, ისეთი სხვაობაა ჩვენს მზადებაში სიღნეისა და ათენის ოლიმპიური თამაშების წინ“, — საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გაფართოებული სხდომაზე წარმოთქმული ეს სიტყვები ზუსტად ასახავდა იმ საერთო პათოსს, რომელიც სხვადასხვა სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებისა და მწვრთნელების გამოჩენილმა გამოსტყვიდა და ალბათ, საფუძველიც ჰქონდათ, აბა, ამხელა ხალხი, ერთმანეთის მიყოლებით რომ მიდის, როგორ ფიქრობდა, მთელი საზოგადოების წინაშე ტყუილ დაპირებებს ხომ არ მოგვეცმდა? აიო, დაპირებები ადრეც არანაკლები იყო, მაგრამ ახლანდელ დანაპირებს, ჩვენი, ქართული მასშტაბებით, საკმაოდ მოზრდილი თანხების ხარჯვა უმყარებს საფუძველს. მარტო წლეული ბადრი პატარკაციშვილის დაარსებულ „ოლიმპიურ ფონდს“ ქართველ ოლიმპიელთა მომზადებისთვის 2 მილიონი ლარი დაუხარჯავს. რა თქმა უნდა, დიდი ქვეყნებისთვის ეს არაფერია, მაგრამ 30 მონანისლის მყოფი საქართველოსთვის არცთუ უმნიშვნელო თანხაა. მონანისილები კიდევ შეიძლება შეგვემატოთ, თუკი ჩვენი მძლეოსნები დავით ილაიბიანი, მარიამ ქეცხიშვილი და იულია დიუბინა იყოჩაღებენ, თუ არადა, მოგვიწეს 30 კაცის იმედზე ყოფილა. თუმცა, მათ რიგებს, შესაძლოა, გამოავლდეს თავისუფალი სტილით მოქცეული მძიმეწონისანი ალექსანდრე მოდებაძე, რომელმაც ერთი კვირის წინ, საერთაშორისო ტურნირზე ტრავმა მიიღო. ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმის ზურაბ კახარიშვი-

ლის თქმით, ვითარება არც მთლად ტრაგიკულია, მოდებაძე დაახლოებით შეიდ დღეში სრული დატვირთვით ივარჯიშებს და ათენის ოლიმპიადამდე გაემგზავრება. რაც შეეხება ჯანმრთელებს, ამათგან ყველაზე მეტად ოქროს მედლის მოპოვებასთან დაკავშირებით, მინც ორგზის მსოფლიოს ჩემპიონის, თავისუფლად მოქცეული ელდარ კურტანიძის ეიმედებათ. თუმცა, ძიუდოსისტა მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს რომ ჰკითხო, ოლიმპიური ოქროს ალბის ნაკლები შესაძლოა არც მის შეგირდს, ზურაბ ზვიადაურს აქვს. ზვიადური ბოლო ორ მსოფლიო ჩემპიონატზე ფინალში გავიდა და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მხოლოდ გამოუცდლობით დამარცხდა. სწორედ ზვიადური იქნება ათენის ოლიმპიადამდე ქართული სპორტული დელეგაციის მებრძოლე. „თავისუფლებსა“ და ძიუდოსისტებს, თავისი ფალანგებით, არც ბერძნულ-რომაული სტილით მოქცეული ჩამორჩენიან. მათ მწვრთნელს, ბეგი დარჩიას ყველაზე მეტად არნახული ძალის პატრონისა და „პატარა კარელინად“ წოდებულ რამაზ ნოზაძისა ეიმედება. საერთოდ, ქართველ გულშემატკივარს, მეტწილად, ძალოვანი სპორტმენების იმედი რომ გვაქვს, არახალა. ამ მხრივ, არც ძალოსანი გიორგი ასანიძის დავიწყება ივარგებს, მიუხედავად იმისა, რომ მან ძალზედ სერიოზული ტრავმა, სულ ცოტა ხნის წინათ მოიწინა. ბოლოს და ბოლოს, გიორგი მსოფლიოს ჩემპიონია და ანალოგიურ რთულ ვითარებებთან ადრეც ჰქონდა საქმე. ეგ არის, რომ საქართველოს ძალოსნობის ფედ-

ერაციის ვიცე-პრეზიდენტის, რამაზ გურგენიძის თქმის არ იყოს, ათენში, გადგანილ ტრავმაზე მეტად, ასანიძეს კენჭისყრასა და აწონებზე უფრო მოუწევს ფიქრი, თორემ სად დაუდებენ „კვანტს“ ტურნირის ორგანიზატორები, ძნელი სათქმელია. იმედია, ვერც ძალოსნობასა და ვერც დანარჩენ მ სახეობაში (ძიუდო, ჭიდაობა, ტანვარჯიში, სროლა, მშვილდოსნობა, სანჯლოსო სპორტი, მძლეოსნობა, ჩოგბურთი) მოასპარეზე ქართველ სპორტსმენებს ათენში მსაჯები ვეღარ დაჩაგრავენ. ამის წინაპირობა კი, ოლიმპიურ თამაშებზე ქართველთაგან 3 მსაჯ-დელეგატის (გოჩა ძახოსოვი, მორის სახაძე, რამაზ გოგოიძე) და 3 მსაჯის (ედუარდ მაჩაიძე, ომარ ღონღაძე, დავით სახაძე) ყოფნა უნდა მივიჩნიოთ.

სპორტსმენებისთვის არანაკლებ ხელშეწყობად უნდა ჩავთვალოთ სახელმწიფოს დანაპირები, ოქროს მედალში 50, ვერცხლში 30, ხოლო ბრინჯაოში 20 ათასი დოლარის გადახდის შესახებ. ამას თუ დავუმატებ პატარაკაციშვილის 200 ათას ლარს, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონისთვისაა განკუთვნილი, მიუხედავად, რომ ქართველ სპორტსმენებს უმაღლესი სპორტული ჯილდოს მოსაპოვებლად საკმაოდ მეტი სტიმული აქვთ. ალბათ, ყოველივე ამის გათვალისწინებით თქვა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო პაგარატიონმა: „სიღნეის ბრინჯაო ათენში ოქროდ უნდა გადავადნოთ...“

გიორგი ბაკურაძე

პიოტრელები გერმანია იუარა ვინ ჩაიბარებს ბუნდესნაკრებს?

გასულ ხუშაბათს, მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა ოფიციალურად განაცხადა უარი გერმანიის ეროვნულ ნაკრების მწვრთნელობაზე. ბუნდესნაკრების ევროპის ჩემპიონატზე განცდილი სრული ფიასკოსა და შედეგად რუდი ფოლერის მიერ თანამდებობის დატოვების შემდეგ, თითქმის გადამწყვეტილად მიაჩნდათ, რომ ნაკრებს ამჟამად უმუშევარი ჰიტცფელდი ჩაიბარებდა. „კატენაიოს გენერალმა“ ოფიციალური შეთავაზების შემდეგ მოსაფიქრებლად ათი დღე მოითხოვა, უარყოფითი პასუხი კი სამიოდ დღეში გასცა გერმანიის ფეხბურთის ფედერაციას, რითაც გერმანელები საკმაოდ მძიმე დღეში ჩააგდო. მოგვსენებათ, გერმანია მომავალი მუნდიალის მასპინძელია, არც იმას უნდა დიდი მკითხაობა, რომ ჩემპიონობის გარდა მათთვის ნებისმიერი შედეგი უარყოფითი იქნება. ამ თაობის შემხედვარე ჰიტცფელდმა თავი ყულფში არ გაყო. ვინ ჩაიბარებს ბუნდესნაკრებს? უცხოელი სპეციალისტის დანიშნაზე გერმანელები საერთოდ არ ფიქრობენ. ასახელებენ რამდენიმე გვარს, მათგან ყველაზე რეალურად კრისტოფ დაუმის, ოტო რეპაგელისა და ლოთარ მათუსის კანდიდატურა სახელდება. გერმანელთაგან კოკაინის ყნოსვისათვის შერისხული დაუმი ამჟამად თურქულ „ფენერბახსეს“ წვრთნის და როგორც თავად აცხადებს, გერმანიიდან ჯერ არავინ შესმიანება, ისე კი სიამოვნებით იმუშავებდა ქვეყნის პირველ გუნდში. ბერძენთა გერმანელ



ეროვნულ გმირს, ოტო რეპაგელს ელინებთან კონტრაქტი აქვს და არავინ იცის მოინდომებს თუ არა მის დარღვევას. რჩება ლოთარ მათუსი, დიდი გერმანელი ფეხბურთელი და ჯერჯერობით რიგითი მწვრთნელი, რომელიც ამჟამად უნგრეთის ნაკრებში მუშაობს. საეჭვოა, გერმანელებმა ნაკრები მწვრთნელობაში გამოუცდელი მათუსის ანდონ. აქა იქ „შალკეს“ თავკაცს იუჰ პაინკესაც ასხენებენ. თუმცა თავად გერმანელებს ჰიტცფელდისა ყველაზე მეტად სჯერათ. „კატენაიოს გენერალმა“ ფრანც ბუკენაუერისათვის ყველაზე მისაღები კანდიდატია. „კაიზერის“ სიტყვას კი გერმანიაში დღეი ფასი აქვს, არ გამოირცხადენ, რომ ჰიტცფელდი ნაკრების გაძლიერება სწორედ ბუკენაუერმა დაიყოლოს.

№26 (404) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

26-ე რეიტინგის თემა იყო „დასვენება“. კითხვას — „სად ისურვებდით დასვენებას ყველაზე მეტად?“ — 657 რესპონდენტი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 264 ქალისა და 386 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობას აქტიური და სისხლსაცხე დასვენება ურჩევნია — მზე და ზღვა ყველა ასაკის მკითხველისთვის დასვენების აუცილებელი პირობა ყოფილა.

აჭარის შავიზღვისპირეთი, ისევე, როგორც ბოლო პერიოდის ყველა საზაფხულო სეზონზე, დღესაც პოპულარულია. მათ შორის ყველაზე სასურველი კი ქობულეთში დასვენება ყოფილა. რესპონდენტთა 32%-მა შეაფასა ქობულეთი მაქსიმალური ქულით, მინიმალური — 1 ქულა მხოლოდ 1-მა რესპონდენტმა (0,2%) დაუწერა.

6,70 საშუალო ქულით „ქობულეთი“ პირველ ადგილზეა.


შემდეგ ადგილზე ბათუმია, საშუალო ქულაა 6,35. უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით ბათუმი (35%) ქობულეთს უსწრებს.

ზღვისპირეთის შემდეგ, მკითხველები უპირატესობას ბორჯომს ანიჭებენ, საშუალო ქულაა 5,61.

ყველაზე დაბალი მაჩვენებლით დღევანდელ რეიტინგში „მანგლისი“ გამოირჩევა — რესპონდენტთა 42%-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით, მაქსიმალური ქულა კი მხოლოდ 2-მა მკითხველმა (0,3%) დაუწერა. მანგლისის სასარგებლო ჰაერსა და უმშვენიერეს ბუნებას რესპონდენტები ალბათ მასთან მიუვალად გზის გამო არ „წყალობენ“.

საინტერესოა, რომ ქალები, მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქობულეთზე მეტად უპირატესობას ბათუმს ანიჭებენ.

„ქათქათა ქალაქი“ 30-დან 50 წლამდე ასაკის ადამიანებსაც ურჩევნიათ ქობულეთს.



საპრიზოს ზუსტად 10 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 52 წლის **იანეზი გიგიაშვილი**, 55 წლის **ნათიელა კუხალიძე-ვილი**, 68 წლის **ტიანა თუფარაშვილი**, 41 წლის **იანა თილიძე**, 56 წლის **თეიმურ სირაძე**, 29 წლის **კახა გუგუნიძე**, 48 წლის **მირაზ კუხალაშვილი**, 39 წლის **ზაზა ძორიძე**, 55 წლის **ანზორ პასიკაშვილი** და 18 წლის კასპელი **ლევან გიგიაძე**.

რეიტინგის საპრიზო ფონდი — 200 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება. გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 7 ივლისს, 17 საათზე.

№27 (405) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავის მკითხველებსთვის აწყო გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (წვე და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზო, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დანერგილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დაგატყობთ კითხვას და **«მკითხველის პრემიას»**.

№27 (405) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ აკვირის პალიტრის“ საფოსტო ყულებში მოათავსეთ ოთხშაბათს, 7 ივლისს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 8 ივლისს 13 საათამდე.

© თბილისი

თემა №27(405) — **ცოდნა თქვენი აზრით, რისი ცოდნაა დღის ყველაზე აუცილებელი საქართველოში** (ჩამოთვლილთაგან) დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნო — 7 და ა.შ. 1-მდე.

№27(405) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი	ქულა
1	უსხო ენები
2	კომპიუტერი
3	ქანონმდებლობა
4	ბიბლია
5	ავტომობილის მართვა
6	ადამიანებთან ურთიერთობა
7	ეროვნული ტრადიციები/ადრე-წესები
8	პოლიტიკური სიხალისეები

დავამტკიცებ

გვჯერათ თუ არა, რომ უახლოეს მომავალში დაინერგება საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება?

დიახ	არა	მიჭირს პასუხის გაცემა

(შესაბამის უჯრა ვადასტურებ)

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

თქვენი სახელი, გვარი _____

ქალაქი (რაიონი) _____

ასაკი _____ ტელეფონი _____

შურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მიზანმიმართულად დაგატყობთ ბარათს ანსაზი, გთხოვთ, დააბრუნოთ კითხვასა და „მკითხველის პრემიის“ გარეშე პრემია (პრემია ბარათი) დააფიქსირებთ თქვენი აზრი.

შურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მიტოვებულ ბარათს გვინა მოთმავალი ბარათები კონკრეტულ არ მონაწილეობს!

მკითხველის შეიტყნის შედეგები
ვინ არის დღეს მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ქართველი? (დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)

	ქულა	
1. მიხეილ სააკაშვილი	1537	თქვენ უნდა დაგასახლოვდეთ
2. ედუარდ შევარდნაძე	240	მაქსიმუმ სამი პიროვნება.
3. კახა ქალაძე	169	პირველ ადგილზე დასა-
4. ნინო ბურჯანაძე	154	ხელმწიფე პიროვნებას
5. ზურაბ ნარატაძე	143	მიუხედავად სამი ქულა, გიორგი
6. ნინო ანდიაშვილი	142	ადგილზე — ორი, ხოლო
7. პაატა ბურჭულაძე	139	მესამეზე — ერთი ქულა.
8. სალომე ზურაბიშვილი	100	ქალაქი შეიქმნა და მათი
9. ზურაბ ჟვანია	59	ჟამის მისამართი უნდა
10. კახა ბენდუქიძე	42	რაიონები.

მკითხველთა 6% მიიჩნევს, რომ სტალინს დღესაც არ დაუკარგავს მსოფლიოში პოპულარობა. ქულათა მინიჭების პრინციპით თუ დავითვლიდით, იოსებ ბესარიონის ძე ზურაბ ჟვანიასა და კახა ბენდუქიძეს უპრობლემოდ ჩამოიტოვებდა უკან — მან დღეს 70 ქულის მოგროვება შეძლო.

მკითხველის რეიტინგში 559 რესპონდენტი მონაწილეობდა


• ფოტოპალიტრა • © • ფოტოპალიტრა •

სიანლა ფოტოპალიტრაში სიანლა. გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობ პიროვნებების მხარეულ ფოტოგრაფიას, რომელიც ჩვენი აზრით, მეტ გასაქმას მისცემს თქვენს ფანტაზიას და ეს რუბრიკაც, ვფიქრობთ, უფრო სახალისო გახდება. პასუხები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას ღაპრქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი _____

ქალაქი (რაიონი) _____



კახა ბენდუქიძე

ერთად დგანან სამი კაცი საქართველოს მთავრობა.

გ.ბ. ვაჟკაცობა
ი.ო. გამბედაობა და!
ზ.ფ. მოხერხება რომელი სჭირდება დღეს ყველაზე უფრო ქვეყანას?
ანზორ თავართქილაძე, სამტრედიის

გ.ბ. — ირაკლი, ეს ზურაბი თუ არ ჩავაყოლებთ დემოკრატიის „სურამში“, ციხეს ვერ ავაშენებთ!
ი.ო. — ფრთხილად ვიყოთ, თორემ ეგ ისეთი ზურაბია, ჩვენისთანები ჩაუკირია?!

გიორგი მხეიძე, თბილისი

გ.ბ. — აი, პირველი ქრთამით ეს მობილური ვიყიდე!
ი.ო. — დიდი აბმავე, პირველი ქრთამით მაგარი მანქანა შევიძინე!
ზ.ფ. — (ფიქრობს) ჰმ, ბავშვები...

კოკა, დრანდა

წამშობი ჩართულია, შე-სანიშნავი სამეუ-ლი აფიქსირებს საქართველოდან გაქცეული კო-რუმპირებული სპრინტერების სიჩქარეს, ლიდე-რობს კვლავინ-დებურად ლე-ვან მამალაძე.

ენგული იობაძე, ქ. ფოთი

გამოცანა:
ი.ო. — არ შემიძლია იმის ყურება, როგორ უზარებთ აფეთ-ქებას ბატონ...

ზ.ფ. — (უცებ ჩურჩულებს) არ დააჭირო პულტს ხელი გიორ-გი, მგონი ის არ უნდა იყოს, სხვამ შემოუხვია.

კითხვა: — ვის აფეთქებას აპირებდნენ ბიჭები?

ლ. ქაჩიბაია, თბილისი



გიორგი ბარამიძე, ზურაბ ჟვანია, ირაკლი ოქრუაშვილი

გ.ბ. — გამოიცანით, ხელ-ში რა მაქვს, გარედან თეთრია, შიგნიდან ყვითელი, თუ გამ-ოიცნობთ, ერბოკვერცხზე დაგ-პატიუებთ.

ი.ო. — გაგითლია ბოლოკი და შიგ სტაფილო ჩაგიდია.

კობა ხატისაშვილი

უოგო კოვენგარით



ბენგალური ძუ ვეფხვი გახდა სამი ვარდისფერი გოჭის დედობილი. ბედნიერი ოჯახი ცხოვრობს ბანგკოკის ზოოპარკში. ცხოველები, რომლებიც ველურ პირობებში ერთად ვერაფრით თავსდებიან, შესანიშნავად იყოფენ ერთ გალიას. ზოოპარკის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამ გზით ისინი ადამიანებს პარამონიულად ცხოვრების სურვილს გაუჩენენ.

9/VII

უკანასკნელი მეოთხედი


მაგნიტური დღეები:
5/VII 14-დან 16 საათამდე
8/VII 22-დან 24 საათამდე

წინა ნომრის სანაწიფო პასუხები

1. ეშხი; 2. ხრამი; 3. ლარა; 4. არხი; 5. ისტი; 6. რია-რია; 7. დინამო; 8. ამბასადორი; 9. პარნასი; 10. იემენი; 11. მედიანა; 12. ჭაკი; 13. სანტანა; 14. რენომე; 15. მეტრო; 16. ასი; 17. კამაჩო; 18. კიო; 19. კანტი; 20. მალარმე; 21. ასანა; 22. დიანა; 23. ბანდერასი; 24. კვანტი; 25. ომბალი; 26. დრამა; 27. დემე; 28. თორა; 29. იტაკა; 30. ნომი; 31. იარალი; 32. მატე; 33. ფერსაჩე; 34. ევა; 35. არიოზო; 36. ღვია; 37. აკრი; 38. კია; 39. კარატე; 40. ბაი; 41. ჟინი. 1. საპატო მგზავრი; 2. მესამე თვალის ძებნაში.



ყოველ ოთხშაბათს
შაბათიანი გოგონის შესახებ



თარგმანი: 1. გასული საუკუნის უდიდესი კომიკოსი, მსახიობი, კინორეჟისორი, სცენარისტი და კომპოზიტორი; 4. პირველი გამოსვლა სცენაზე; 6. გარეული ცხენი; 7. მცინთავის აღჭურვილობის ნაწილი; 8. ქ. სოხუმის ადრინდელი ქართული სახელწოდება, მისი მართებული ფორმა; 9. ჭაჭა, ფიპტური; 10. ციური სხეულის სამოძრაო გზა; 13. საეკლესიო მგალობელთა გუნდი; 16. XI ს. ქართველი ფილოსოფოსი და მთარგმნელი, რომლის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარება — ევრემ ...; 18. ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩანაწერი; 19. ქართული სამარკო კონიკი; 20. ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი, ეგვიპტის ყველა ფარაონის ღვთაებრივი მშობელი; 22. თათბერიერი ძალი ქართულ მოკლემეტრაჟიან ფილმში; 23. საზაფხულო ქუდი; 25. ქართული კლუბი ყოფილ სსრკ-ის საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში; 27. ქართული ფეხბურთის ლეგენდა; 28. ლითონის სიფრთხილად ფურცელი, კილიტი; 29. მის ქურდობას აქლემის ქურდობას ადარებენ; 30. ქვეყანა, სადაც პირველად გამოიყენეს ცისფერი ვარდი; 31. თევზ. **შეუღალა:** 1. იტალიელი მომღერალი, მსახიობი, რეჟისორი; 2. გამტარი სადენის გარეთა, არაგამტარი შრე; 3. საქართველოს სამთო-კლიმატოლოგიური ტერიტორია; 4. სანელებელი, ტროპიკული ხის ქერქი; 5. ერთ-ერთი საუკეთესო ყავის ქვეყანა; 11. ყვავილის ცენტრალური ნაწილი, რომლის ქვედა გაფართოებული ნაკვეთიდან ნაყოფი ვითარდება; 12. თვითმფრინავის კიბე; 14. მთავარი არტერია; 15. მოძღვრება ზნეობის შესახებ; 16. ცნობილი მევიოლინე; 17. პირველი ქალი დედამიწაზე; 21. ქალაქი, სამი რელიგიის ცენტრი; 22. საფოსტო გზავნილი; 24. ნომრეგანის მუღღე ფილმში „ლონდონი“; 25. საჩვენებლად, დასათვალიერებლად თავმოყრილი რაიმე საგნების კრებული; 26. მოღვაწეობა, რომლის მიზანია მოახდინოს ზეგავლენა ფართო მასების შეგნებასა და განწყობილებაზე.

შეადგინა რამაზ ალანიაშვილი

ყველა დროისა და ხალხების ერთ-ერთი უდიდესი მსახიობი...

...მარლონ ბრანდო 80 წლის ასაკში გარდაიცვალა ლოს-ანჯელესის საავადმყოფოში. ჯერჯერობით რატომღაც გასაიდუმლოებულია მსახიობის სიკვდილის მიზეზი. მისი ყველაზე ცნობილი როლები იყო ღონი კორლეონე „ნათლიამაში“ და მარგინაე „პორტში“. ამ როლებისთვის მსახიობმა ორი ოსკარი მიიღო. ბოლო წლებში ბრანდო ძალიან კარნაველურ ცხოვრებას ეწეოდა. დაახლოებით ნახევარი წლის წინ მან განაცხადა, რომ მზად არის სიკვდილისთვის და დაკრძალვის სცენარიც კი გაამზადა.



ბრანდო დაიბადა 1924 წლის 3 აპრილს ნებრასკის შტატში, სწავლობდა მატუკსის სამხედრო სკოლაში, ნიუ-იორკის დრამატულ კოლეჯში, შემდეგ დაამთავრა სამსახიობო სტუდია. მისი ეტაპური ნამუშევრებიდან, რომლებიც შევიდნენ მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიაში, სკამარისა და დასახელოთ „პოკალიფსი დღეს“, „პარიზის უკანასკნელი ტანგო“, „ექიმ მოროს კუნძული“, „ახალბედა“, „სურვილის ტრამვაი“. ბრანდოს ანდერძის თანახმად, მისი დაკრძალვის ცერემონიას გაუძღვება მაიკლ ჯექსონი. მსახიობის სურვილით მოხდება მისი ცხედრის კრემირება, ხოლო ფერფლს მოაფრქვევენ კუნძულ ტაიტის პალმებს.

პუბლიკაციის-გაყენიური ინსტიტუტი (სტუ სპმ. ფაქტობრივ) ანსაზს პიუპს 2004/2005 სასწავლო წლისათვის შეფასება სპინალოგიაზე:

1. ა) სამართალმცოდნეობა; ბ) სამხედრო სამართალი; გ) საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი (ქართული, რუსული და ინგლისური სექტორი). 2. ა) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი); ბ) საბანკო საქმე; გ) საბაჟო-საგადასახადო საქმე (წარმოების და მომსახურების კონტრაქტი და შედამსყვედულობა). 3. მთარგმნელითაა საქმისათვის ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორი); ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა; 4. ა) ფურნალისტიკა; ბ) ინტერნეტ-ფურნალისტიკა; გ) რეპორტიორი (ტელე-რადიო ფურნალისტიკა); დ) საზოგადოებრივი ურთიერთობები.

დღის დასრულებული და დასრულებული განყოფილებაში ჩარეცვა წარმოების გამოცდა-ტესტირების საუკეთესო. ასტუტუტთან ფუნქციონირებს ლიკეუმი. სწავლა ფასიანია, აბიტურიენტებსა უნდა წარმოადგინოს შესაფერისი საბუთები: 1. ატესტატი; 2. 4 ფოტოსურათი 3X4; 3. პირადობის მოწმობა; 4. მიწის მოწმობა (დღიანი აღიარება ერთად). საბუთების პიუპა 1 ილისიდან. შპათ-კირის გრდა. 10-15წთ. მის: თბილისი, მ. კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. VIII სასწავლო კორპ. II სართ. ☎ 36-30-72; 36-30-73; 36-60-78; 36-34-34

მუარდღება:	კვირის	პალიტრის	(გაზეთის)	საფოსტო	(საპო- რტოგრაფიის)
მუთიანა	საბათირო	უფლება	დაცულია	კანონით	

27

უზასო განცხადების ქმითარი

განცხადების ტექსტი

სიამაღ და სამაღ

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№27 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 8 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ზალხ-მრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთაში, კასპი, გორი, ქარაღი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედიო, აბაშა, სენაკი, ხოლო, ზუგდიდი, ფოთი, ქოპულაში, ბათუმი, ოპორგატი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, გაღდათი, ხონი, განა, თიარკოლა, ტყიბული, აგაროლაური, ონი, გორკოვი, ახალციხე, რუსთავი, საგარეო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარალი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დოღოვლისწყარი.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გამოთხოვნილი მასალების ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე. ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. მთავარი რედაქტორი ლალი გუთაიშვილი მთ. რედაქტორის მოადგილეა ნუტა დუშაბაძე, გიორგი თევდორაშვილი სარედაქციო კოლეგია მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან) ტელ: რედაქცია: 33-39-54 რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44 news@kvispalitra.com www.opentext.ge/kvispalitra სარედაქციო ნომერი © 1518 „კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით გაზეთი დაიბეჭდა გამოცემლობა „კოლორში“.